პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მერვე

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

კომუნისტი

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგე 13—39

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 24, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, კლუბების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები:
საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან — 80 კ. ნონპარელის სტრიქონი. ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ— ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური

- გემების შემკეთებელ სახელოსნოების მუშათა გაფიცვა ანტვერპენში.
- პოლონეთმა წინადადება მისცა ლიტვას მოლაპარაკება მათ შორის დაიწყოს მარტში.
- მექრთამეობისა და სპეკულიაციისათვის დააპატიმრეს ლატვიის ყოფ. გარეშე საქმეთა და ფინანსთა მინისტრები.
- რომში დაიწყო 89 იტალიელ რევოლიუციონერის გასამართლება.
- ვილნოში მოკლეს პროვოკატორი გურინი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვირა, 18 მარტი 1928 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 64 (2107)

ამხ. ლიტვინოვის სიტყვა განიარაღების კომისიის სესიაზე

გერმანია-საბჭოთა კავშირის ეკონომიური ურთიერთობა

ამერიკის მუშათა დელეგაცია საბჭოთა კავშირის შესახებ

ესტონეთის მთავრობამ გადაწყვიტა მჭიდრო ეკონომიური ურთიერთობა დაამყაროს საბჭოთა კავშირთან

პარიზის კომუნა

(1871 — 18 მარტი—1928)

პარიზის კომუნა პირველი მუშური მთავრობაა ისტორიაში. ბრძოლა „კომუნისათვის" ერთ - ერთი ბრწყინვალე ფურცელია მუშათა კლასის რევოლიუციონური ბრძოლის ისტორიაში. ამიტომ მთელი მსოფლიოს პროლეტარიატი პარიზის კომუნის მოღვაწეთა სახით პატივსცემს თავისი მთავრობის წინამორბედებს. კომუნიდან ყველა ქვეყნის პროლეტარიატმა მემკვიდრეობად მიიღო დიდი ისტორიული გამოცდილება, რომელიც ჩვენც ფართოდ გამოვიყენეთ ოქტომბრის რევოლიუციაში. საიდან წარმოიშვა პარიზის კომუნა? რას წარმოადგენდა იმ დროის პარიზი და როგორი იყო მისი მრეწველობა?

40 წლის განმავლობაში კომუნის დაარსებამდე — 1830 წლიდან საფრანგეთმა განიცადა რამოდენიმე დიდი და პატარა გადატრიალება. სამეფო წყობილებიდან იგი გადაიქცა რესპუბლიკად, რომელიც ხანმოკლე დროის განმავლობაში შეიცვალა იმპერიით; ამ იმპერიას სათავეში მოექცა ნაპოლეონ მესამე. თავ-აშვებულმა ფუფუნებამ მყვლეფელთა კლასის ზედა ფენებში. არაჩვეულებრივ დონემდე მიაღწია. მყვლეფელთა საფრანგეთი ერთხელ კიდევ, ისე როგორც პირველი დიდი რევოლიუციის წინ 1789-93 წ., გადაიქცა უდიდეს სარისკიპო სახლად. კაპიტალისტური მრეწველობა ვითარდებოდა. ისე როგორც ყოველთვის აქვს ადგილი სამრეწველო განვითარების პროცესში მყოფ ქვეყანაში, მოსახლეობამ სოფლებიდან დენა იწყო ქალაქებში და დაიწყო ქალაქის ხელოსანთა პროლეტარიზაცია.

მსხვილი მრეწველობის ზრდა ამწვავებდა კლასობრივ უთანასწორობას. ერთის მხრით სწრაფი გამდიდრება, მეორეს მხრით — ფასების განუწყვეტელი ზრდა პირველი მოთხოვნილების პროდუქტებზე, განსაკუთრებით პურზე, რაიც აიხსნებოდა მოუსავლიანობით 1866-67 წლებში. მუშათა კლასის მდგომარეობა სულ უფრო და უფრო უარესდებოდა; სამრეწველო კრიზისმა გამოიწვია მუშათა რიცხვის შემცირება წარმოებებში და სამუშაო ხელფასის დაცემა, რომელიც ძალიან ჩამორჩა ფასების ზრდას კვების საგნებზე. საფრანგეთის მუშებს, თუ არ სურდათ. დახოცილიყვნენ სიმშილით, უნდა დაეწყოთ მთელი რიგი მოგერიებითი გაფიცვები. საგაფიცვო მოძრაობა განსაკუთრებულის ძალით განვითარდა 1868 - 69 წლებში. ზოგიერთი გაფიცვები, რომლებიც დაიწყო წმინდა ეკონომიურ ნიადაგზე, პოლიტიკურ ხასიათს იღებდა. მთავრობა გაფიცულთა წინააღმდეგ მიმართავდა მკაცრ რეპრესიულ ზომებს. „ინტერნაციონალის" (პირველი, მარქსის) დახმარება გაფიცულთადმი გამოიხატებოდა არა იმდენად ნივთიერ, რამდენადაც მორალურ დახმარებაში და ამ ახალი ორგანიზაციის პოპულიარობა მუშებს შორის განუწყვეტლივ იზრდებოდა.

გაფიცვების ძლიერი ტალღა, პროფესიონალური მოძრაობის წარმატებანი და „ინტერნაციონალის" ორგანიზაციის ზრდა — ყოველივე ეს მოწმობდა რევოლიუციონური ენერგიის დაგროვებას მუშათა კლასში, რომელიც ეხლა ყველაზე საშიში მტერი გახდა იმპერიისათვის. ნაპოლეონ მესამემ ომი დაიწყო პრუსიასთან, რათა მასების ყურადღება ჩამოეშორებინა რევოლიუციონური აჯანყებისაგან. ფრანგები მარცხდებოდნენ და მალე არმია განადგურდა. პრუსიის ჯარები პარიზისაკენ გაემართნენ. მშრომელთა პარიზი აღსდგა. 1870 წ. 4 სექტემბერს მონარქია დამხობილ იქნა და გამოცხადდა რესპუბლიკა. შედგენილ იქნა ეროვნული „თავდაცვის" დროებითი მთავრობა.

პარიზის დასაცავად ერთსულოვნად აღსდგა მთელი მუშათა მოსახლეობა. შექმნილ იქნა „ნაციონალური გვარდია", რომელშიაც ირიცხებოდა 600.000 კაცი. მაგრამ ბურჟუაზიული „თავდაცვის" მთავრობა მალე გადავიდა გამცემლობის და ღალატის გზაზე. მასში უფრო მეტ შიშს იწვევდა იარაღი მუშების ხელში, ვიდრე პრუსიის ჯარები, რომლებიც პარიზის კედლებს მიადგნენ. ამ შიშის გამო ბურჟუაზიამ გადასწყვიტა ზავის დადება მძიმე პირობებში. მუშებს არ სურდათ ამ ზავის მიღება და განაგრძეს თავდაცვა. გამცემელი ბურჟუაზიის ცდა, რომ წაერთმია იარაღი სახალხო არმიისათვის, მარცხით დამთავრდა. მთელი მოსახლეობა აღსდგა ტიერის მთავრობის წინააღმდეგ და ტიერი თავისი მომხრეებით გაიქცა ვერსალში (20 ვერსის მანძილზე პარიზიდან). და პრუსიის ჯარებთან ერთად დაიწყო ბრძოლა პარიზის მუშების წინააღმდეგ. ერთად ერთი ხელისუფლება პარიზში იყო „ეროვნული გვარდიის" ცენტრალური კომიტეტი, რომელმაც გამოაცხადა „კომუნა".

ეს მოხდა 1871 წლის 18 მარტს. 26 მარტს მოხდა კომუნის არჩევნები. კომუნაში არჩეულ იქნა 90 წევრი, რომელთა უმრავლესობა იყო რევოლიუციონერები და სოციალისტები, მათ შორის 25 მუშა.

კომუნამ ცოტა ხანი იარსება. სულ მხოლოდ 72 დღე. ვერსალელებმა დახმარება მიიღეს პროვინციაში და კომუნარებთან მკაცრი ბრძოლის შემდეგ ხელთ იგდეს პარიზის ყველა სიმაგრეები. 1871 წ. მაისში 21-დან 28-მდე ბურჟუაზია ზეიმობდა თავისი „სისხლიან დღესასწაულს". მხოლოდ სისხლიან „მაისის კვირაში", სამხედრო სასამართლოს განაჩენით და ყოველგვარი განაჩენის გარეშე დახვრეტილ და წამებულ იქნა 30 ათასამდე კაცი. სულ კომუნისათვის დაიღუპა 70 ათასზე მეტი კაცი. გარდა ამისა, 7.500 კომუნარი გადაასახლეს და 5.000 კომუნარი ციხეში ჩასვეს. კომუნის დროს ქალებმა ითამაშეს ისეთი რევოლიუციონური როლი, როგორც მათ არ უთამაშნიათ წინედ არც ერთი რეჟიმის, არც ერთი რევოლიუციის დროს. გამხეცებულმა ბურჟუაზიამ არ დაინდო ქალები და აგრეთვე ბავშვებიც კი. გამარჯვებული რეაქციის შურისძიებას საზღვარი არ ქონდა. მყვლეფელებმა, საზოგადოების მუქთა - ხორებმა გაიმარჯვეს გაყვლეფილებზე და ეს გამარჯვება აღნიშნეს საშინელი სისხლის ღვრით. მათ სურდათ დიდი ხნით, სამუდამოდ განემტკიცებიათ თავისი გამარჯვება. მათ ეგონათ, რომ წამებული და დახვრეტილი კომუნარების სისხლით სამუდამოდ განამტკიცებდნენ თავის წყობილებას, რომელიც აგებული იყო მუშათა ტანჯვაზე, ოფლზე და სისხლზე.

კომუნამ ვერ შეინარჩუნა თავისი მონაპოვარი იმის გამო, რომ მუშათა კლასი იყო სუსტი და შეუკავშირებელი. რომ იგი მოწყვეტილი იყო გლეხთა მასისაგან და არ არსებობდა ისეთი ძლიერი დისციპლინიანი პარტია, რომელიც შესძლებდა მუშათა კლასის ხელმძღვანელობას.

ჩვენი ისტორიული ბედნიერება იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ გვიან მოვედით და დავინახეთ და ვხედავთ „პარიზის კომუნის" იდეების აღორძინებას. პროლეტარიატი არ ივიწყებს და არც არასოდეს დაივიწყებს კომუნისათვის დიად მებრძოლებს—პარიზის კომუნარებს, ამის საუკეთესო მაჩვენებელია ოემედასის ორგანიზაცია, რომელიც ყოველმხრივ დახმარებას უწევს რევოლიუციის მებრძოლებს და კაპიტალიზმის ტყვეებს, რომელნიც იტანჯებიან კაპიტალისტური ქვეყნების ციხეებში.

გაუმარჯოს მომავალ ძლევამოსილ „პარიზის კომუნას"!

გაუმარჯოს დიად ძლევამოსილ კომუნას — ჩვენს საბჭოთა კავშირს!

გაუმარჯოს მსოფლიო კომუნას!

დეე 1871 წ. პარიზის კომუნარების თავგანწირვამ შთაბეროს რევოლიუციონური სული თანამედროვე პარიზის მუშებს და მთელი მსოფლიოს პროლეტარებს უკანასკნელი გადამჭრელი ძლევამოსილი ბრძოლისათვის.

მიხა ცხაკაია.

ჩვენი მტრების იერიშები

შახტის რაიონის ინჟინერთა ჯგუფის კონტრრევოლიუციონურმა მოღვაწეობამ საშინელი აღშფოთება გამოიწვია საბჭოთა კავშირის მშრომელთა შორის. ეკონომიური კონტრრევოლიუციის ფიზიონომია მით უფრო საზიზღარი და ღრმად აღმაშფოთებელია ყოველი პატიოსანი მოქალაქესათვის, რომ მაღაროების აფეთქება, დანგრევა და წყალით ავსება—ყოველივე ეს ხდება არა სამოქალაქო ომის მღელვარე წლებში, არამედ მაშინ, როცა საბჭოთა კავშირის მშრომელებმა, დაბოლოს, ხელი მიჰყვეს მშვიდობიან სამეურნეო მშენებლობას თავისი ცხოვრების გასაუმჯობესებლად. მთელი ეს საზიზღარი საბოტაჟი პირდაპირ მშრომელთა ეკონომიური მდგომარეობის წინააღმდეგაა მიმართული.

და აი, იმ დროს, როცა აღშფოთების ტალღა მოედო მთელს საბჭოთა კავშირს, — ევროპის ბურჟუაზიული და სოციალ - დემოკრატიული პრესა გამოდის იმ არამზადების დამცველად, რომლებმაც კონტრ - რევოლიუციონური შეთქმულება მოაწყვეს შახტის რაიონში. „პატივცემული" გაზეთები ერთი-მეორეზე ბეჭდავენ წერილებს, მოთხოვნილებით — გავანთავისუფლოთ შახტის საქმეზე დაპატიმრებულნი. ის და აკლიათ „ფორვერტს"-ის კალმოსნებს, რომ ჩამოიარონ და ქუდით შეაგროვონ ბურჟუაზიასა და თავის მკითხველებს შორის შეწირულება შახტის საქმეზე დაპატიმრებულთა სასარგებლოდ.

საზიზღარი „ფორვერტს"-ი მოუწოდებს „თავიდანვე უნდობლობით მოეკიდონ" ამ საქმეს „რამდენადაც საბჭოთა რუსეთს არა აქვს დემოკრატიული მართვა-გამგეობა"-ო.

გაერთიანებულ სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს მიერ გამოქვეყნებულ ცნობებს „ფორვერტს"-ი მოჭორილ ამბავად და „საბჭოთა ბედლამის ახალ ნომრად" აცხადებს. ეს საზიზღარი ყვითელი ფურცელი პირდაპირ აგიტაციას ეწევა საბჭოთა რუსეთთან ეკონომიური ურთიერთობის ჩაშლის მიზნით. გაზეთი სწერს: „ვინ წავა ამის შემდეგ რუსეთში, როგორც სპეციალისტი, ვინ გაბედავს მის წარმოებაში თავისი კაპიტალის დაბანდებას, როცა არსებობს გარკვეული საფრთხე გახდე ამა თუ იმ მომენტში დამნაშავედ და იმის გამო რომ რუსებს არ შეუძლიათ მეურნეობის გაძღოლა, დაჰკარგო არა მარტო თავისუფლება, არამედ სიცოცხლეც". შახტის არამზადებს, მაღაროების ყოფილ მეპატრონეთ და მათ დამქაშებს, მეტწილად თეთრგვარდიელების კონტრ - დაზვერვის სამსახურში მყოფთ, მონარქისტებსა და კადეტებს თავისი [illegible] შეუძლიათ გაიხარონ იმით, რომ ნახეს თანამგრძნობნი სოციალ - დემოკრატების სახით. აი, კიდევ იმ მთლიან „მუშათა" ფრონტის ერთი გულის ამაჩუყებელი სურათი, რომლის მომხრეებადაც გამოდიან „ფორვერტს"-ის კალმოსნები.

გერმანიის მემარჯვენე და ლიბერალური ბურჟუაზიული პრესა, პირველი გააფთრებული, ხოლო მეორე—უფრო ზომიერი ტონით დაბეჯითებით მოითხოვს დაპატიმრებულ უცხოელ ქვეშევრდომთა განთავისუფლებას. ამასთანავე გასაოცარი ისაა, რომ მთელი რიგი გაზეთები არც კი დაინტერესდნენ გაცნობოდნენ ბრალდებას და ისე ბედავენ უცხოელ ინჟინერების დანაშაულის „უარყოფას". იბადება კითხვა, როგორი პასუხი უნდა გაეცეს ასეთ უაპელიაციო „უარყოფას"?

ამასთანავე არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ საბჭოთა კავშირისადმი მტრულად განწყობილი გაზეთები საფრანგეთსა და ინგლისში აძლიერებენ კამპანიას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და გაჰყვირიან „გერმანიის მოქალაქეთა დაპატიმრებაზე" საბჭოთა კავშირში. ამ გზით მათ სურთ გაამწვავონ დამოკიდებულება ჩვენსა და გერმანიას შორის და კერძოთ ჩაშალონ ბერლინში წარმოებული მოლაპარაკება. ის ინტერესები, რომლებიც ამოძრავებენ ამ გაზეთებს, სავსებით ნათელია: თუ ერთის მხრივ ეს ინტერესები მიმართულია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, მეორე მხრით ისინი მიმართულია გერმანიის მეურნეობის წინააღმდეგ.

მატყუარა, ცილისმწამებელი და უსაქმო ჟურნალისტები სთხზავენ და ავრცელებენ შეუსაბამ ვერსიას იმის შესახებ, თითქოს საბჭოთა მთავრობამ გერმანელ მოქალაქეთა დაპატიმრებით გამოაშკარავა, რომ მას განზრახული აქვს შესწყვიტოს მოლაპარაკება გერმანიასთან და სხ. ყველამ იცის, რომ საბჭოთა მთავრობას სასურველად მიაჩნია ეკონომიური ურთიერთობის განვითარება დასავლეთის ქვეყნებთან და ამიტომ ყველასთვის ნათელია ამ ვერსიის სრული უსაფუძვლობა. საბჭოთა მთავრობა, რომ დაინტერესებული არ იყოს ბერლინის მოლაპარაკების სასურველად დამთავრებაში, მაშინ ის შესწყვეტდა მოლაპარაკებას ისე, რომ ამისათვის არ დასჭირდებოდა მიკიბულ-მოკიბული გზით სიარული, რაც მას არ სჩვევია. ნამდვილად კი საქმე ეხება საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის თავდაცვას კონტრრევოლიუციის მორიგი თავდასხმისაგან. საბჭოთა მთავრობას არ მიუძღვის დანაშაული იმაში, რომ ამ თავდასხმაში მონაწილეობას ღებულობენ უცხოეთის მოქალაქენი. ასეთი ფაქტები, სამწუხაროდ, ახალი არაა. რუსეთის კონტრრევოლიუციის მთელი ისტორიის მანძილზე უცხოელთა ჩარევის ფაქტებს ათასჯერ ჰქონია ადგილი საბჭ. ხელისუფ. ორგანოები ყოველთვის იძულებული იყვნენ მიეღოთ სათანადო ზომები ამ მოქალაქეთა წინააღმდეგ. საბჭოთა კავშირისადმი მეგობრულად განწყობილ და მის საქმეებში თავის მოქალაქეთა ჩარევის მოწინააღმდეგე მთავრობების მოვალეობა იმაში მდგომარეობს, რომ დაეხმარონ საბჭოთა მთავრობას აღკვეთოს ასეთი ჩარევა. საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილება გადასცეს შახტის საზიზღარი ბანდის მონაწილენი საჯარო სასამართლოს, თავდებია იმის, რომ უცხოეთის საზოგადოებრივ აზრს შესაძლებლობა ექნება გაეცნოს საბრალმდებლო მასალას, რომელიც მიმართულია ამ ბანდის წევრებისა და მათ შორის უცხოელ მოქალაქეთა წინააღმდეგ.

შახტის საქმემ დაგვანახვა, თუ ბრძოლის როგორ საშუალებებს მიმართავს კაპიტალიზმი საბჭოთა კავშირში გაძლიერებულ სოციალისტურ მშენებლობის წინააღმდეგ, ეს იყო მარცხით დამთავრებული ცდა-შიგნიდან აეფეთქებიათ საბჭოთა კავშირის ეკონომიური მიღწევები. ამასთანავე ერთად არ სწყდება ცდები შეაფერხონ საბჭოთა კავშირის ეკონომიური წარმატება გარედანაც. ასეთია ახალი სენსაციური საქმე საბჭოთა კავშირიდან ამერიკაში გაგზავნილ ოქროს შესახებ. თუ შახტის „საქმის ხალხმა" ჩაიდინა უმაგალითო სისაძაგლე,—საფრანგეთის ბანკის საქმიან ხალხს და მათ დამხმარე წრეებს განზრახული აქვთ გამოიჩინონ უმაგალითო აფიორა და გაიძვერობა. მათ პირდაპირ სურთ წაგლიჯონ საბჭოთა კავშირის მუშებსა და გლეხებს მათი კუთვნილი ოქრო იმ საბაბით, რომ საფრანგეთის ბანკირები ოდესღაც თავისი კაპიტალით მონაწილეობას ღებულობდენ საბჭოთა კავშირის მუშებისა და გლეხების ექსპლოატაციის საქმეში.

მაგრამ თუ საფრანგეთის ბანკირები საბჭოთა კავშირის ოქროს თავის საკუთრებათ სთვლიან, მაშინ რატომ დღემდე არ წარადგინეს სარჩელი ყველა იმ ოქროზე, რომელიც გადავიდა უცხოელების (მაგალითად, ინგლისის) ხელში საბჭოთა კავშირის ამ თუ იმ დაკვეთების საფასურად. ის, ვინც ამ ოქროს ღებულობდა, ცხადია, რომ მასზე ცნობდა საბჭოთა მთავრობის ყველა უფლებებს (და არა საფრანგეთის ბანკირების უფლებებს).

„ოქროს" აფიორა წარმოადგენს ცდას— ხელი შეუშალოს საბჭოთა კავშირსა და კაპიტალისტურ მსოფლიოს შორის უკანასკნელ წლებში განვითარებულ ეკონომიურ ურთიერთობას. მაგრამ თუ ეს ბურჟუაზიის ქუჩურ პრესისათვის მომგებიან თემას წარმოადგენს, კაპიტალისტურ ქვეყნების საქმიან წრეებისა და მით უფრო ამ ქვეყნების მშრომელი მოსახლეობისათვის საფრანგეთის ბანკის აფიორას მეტად დაბალი ფასი აქვს.

კაპიტალისტური მსოფლიო მტრულადაა განწყობილი სოციალიზმისადმი, რომელიც საბჭოთა კავშირში ძლიერდება. კაპიტალიზმი ყოველნაირად გაურბის ხანგრძლივ მშვიდობიან, ეკონომიურ და კულტურულ შეჯიბრებას საბჭოთა კავშირთან, რადგან გრძნობს, რომ ეს მისთვის მომაკვდინებელი საფრთხეა. აქედან წარმოსდგება კაპიტალისტური მსოფლიოს ყველაზე უფრო გაბოროტებული და აგრესიული (სოციალურად გახრწნილ) ელემენტების მუდმივი ცდა—საბჭოთა კავშირთან მშვიდობიანი შეჯიბრება შესცვალონ უხეშ ძალადობად, ეკონომიურ საბოტაჟად, პოლიტიკური მდგომარეობის გამწვავებით, გარედან ომის გამოცხადებით და შიგნიდან კონტრრევოლიუციონური შეთქმულების მოწყობით.

საბჭოთა კავშირის პროლეტარიატი არ წამოეგება პროვოკაციის ანკესზე. ის დაინტერესებულია კაპიტალიზმთან ხანგრძლივ მშვიდობიან-ეკონომიურ ურთიერთობის განვითარებაში, მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს ურთიერთობა შეიძლება მხოლოდ იმათთან, ვინც საბჭოთა კავშირს სცნობს, როგორც სრულუფლებიან ეკონომიურ კონტრაგენტს.

ამავე დროს საბჭოთა კავშირის მუშათა კლასს ხელთ უპყრია სახელმწიფო ძალა-უფლება, რომელიც მთელი რისხვით დაატყდება თავს ყველას, ვინც ქვეყნის შიგნით კაპიტალისტური რეაქციის ინტერესებისათვის შეეცდება ხელი შეუშალოს სამეურნეო განვითარების საქმეს და მშრომელთა მასების მატერიალური პირობების გაუმჯობესებას. მტრების საცოდავი ცდები მარცხით დამთავრდება.

„პრავდა", 17 მარტი.

განიარაღების კომისიის სესია

ამხ. ლიტვინოვის სიტყვა

ჟენევა, 16 მარტი. განიარაღების კონფერენციის მეორე სხდომა [illegible] რენციის მოსამზადებელი კომისიის მეორე სხდომამ იმით დაიწყო, რომ თავმჯდომარემ წინადადება შეიტანა განეხილა კომისიას ის რეზოლიუციები, რომლებიც უშიშროებისა და საარბიტრაჟო კომიტეტმა წარადგინა. ხოლსტის (ფინეთი) წინადადებით გენერალურ მომხსენებლად არჩეულია პოლიტისი (საბერძნეთი). აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ სხდომამ დაადგინა შეიცვალოს სახელწოდება „უშიშროების ხელშეკრულება" და მის მაგიერ დაერქვას „ხელშეკრულება თავდაუსხმელობისა და ურთიერთ დახმარების შესახებ". სიტყვას არავინ თხოულობს, თავმჯდომარე წინადადებას იძლევა რეზოლიუციის მიღების შესახებ; ამის შემდეგ გამოდის საბჭოთა დელეგაციის თავმჯდომარე ამხ. ლიტვინოვი და შემდეგს აცხადებს:

„საბჭოთა კავშირის დელეგაციამ განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელი კომისიის უკვე მეოთხე სესიაზე განაცხადა, თუ რა პოზიცია უჭირავს მას უშიშროების კომიტეტში განხილულ საკითხებსა და განიარაღების პრობლემას შორის არსებული კავშირის საკითხში. რადგან უშიშროებასა და საარბიტრაჟო კომიტეტის გადაწყვეტილება დღეს განსახილველად წარედგინა იმ კონფერენციის მოსამზადებელ კომისიას, რომელშიაც საბჭოთა კავშირის დელეგაციაც იღებს მონაწილეობას, მე სიტყვა ავიღე მხოლოდ იმ მიზნით, რომ ჩვენი დუმილი ისე არ გაიგონ, ვითომც ჩვენ ვეთანხმებოდეთ აღნიშნულ გადაწყვეტილებებს და უშიშროებისა და საარბიტრაჟო კომიტეტის მოხსენებას. მე არ განვიხილავ უშიშროების კომიტეტის ცალკე წინადადებებს, მხოლოდ მოკლედ გავიმეორებ იმას, რაც უკვე წინათ განვაცხადეთ ამის გამო. ჩვენ კვლავ ვფიქრობთ, რომ მშვიდობიანობის პრობლემა ვერ გადაიჭრება, ან ვერ მოუახლოვდება განხორციელებას იმ საკითხების გადაჭრით, რომლებსაც არკვევს უშიშროების კომიტეტი. ჩვენ გვგონია, რომ იმ გზას, რომელსაც ადგია უშიშროების კომიტეტი, შეუძლია გამოიწვიოს არა საყოველთაო უშიშროების განხორციელება, არამედ შეუძლია გააძლიეროს რამოდენიმე სახელმწიფოს, ან სახელმწიფოთა ჯგუფების უშიშროება სხვა სახელმწიფოების ან სახელმწიფოთა ჯგუფების დამოუკიდებელი არსებობისათვის და ტერიტორიალური ხელშეუხებლობისათვის საფრთხის შექმნის ხარჯზე.

კიდევ მეტი: რაკი შეტევითი და თავდაცვითი ომების განსხვავებისათვის სწორი კრიტერიუმები არ არსებობს, უშიშროებისა და საარბიტრაჟო კომიტეტის მიერ წამოყენებულ სისტემას ადვილად შეუძლია წარმოშვას ჯგუფთა ალიანსებისა და სხვა სამხედრო-პოლიტიკური კომბინაციების სისტემა, ისეთი, როგორც ომამდე არსებობდა. ეს სისტემა იყო 1914 წელს დაწყებულ მსოფლიო ომის ერთ ერთი მიზეზი. იგი თავისთავად მშვიდობიანობის საფრთხეს წარმოადგენს, რადგან მებრძოლ მთავრობათა აგრესივობას ასაზრდოებს და ხელს უწყობს. ამ სისტემას ყოველი ლოკალური ომი შეუძლია საყოველთაო ომად გადააქციოს. ჩვენის აზრით, უშიშროების კომიტეტის გადაწყვეტილებანი არ ასუსტებენ ომის დაწყების შესაძლებლობას და პირობებს ჰქმნიან შესაძლებელი სამხედრო კონფლიქტების გასაფართოებლად და მძიმე შედეგების გასადიდებლად. წინააღმდეგ საბჭოთა კავშირის დელეგაციის აზრისა, განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელი კომისიის უკანასკნელმა სესიამ გადასდო განიარაღების საკითხების განხილვა უშიშროების კომიტეტის მუშაობის შედეგების მიღებამდე. თუ სხვა დელეგაციები სთვლიან ამ შედეგებს დამაკმაყოფილებლად და უშიშროების საკითხს ცოტად თუ ბევრად გადაწყვეტილად, მაშინ საბჭოთა კავშირის დელეგაციას, უყურებს რა იგი კვლავ უარყოფითად უშიშროების კომიტეტის მოხსენებას, შეუძლია მხოლოდ კმაყოფილება გამოსთქვას იმის გამო, რომ აცილებულია მოჩვენებითი ან ხელოვნურად შექმნილი დაბრკოლება და შესაძლებელია დაუყოვნებლივ განხილულ იქნას განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელი კომისიის ნამდვილი და ძირითადი მიზანი, ესე იგი განხილულ და გამოტანილ იქნას გადაწყვეტილებანი განიარაღების პროექტების მიხედვით. საბჭოთა კავშირის დელეგაცია ფიქრობს, რომ ყველა ქვეყნისა და ერის უშიშროებისათვის ყველაზე საიმედო გარანტიას და მშვიდობიანობის შენარჩუნებისათვის ყველაზე ნამდვილ საშუალებას წარმოადგენს, რაც შეიძლება სწრაფი და სრული განიარაღება; ამიტომ იგი მოუწოდებს კომისიას დაუყოვნებლივ შეუდგეს განიარაღების პრობლემის განხილვას". (ადს).

მოლაყბენი თავს იძვრენენ

ჟენევა, 16 მარტი. ლიტვინოვის საპასუხოდ გამოვიდა საბერძნეთის წარმომადგენელი პოლიტისი:

„უშიშროებისა და საარბიტრაჟო კომიტეტმა,—განაცხადა მან,— არ სცნო არც განიარაღების პრობლემის, არც უშიშროების პრობლემის პრიორიტეტი. კომიტეტმა აღიარა ორივე საკითხის პარალელობის პრინციპი. უშიშროების პროექტებით გათვალისწინებული ხელშეკრულებანი ძველი კავშირებისა და ალიანსებისაგან იმით განსხვავდებიან, რომ არ გულისხმობენ ურთიერთ დახმარებას მესამე მხარის თავდასხმის დროს". საფრანგეთის წარმომადგენელმა კლოზელმა განაცხადა:

„საფრანგეთის მთავრობა ფრიად კმაყოფილია უშიშროების კომიტეტის მუშაობით და ჰფიქრობს, რომ იგი პრაქტიკულად შეეფერება ერთა ლიგის მთელ წინანდელ მუშაობას მშვიდობიანობის საქმეში".

გერმანიის წარმომადგენელმა ბერნსდორფმაც კმაყოფილება გამოსთქვა უშიშროების კომიტეტის მუშაობის გამო და აღნიშნა, რომ მას ძალიან ახარებს პოლიტისის განცხადება ორივე საკითხის—უშიშროებისა და განიარაღების საკითხების პარალელობის პრინციპის აღიარების შესახებ.

თავმჯდომარემ წაიკითხა პროექტი რეზოლიუციისა, რომელიც იწონებს უშიშროების კომიტეტის მუშაობას. რეზოლიუციის განხილვა გადადებულია ორშაბათისათვის (ადს).

ლიგის კულუარებში

ჟენევა, 16 მარტი. სხდომა, რომელზედაც გამოვიდა ამხ. ლიტვინოვი, დაიწყო მეტისმეტად მოდუნებულ ატმოსფერაში. თავმჯდომარე უშედეგოდ ცდილობდა შეექმნა კამათის შთაბეჭდილება, მაგრამ არავინ გამოეხმაურა მის წინადადებას და სიტყვა არავინ ითხოვა. სხდომის ყველა მონაწილის დაჟინებულმა სიჩუმემ აიძულა თავმჯდომარე, რომ წინადადება მიეცა მათთვის, მიეღოთ სამდივნოს მიერ შემუშავებული რეზოლიუცია, ლიტვინოვის გამოსვლამ გამოაცოცხლა სხდომა და აალაპარაკა საფრანგეთისა და გერმანიის წარმომადგენლები, ხოლო პოლიტისმა არადამაჯერებელი სიტყვა სთქვა უშიშროებისა და საარბიტრაჟო კომიტეტის დასაცავად. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და გაცხოველებული კომენტარიები გამოიწვია კულუარებში ჟენევაში მიღებულ ლიტვინოვის სიტყვამ, რომელიც შეიცავდა უშიშროების კომიტეტის მუშაობის შეფასებას და რომელშიაც აღნიშნული იყო, რომ მთელი ეს მუშაობა მხოლოდ აჭიანურებს განიარაღების პრობლემის გადაჭრას (ადს).

კელლოგის და ბრიანის ვაჭრობა

ნიუ-იორკი, 16 მარტი. კელოგი ნიუ-იორკში გამოვიდა საპოლემიკო სიტყვით, რომელიც უმთავრესად, ბრიანის წინააღმდეგ იყო მიმართული. შეეხო რა საფრანგეთ-ამერიკის დისკუსიას საარბიტრაჟო ხელშეკრულების საკითხის შესახებ, კელოგმა განაცხადა, რომ ამას წინად საფრანგეთსა და ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის დადებული საარბიტრაჟო ხელშეკრულება არ ითვალისწინებს ომის უარჰყოფას, ხოლო ხელშეკრულების შესავალს, რომელიც ჰგმობს ომს, როგორც ეროვნული პოლიტიკის საშუალებას, არა აქვს სავალდებულო ხასიათი. შემდეგ კელოგმა აღნიშნა, რომ ჩრ.-ამერ. შეერთებული შტატები ცდილობს ანალოგიური ხელშეკრულებები არბიტრაჟის შესახებ დასდოს სხვა სახელმწიფოებთან და უკვე აწარმოებს მოლაპარაკებას ამ საგანზე ინგლისსა და იაპონიასთან. კელოგი იცავდა იმ თვალსაზრისს, რომ ამ ხელშეკრულებებიდან გამორიცხულიყო მონროეს დოქტრინის საკითხები იმიგრაციის შესახებ, ვინაიდან ამ საკითხებში ჩრ.-ამერ. შეერთ. შტატ. ვერ დაეთანხმება არბიტრაჟს. კელოგმა კვლავ გაიმეორა თავისი წინადადება, რომელიც შეეხებოდა ისეთი ხელშეკრულების დადებას მიიღებდა ყველა სახელმწიფო. (როგორც ვიცით, კელოგმა ეს წინადადება წამოაყენა ბრიანის წინადადების საპასუხოდ, რომელიც მოითხოვდა საფრანგეთ-ამერიკის ხელშეკრულების დადებას „მუდმივი ზავის" შესახებ). ეკამათებოდა რა ბრიანს, რომ საფრანგეთს არ შეუძლია უარი სთქვას ომზე ერთა ლიგისადმი მისი ვალდებულებების გამო, კელოგმა აღნიშნა, რომ ლათინური ამერიკის ქვეყნები, რომელთაგან 17 ერთა ლიგის წევრია, პანამერიკულ კონფერენციაზე მიემხრენ იძულებითი არბიტრაჟის პრინციპს.

თუ რატომ არ მიიღო ბრიანის წინადადება— დაედოთ ხელშეკრულება ომის უარყოფის შესახებ, კელოგმა განაცხადა:

„შეერთებული შტატები არც ერთ ისეთ შეთანხმებაში არ მიიღებს მონაწილეობას, რომელიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ წარმოადგენს სამხედრო კავშირს".

„მე არ ვფიქრობ,—ამბობს ის, რომ საყოველთაო მშვიდობიანობა ან ევროპის მშვიდობიანობა დამოკიდებული იყოს სამხედრო კავშირებზე" (ადს).

ეკონომიური კონტრ-რევოლიუციის გარშემო

გერმანიის გარეშე საქმეთა სამინისტროს ოფიციოზი მოლაპარაკების შეწყვეტის შესახებ

ბერლინი, 16 მარტი. გერმანიის გარეშე საქმეთა სამინისტროს ოფიციოზი „დოიჩე დიპლომატიშე უნდ პოლიტიშე კორესპონდენც", უკეთებს რა კომენტარიებს გერმანია - საბჭოთა მოლაპარაკების შეჩერებას, სწერს:

„გერმანიის მთავრობა გამოსთქვამს იმედს, რომ კონფლიქტი მალე მოგვარდება, რაც შექმნის პირობებს მოლაპარაკების დაჩქარებით განახლებისათვის.

გერმანიის მთავრობას არ აქვს განზრახვა პრინციპიალურად შესცვალოს თავისი პოლიტიკის კურსი საბჭოთა კავშირის მიმართ და ცდილობს მხოლოდ, რომ ამ მოლაპარაკების ირგვლივ არ წარმოიშვას ისეთი ატმოსფერა, რომელიც ზიანს მიაყენებს მოლაპარაკების საბოლოო შედეგებს. საბჭოთა კავშირის მიმართ მტრულად განწყობილი წრეები ყოველგვარი ძალღონით ცდილობენ, რომ ეკონომიური მოლაპარაკების შეჩერება განმარტონ ისე, როგორც მოლაპარაკების საბოლოოდ შეწყვეტა და გერმანიის პოლიტიკური განწყობილების შეცვლა საბჭოთა კავშირის მიმართ.

მაგრამ გერმანია არ დაუშვებს, რომ ამ წრეებმა უკარნახონ მას მოქმედების გეზი. სწორედ იმიტომ, რომ გერმანიას სურს შეინარჩუნოს ეკონომიური ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან და განავითაროს ეს ურთიერთობა ზედმიწევნით მოფიქრებული ახალ წინადადებათა ნიადაგზე, ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ საბჭოთა მთავრობა დაჩქარებით მიიღებს მისგან დამოკიდებულ ყველა ზომებს ამ კონფლიქტის მოსაგვარებლად". (ადს)

ვოლფის სააგენტოს ცნობა

ბერლინი, 16 მარტი. ვოლფის სააგენტო იუწყება: „სარწმუნო წყაროებიდან მიღებული ცნობებით, დონის ოლქში გერმანელი ინჟინერების დაპატიმრების გამო გერმანიის ელჩს მოსკოვში დაევალა სთხოვოს საბჭოთა მთავრობას, რათა უკანასკნელმა დაუყოვნებლივ მისცეს სწორი განმარტებანი: როგორი კონკრეტული ბრალდებები აქვს წაყენებული დაპატიმრებულთ და როგორი საბუთები არსებობს ამ ბრალდებათა დასამტკიცებლად?

ამავე დროს არსებულ ხელშეკრულებათა დებულების მიხედვით წამოყენებულ იქნება მოთხოვნილება, რომ გერმანიის გენერალურ კონსულს ხარკოვში დართონ დაპატიმრებული გერმანელი ქვეშევრდომების ნახვის უფლება.

გარდა ამისა, გერმანიის გარეშე საქმეთა მინისტრმა საბჭოთა ბერლინელ ელჩის ყურადღება მიაქცია იმ მღელვარებაზე, რომელიც ინციდენტმა გამოიწვია გერმანიის საზოგადოებრივ წრეებში და კერძოდ იმ წრეებში, რომლებიც მონაწილეობას იღებენ რუსეთთან ეკონომიურ ურთიერთობაში. გერმანიის გარეშე საქმეთა მინისტრმა საბჭოთა ელჩს აცნობა, რომ ინციდენტის შემდეგ შექმნილი მდგომარეობა სპობს ეკონომიური მოლაპარაკების წარმატებით დამთავრების ერთ-ერთ არსებით წინასწარ პირობას, და ამიტომ გერმანიის მთავრობა აუცილებლად სთვლის ჯერ - ჯერობით შესწყვიტოს ეს მოლაპარაკება.

მაგრამ გერმანიის მთავრობა იმედოვნებს, რომ ინციდენტის სასწრაფოდ მოგვარების საშუალებით შეიქმნება საფუძველი მოლაპარაკების დაჩქარებით განახლებისათვის".

ამხ. ჩიჩერინის საუბარი გერმანიის ელჩთან

მოსკოვი, 17 მარტი. საკავშირო დეპეშათა სააგენტოს ცნობით, გარეშე საქმეთა სახალხო კომისარს ამხ. ჩიჩერინს საუბარი ჰქონდა გერმანიის ელჩთან გერმანია - საბჭოთა კავშირის ეკონომიური მოლაპარაკების შესახებ.

ამხ. ჩიჩერინმა აღნიშნა, რომ ეს მოლაპარაკება დაწყებულ იქნა გერმანიის ინიციატივით გერმანიის მთავრობის კრიზისამდე და მიზნად ისახავდა საბჭოთა კავშირის და გერმანიის ეკონომიურ ურთიერთობის შემდგომ გაუმჯობესებას და ამ ორ სახელმწიფოს შორის საქონლის ბრუნვის გაფართოებას. საბჭოთა მთავრობა დასთანხმდა გერმანიის მთავრობის წინადადებაზე. მიუხედავათ ამისა, გერმანიის მთავრობის კრიზისმა, რომელსაც ადგილი ჰქონდა მოლაპარაკების პერიოდში, როგორც სჩანს, ხელი შეუშალა. ამ მოლაპარაკების განვითარებას. ამ გარემოებამ მოლაპარაკების დროს გამოხატულება ჰპოვა გერმანიის პრესის ფურცლებზე.

ამ დღეებში გერმანიის მთავრობამ რამოდენიმე გერმანელი ინჟინერის დაპატიმრება ეკონომიურ კონტრ - რევოლიუციაში მონაწილეობისათვის გამოიყენა ბერლინში გამართულ მოლაპარაკების ჩასაშლელად. ამით მან თავის თავზე მიიღო პასუხისმგებლობა მოლაპარაკების ჩაშლისათვის.

აშკარაა, რომ რამოდენიმე გერმანელი ინჟინერის დაპატიმრების ფაქტი ვერ გამოდგება მოტივად მოლაპარაკების შეწყვეტისათვის. აღნიშნული პირები დაპატიმრებული არიან საბჭოთა სასამართლო - საგამომძიებლო ხელისუფლების განკარგულებით საბჭოთა კანონების საფუძველზე და საბჭოთა სასამართლოზე ზეგავლენის მოხდენის ყოველივე ცდა უნაყოფოა და მიზანს ვერ მიაღწევს. (ადს)

ამერიკის მუშათა დელეგაციის ანგარიში

საბჭოთა კავშირში მოგზაურობის შესახებ

ნიუ-იორკი, 16 მარტი. საბჭოთა კავშირიდან დაბრუნებულ ამერიკის მუშათა დელეგაციის წევრები ჩიკაგოში მრავალრიცხოვან მიტინგზე გამოვიდენ საანგარიშო მოხსენებით საბჭოთა კავშირის მდგომარეობის შესახებ. ორატორები აღნიშნავდენ თვალსაჩინო განსხვავებას საბჭოთა პროლეტარიატის მდგომარეობას და ამერიკელი მუშის არსებობის მძიმე პირობებს შორის. მუშათა საინფორმაციო სააგენტოს დირექტორმა გესლერმა განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირის მუშები ერთსულოვნად მხარს უჭერენ ახალ სოციალურ წყობილებას. (ადს)

ესტონეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა

რეველი, 16 მარტი. ესტონეთის პრესა იუწყება, რომ გარეშე საქმეთა მინისტრის რებონეს წინადადებით შედგა მინისტრთა საბჭოს სასწრაფო სხდომა, რომელზედაც დადგენილ იქნა დაინიშნოს განსაკუთრებული კომისია „ესტონეთ- საბჭოთა კავშირის ეკონომიური და სავაჭრო ურთიერთობის" გამოსაკვლევად. კომისიის თავმჯდომარეთ არჩეულია რებონე. კომისიამ განიხილა საბჭოთა კავშირთან ეკონომიური ურთიერთობის გაფართოების და განმტკიცების საკითხი. (ადს)

მდგომარეობა ჩინეთში

ანტი-იაპონური ბოიკოტი ამოეში ფართოვდება

ტოკიო, 16 მარტი. ანტი-იაპონური მოძრაობა ამოეში (ნავთსადგური ფუ-ძიანის პროვინციაში) ძლიერდება. გომინდანმა ბოიკოტი გამოუცხადა იაპონიის საქონელს და ხელს უშლის იაპონიის გემების დატვირთვას და გადმოტვირთვას. გომინდანის წრეები მოითხოვენ იაპონიის პოლიციისა და იაპონიის კონცესიის გაუქმებას (ადს).

სუნ-ჩუან ფანმა გაარღვია ფრონტი

შანხაი, 16 მარტი. იუწყებიან, რომ სუნ-ჩუან-ფანის ჯარებმა გაარღვიეს ფინ-იუსიანის ჯარების ხაზი გუეიდის რაიონში—ხენანის პროვინციაში. ხენანის პროვინციაში მყოფ ფინ-იუ-სიანის ჯარებსა და ცზიანსუს პროვინციაში მყოფ ჩან-კაი-შის ჯარებს შორის კავშირი შეწყვეტილია (ადს).

სიკვდილით დასჯა კანტონში

შანხაი, 16 მარტი. იუწყებიან, რომ კანტონში კვლავ სიკვდილით დასაჯეს ბევრი კომუნისტები (ადს).

რევოლიუციონური ჯარების ბრძოლა

შანხაი, 16 მარტი. სამაზრო ქალაქებიდან ხაიფინიდან და ლუფინიდან განდევნილმა რევოლიუციონურმა ჯარებმა დაიჭირეს ქალაქები გუეტმა და გუიცზიანი სვატოუდან 200 კილომეტრის მანძილზე. აფეთქებულია სვატოუსაკენ მიმავალი რკინისგზის ლიანდაგი (ჩაჩოუს ხაზზე, სადგურ ეჩაოს მახლობლად) და აგრეთვე სვატოუსათვის წყლის მიმწოდებელი მაგისტრალი (ადს).

ავღანისტანის ფადიშაჰი ინგლისში

ლონდონი, 16 მარტი. ავღანისტანის ფადიშაჰი ჩავიდა ბირმინგამში.

ავღანისტანის მისია ლონდონში უარყოფს ხმებს, თითქოს ფადიშაჰმა, ვითომდაც, მის წინააღმდეგ აღმოჩენილი შეთქმულების გამო უარი სთქვა საბჭოთა კავშირში გამგზავრებაზე. ამ ხმებს ავრცელებდა ინგლისის ზოგიერთი გაზეთები, კერძოთ, „დეილი ექსპრეს". (ადს)

ინდოელები ფადიშაჰს აფრთხილებენ

ბერლინი, 16 მარტი. ავღანისტანის ფადიშაჰს ბერლინში ყოფნის დროს ცენტრალურ ევროპაში მცხოვრებ ინდოელთა კავშირმა მიმართა მას წერილით, რომელშიაც კავშირი მოაგონებს ფადიშაჰს, რომ ავღანისტანის ბედ-იღბალი მჭიდროთაა დაკავშირებული ინდოეთისა და ინგლისის იმპერიალიზმის უღლის ქვეშ მოქცეული აზიის ერების ბედ-იღბალთან.

„სანამ ინდოეთი ინგლისის მფლობელობის ქვეშ იქნება,— ნათქვამია წერილში, — მის საზღვარზე არ შესწყდება ომები ავღანისტანისა, სპარსეთისა რუსეთისა და ჩინეთის წინააღმდეგ. თქვენ უნდა იცოდეთ ის ფართო მზადება, რომელიც ინდოეთში სწარმოება მისი სიმდიდრის გამოყენების მიზნით, იმ მეზობლებისათვის ომის გამოსაცხადებლად, რომლებიც თანაგრძნობით ეკიდებიან დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას".

წერილი მოუწოდებს ფადიშაჰს ახსოვდეს, რომ ავღანელი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებმა უნდა აიძულონ ფადიშაჰი მატერიალური და მორალური დახმარება აღმოუჩინოს ინდოეთის განმანთავისუფლებელ მოძრაობას ინგლისის იმპერიალიზმის წინააღმდეგ

უკანასკნელი ცნობები

გერმანელ ინჟინრების დაპატიმრების გამო

ბერლინი, 17 მარტი. დღეს მთელი ბურჟუაზიული და სოციალ-დემოკრატიული პრესა გაცილებით უფრო თავდაჭერით მსჯელობს საბჭოთა კავშირში გერმანელი ინჟინრების დაპატიმრების შესახებ. პოლიტიკურ წრეებში აღნიშნავენ, რომ წერილობითი მიმართვა, რომელიც შტრეზემანმა კრესტინსკის გადასცა, არ შეიცავს თხოვნას იმის შესახებ, რომ გერმანელი დამცველები დაშვებულ იქნან დაპატიმრებულ გერმანელ ინჟინრების პროცესში მონაწილეობის მისაღებად. გარდა ამისა, პოლიტიკურ წრეებში აღნიშნავენ: მოთხოვნილება იმის შესახებ, რომ გერმანიის ხარკოველ კონსულს უფლება მიეცეს ინახულოს დაპატიმრებული გერმანელი მოქალაქეები. დამყარებულია გერმანია-საბჭოთა ხელშეკრულების დამატებითი ოქმზე.

ბერლინი, 17 მარტი. „ფორვერტსის" და აგრეთვე გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის საპარლამენტო ფრაქციის გაუგონარი მკაცრი პოზიცია საბჭოთა კავშირში გერმანელი ინჟინრების დაპატიმრების საკითხში,— აღშფოთებას იწვევს სოციალ-დემოკრატ მუშათა წრეებშიაც. ეს აღშფოთება მკაცრად იხატება სოციალ-დემოკრატიული პარტიის მემარცხენე ფრთის ზოგიერთ ხელმძღვანელ ორგანოებში. მაგალითად, „ხემნიცერ ფოლკსშტიმე" სწერს: თუ გერმანელმა ინჟინრებმა მართლაც საბოტაჟისათვის და პოლიტიკური ინტრიგებისათვის გამოიყენეს საბჭოთა კავშირში მუშაობის შესაძლებლობა, მაშინ არავითარი დასაგმობი სიტყვა მათ მიმართ საკმაოდ ძლიერი არ იქნება. რაც შეეხება საბჭოთა მთავრობას, იგი, გაზეთის სიტყვით, „არა მარტო სრულიად სამართლიანად მოიქცა, თავდაცვის ზომები რომ მიიღო, არამედ თავისი მოვალეობაც აასრულა რუსეთის ხალხის მიმართ". (ადს).

საბჭოთა დელეგაცია მოსკოვში გაემგზავრა

ბერლინი, 16 მარტი. გერმანიასთან ეკონომიური მოლაპარაკების მწარმოებელი საბჭოთა დელეგაცია 17 მარტს მოსკოვში მიემგზავრება (ადს).

პურის დამზადება

მოსკოვი, 17 მარტი. საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ცნობებით, პურის დამზადების კამპანიის დაწყებიდან 1 მარტამდე დამზადებულია 9.296.000 ტონა პური. შარშანდელ პურის დამზადების კამპანიის 8 თვის განმავლობაში დამზადდა 9.409.000 ტონა, 1925—26 წ. კამპანიის ამავე პერიოდში—7.279.000 ტონა (ადს).

ბელორუსთა გრომადის პროცესი

ვილნო, 16 მარტი. გრომადის პროცესის მეათე დღეს, საღამოთი, მოწმედ გამოვიდა სეიმში არჩეულ ინოვგოროდსკის დეპუტატი, გრომადის წევრი დვორჩანინი. თავმჯდომარის შეკითხვაზე, თუ რის თქმა შეუძლია მას, მოწმემ განაცხადა: „შემიძლია ვსთქვა, რომ აქ ხდება უდიდესი უსამართლობა". პროცესის მეთერთმეტე დღის თვალსაჩინო ნაწილი მოუნდა მეორე განყოფილების ოფიცრის მიხალსკის ჩვენებას დახურულ სხდომაზე. შემდეგ მოწმემ კოლიცკიმ, ოხრანკის ინფორმატორმა, სხაპა-სხუპით უამბო სასამართლოს, თუ ბრალდებული მეტლა როგორ მოუწოდებდა მოსახლეობას, რომ მომზადებულიყო „საულეტად და ასაჯანყებლად", „თუ პოლონეთი თავისი ნებით არ დაუთმობდა საბჭოთა კავშირს ბელორუსიის ტერიტორიის ნაწილს". ირკვევა, რომ მოწმეს მეტლას ეს სიტყვები პირადად თითონ არ გაუგონია. (ადს).

კომპარტიის ხელმძღვანელობით

ლონდონი, 16 მარტი. ლანკაშირში შესდგა ფეიქართა კონფერენცია, რომელიც კომპარტიის ხელმძღვანელობით ჩატარდა. ერთხმად მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელიც მოუწოდებს ბრძოლისაკენ იმ შემთხვევაშიაც კი, თუ პროფკავშირთა ბელადები უღალატებენ მუშების საქმეს. რეზოლიუცია მოითხოვს ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების დაარსებას, თვითეულ რაიონში გაერთიანებულ კომიტეტის შექმნას ფაბრიკების და პროფკავშირების წარმომადგენლებისაგან, საქარხნო კომიტეტების ხელმძღვანელი ცენტრის ორგანიზაციას, ტრედიუნიონთა საგანგებო კონფერენციის მოწვევას, საერთაშორისო კონფერენციის მოწვევას ინგლისის, ჩინეთის და ინდოეთის ფეიქართა საერთო სამოქმედო პროგრამის შემუშავებისათვის.

ასი წელი იბსენის დაბადებიდან

ოსლო, 16 მარტი. 15 მარტს დაიწყო საზეიმო დღესასწაული ნორვეგიის ცნობილ დრამატურგის გენრიხ იბსენის დაბადებიდან ასი წლის შესრულების გამო. ოსლოში გაიხსნა იბსენისათვის მიძღვნილი გამოფენა. გაზეთებმა გამოუშვეს სპეციალური ნომრები იბსენის ხსოვნის აღსანიშნავად. ნაციონალურ თეატრში წარმოდგენილ იქნა იბსენის დრამა „ბრანდ", წარმოდგენას დაესწრენ მთავრობის ყველა წევრები, პარლამენტის დეპუტატები და სხვადასხვა ქვეყნის, მათ შორის საბჭოთა კავშირის დელეგატები. (ადს)

ომი ნიკარაგუაში

ნიუ-იორკი, 16 მარტი. ჩრ.-ამერიკის შეერთებულ შტატების შეიარაღებული ძალების სარდალმა ნიკარაგუაში გასცა ბრძანება, რომელშიაც მოითხოვს აჯანყებულთა მოძრაობის ლიკვიდაციას ორი თვის განმავლობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში წვიმები ხელს შეუშლის კამპანიის გაგრძელებას სანდინოს წინააღმდეგ.

სანდინოს მიერ ჩრ.-ამერიკის შეერთებულ შტატების სენატისადმი გაგზავნილი წერილიდან ირკვევა, რომ ჩრ.-ამერ. შეერ. შტატების შეიარაღებული ძალების სარდალმა ნიბის შეიარაღებული ძალების სარდალმა ნიკარაგუაში წინადადება მისცა მას დაეწყოთ მოლაპარაკება, მაგრამ სანდინომ უარყო წინადადება და მოითხოვა ამერიკის ჯარების გაყვანა (ადს).

პროვოკატორის მოკვლა

ვილნო, 16 მარტი. „კურიერ პორანის" ვილნელი კორესპოდენტი იუწყება, რომ 16 მარტს. ღამე ვილნოს მესამე ხარისხოვან რესტორანში რევოლვერით მოჰკლეს ბელორუსთა გრომადის პროცესის მთავარი მოწმე, ცნობილი პროვოკატორი გურინი. მკვლელი დაპატიმრებულია. მან განაცხადა: გვარად პეკარსკი ვარ და ხლონიმიდან მოვედი (ადს).

მინისტრები სპეკულიანტები

კოვნო, 16 მარტი. დაპატიმრებულია სოფლის მეურნეთა კავშირის თავმჯდომარე მიკშისი, აგრეთვე გარეშე საქმეთა მინისტრი კრაუჯიალისი, რომელთაც ბოროტმოქმედება ბრალდებათ ლიტვის არმიისათვის ქონის მიწოდების დროს. დაპატიმრებულია აგრეთვე ფინანსთა ყოფილი მინისტრი პეტრულისი, რომელსაც ქრთამის აღება ბრალდება. (ადს)

საბჭოთა ოქროს გარშემო

სოციალისტები წინააღმდეგი არიან ბანკის აფიორის

პარიზი, 16 მარტი. სოციალისტური გაზეთი „სუარ"-ი აღშფოთებულია საფრანგეთის ბანკის ცდით— ხელში ჩაიგდოს ამერიკაში გაგზავნილი საბჭოთა ოქრო. გაზეთს შეუძლებლად მიაჩნია საბჭ. წყობილებასა და მეფის რეჟიმს შორის თანმიმდევრობითი კავშ. დამყარება და საფრანგეთის ბანკის გამოსვლას სრულიად უსაფუძვლოდ სთვლის. გაზეთი აღნიშნავს, რომ საფრანგეთმა ინტერვენციის დროს დიდი ზარალი მიაყენა საბჭოთა კავშირსა და მის მეურნეობას, რომელსაც ანაზღაურება სჭირდება. (ადს)

პოლონეთ-ლიტვის ურთიერთობა

პოლონეთი თანახმაა მოლაპარაკების დაწყებაზე

ვარშავა, 16 მარტი. პოლონეთის მთავრობამ ლიტვის მთავრობას მიმართა ნოტით, რომელშიაც აცხადებს, რომ ის მომხრეა მოლაპარაკების და წინადადებას იძლევა მოლაპარაკება გამართოს მარტში— ქ. კენიგსბერგში.

კომუნის დროშა



ა.-კ. ცაკის სესია ბაქოში

16 მარტის დილის სხდომა

კამათი ამხ. ბუნიატ-ზადეს მოხსენების გარშემო

ბაქო, 16 მარტი. სესიის 16 მარტის დილის სხდომა იხსნება ამხ. აგა-მალი-ოღლის თავმჯდომარეობით. იწყება კამათი ამხ. ბუნიატ-ზადეს მოხსენების გარშემო.

ამხ. პირ-ბაშირ კასუმოვის სიტყვა

ამხ. პირ-ბაშირ კასუმოვი (სალიანი) ჩერდება წყლის საკითხზე და ამბობს, რომ ბამბის საკითხი დაკავშირებულია წყლის საკითხთან. შარშან ჩვენ ვერ მოვაგვარეთ თავის დროზე წყლის საკითხი. 10 თუ 15 აპრილს უნდა დაიწყოს ბამბის თესვა, ამისთვის კი საჭიროა წყალი, ამავე დროს ა. კ. ფინსახკომმა მხოლოდ 1 მარტს გაუხსნა კრედიტი საკრედიტო ამხანაგობებს. ამრიგად, დაახლოვებით ერთი თვე—40 დღე დარჩა წყლის საქაჩავების შესაკეთებლად. საჭიროა აგრეთვე თავის დროზე იქნეს მიღებული ზომები მებამბეობის რაიონებისათვის პურისა და მანუფაქტურის მოსაწოდებლად.

ამხ. ფარაჯის სიტყვა

ამხ. ფარაჯის (შემახის მაზრა) აუცილებლად საჭიროდ მიაჩნია გლეხებისათვის სასოფლო-სამეურნეო მანქანების მიწოდების გაძლიერება.

ამხ. ვეზიროვის სიტყვა

ამხ. ვეზიროვი (განჯა) ფიქრობს, რომ მებამბეობის განვითარების შემაფერხებელ მთავარ მიზეზს წარმოადგენს წყლის ნაკლებობა. დიდი სარწყავი არხების გაყვანასთან ერთად ამბობს ორატორი ჩვენ აუცილებლად უნდა შევაკეთოთ ადგილობრივი სარწყავი სისტემა. ამ სისტემას რომ მოვიყვანდეთ წესრიგში, მე მგონია, გლეხები 50 პროც. გაადიდებენ სათესი მოედნის სივრცეს. მებამბეობის განვითარებაზე უსათუოდ გავლენას ახდენენ ისეთი მომენტებიც, როგორიცაა გლეხებისათვის თავის დროზე პურისა და ბარდანების მიუწოდებლობაა. ყოველივე ამას ჩვენ სერიოზული ყურადღება უნდა მივაქციოთ.

მთელ რიგ ორატორების გამოსვლის შემდეგ საბოლოო სიტყვით გამოდის ამხ. ბუნიატ-ზადე.

ამხ. ბუნიატ-ზადეს საბოლოო სიტყვა

თავის საბოლოო სიტყვაში ამხ. ბუნიატ-ზადე ჩერდება კამათში აღძრულ საკითხებზე.

„მთავარი ყურადღება,—ამბობს ამხ. ბუნიატ-ზადე,—ამხანაგებმა მიაქციეს ბამბის მოსავლიანობის გადიდების საკითხს. მართალია, ჩვენს აგრონომიულ საჩვენებელ პუნქტებში ვღებულობთ 120 და 150 ფუთ ბამბას. ამ დროს, როცა ამ პუნქტების მეზობლად გლეხებს მოჰყავთ 40—50 ფუთი და ზოგჯერ ნაკლებიც, ჩვენი მებამბეობა მოითხოვს დიდ ყურადღებას. თუ გლეხობას არ ექნება თესლი, არ ექნება სასოფლო-სამეურნეო იარაღები და სხ.,—ეს, რა თქმა უნდა შეამცირებს მოსავლიანობას.

მოსავლიანობაზე გავლენას ახდენს აგრეთვე ნათესების დაგვიანებით მორწყვაც. ამიტომ მართალია პირ-ბაშირ კასუმოვი, რომელიც ამბობდა, რომ მორწყვა საჭიროა არა უგვიანეს 10—15 აპრილისა. ჩვენ არ შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ჩვენ გლეხობას არ ესმის დამუშავების ახალი მეთოდები. მოსავლიანობის გადიდების საქმეში დიდი როლი უნდა ითამაშონ სპეციალისტებმა აგრონომიულმა პერსონალმა.

თუ წინად ჩვენ აგრონომებს, თუნდა აზერბეიჯანში, თითზე ჩამოვთვლიდით, დღეს უკვე ათასზე მეტი გვყავს. მაგრამ ჩვენი უბედურება იმაშია, რომ ამ აგრონომებმა არ იციან ადგილობრივი ენა. ამიტომ გლეხები უნდა წავიყვანოთ დროებით სამუშაოდ ჩვენს საცდელ დაწესებულებებში, სელექციურ სადგურებში და სხ. ამასთანავე ერთად უნდა გავაძლიეროთ სასოფლო-სამეურნეო მუშაკების მომზადება ადგილობრივ მოსახლეობიდან.

შემდეგ ბუნიატ-ზადე ეხება თესლისა და მინერალური სასუქის საკითხს და მიუთითებს ამერიკელ პროფესორ ვერბახის ცდებზე, რომლებმაც დიდი დადებითი შედეგები გამოიღო. ამხ. ბუნიატ-ზადე ამბობს: „ამერიკაში იკვლევენ სხვადასხვა რაიონების ნიადაგს და ზოგიერთ ნიადაგში პოულობენ სასუქ ნივთიერებას, რომლებიც სამარშრუტო მატარებლებით გადააქვთ ერთი რაიონიდან მეორეში. ამიერ-კავკასიის სასოფლო მეურნეობა კი საერთოდ არ ყოფილა შესწავლილი. ნიადაგის გამოკვლევა ჩვენში არ სწარმოებდა. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაიწყო ეს კოლოსალური მუშაობა. მე მახსოვს ამერიკელ მწერალის—ჰარიტონის წიგნი ვერბახის საცდელი მინდვრების შესახებ. ამ წიგნის წინასიტყვაობა დაწერა ვლადიმერ ილიჩმა. ვლადიმერ ილიჩი ამ წინასიტყვაობაში მიმართავს საბჭოთა კავშირის შესაფერის დაწესებულებებს და სპეციალისტებს და ასეთ კითხვას სვამს: რა გაკეთდა ჩვენს ქვეყანაში და რა უნდა გაკეთდეს, რომ ასეთ შედეგებს მივაღწიოთ. ვლადიმერ ილიჩის მითითებით, ჩვენ უნდა მოვახდინოთ კატეგორიული ჩვენს სოფელში მოსავლიანობის გადიდების მხრით“.

ამხ. ბუნიატ-ზადის მოხსენების ირგვლივ სესია ღებულობს წინადადებას, რომ ა.-კ. მებამბეობის კომიტეტის მუშაობა მოწონებულ იქნეს და ირჩევს კომისიას პრაქტიკულ წინადადებების შესამუშავებლად. (ადს).

16 მარტის საღამოს სხდომა

ამიერ-კავკასიის ბიუჯეტი

ამხ. გუსეინოვის მოხსენება

ბაქო, 16 მარტი. 16 მარტს ამიერ-კავკასიის ცაკის საღამოს სხდომაზე ა. კ. ს. ს. ფ. რესპუბლიკის გაერთიანებულ სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ მოხსენება გააკეთა ა. კ. ს. ფ. ს. რ. ფინანსთა სახალხო კომისარმა ამხ. გუსეინოვმა.

„მე ვილაპარაკებ ჩვენი ბიუჯეტის შესახებ —ამბობს ამხ. გუსეინოვი—იმ ცვლილებების აღნიშვნით, რომელიც შეიტანა მასში საკავშირო სახ. კომისართა საბჭომ. ჩვენი ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილი მოსკოვში რამოდენიმეთ გაადიდეს, გასავლის ნაწილის ზოგიერთი მუხლები შემცირდა, ზოგიერთი—გაიზარდა, საერთოდ კი რამოდენიმედ შემცირდა.

ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილი ჩვენს ვარაუდთან შედარებით გაიზარდა 7 ნახ. პროცენტით, იმ დროს, როცა უკრაინის ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილი გადიდებულ იქნა თითქმის 15 პროცენტით, თურქმენისტანის—16 პროცენტით, საბჭოთა რუსეთის 7 ნახ. პროც. გადიდება უმთავრესად შეეხო სასოფლო-სამეურნეო გადასახადს, სამრეწველო გადასახადს და სატყეო მრეწველობის შემოსავალს. ჩვენ შემოსავალი გამოანგარიშებული გვქონდა 87.871.000 მან. რაოდენობით, საკავშირო სახ. კომისართა საბჭომ კი ეს შემოსავალი გაადიდა 93.487.000 მანეთამდე. მიუხედავად ამისა ჩვენი შემოსავალი მაინც ვერ ფარავს გასავალს, თუმცა დეფიციტი მიმდინარე წელს გაცილებით უფრო ნაკლებია, ვინემ წარსულ წელს 8,7 პროც. 15 ნახ. პროცენტის მაგიერ. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ სავსებით არ ვეთანხმებით იმ ციფრებს, რომლებიც საკავშირო სახ. კომისართა საბჭომ მიიღო ჩვენი ბიუჯეტის გასავლის ნაწილის მიმართ და ვფიქრობთ, რომ საკავშირო ცაკის მახლობელი სესია 10 აპრილს, რომელზედაც დამტკიცებულ იქნება ყველა მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტები, დაგვეთანხმება იმაზე, რომ ჩვენი ბიუჯეტის გასავლის ნაწილის ზოგიერთი მუხლები საჭიროა გადიდებულ იქნეს.

ჩვენ უნდა აღვნიშნოთ ის სასიამოვნო მოვლენა, რომ არასაგადასახადო შემოსავალი ჩვენს ბიუჯეტში იზრდება და მიმდინარე წელს უდრის 55 პროცენტს, წარსული წლის 52,4 პროცენტთან შედარებით.

მე დაწვრილებით არ შევეხები ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილს და მხოლოდ მივაქცევ სესიის ყურადღებას ერთ მნიშვნელოვან მომენტს: მიმდინარე წელს 1-ლ 4 თვის განმავლობაში ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილის შესრულება გაცილებით უფრო ცუდია, ვინემ წარსული წლის პირველი 4 თვის განმავლობაში. 4 თვის განმავლობაში ჩვენ შევასრულეთ ჩვენი წლიური შემოსავლის მხოლოდ 24 ნახ. პროცენტი წარსული წლის 34 პროცენტთან შედარებით. მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ნაწილში 1 თებერვლამდის შესრულებულია უფრო მეტი, ვინემ წარსულ წელს. საჭიროა ენერგიული ზომები შემოსავლის შესრულების გასაუმჯობესებლად. აქეთკენ უნდა იქნეს მიმართული მთელი ჩვენი ძალღონე.

წარსულ წელს ჩვენ წარმატებით ჩავატარეთ წარმოება-დაწესებულებების და კერძო პირების დავალიანებათა ლიკვიდაციის კამპანია და გადასახადების დარგში ჩვენი შემოსავლის ნაწილი შევასრულეთ გათვალისწინებული ნორმის საგრძნობი გადამეტებით. როგორც ჩანს, ჩვენ დაგვავიწყდა, რომ ამ კამპანიას ტემპი არ უნდა შესუსტდეს. ჩვენ უნდა გავიმეოროთ ის ღონისძიებები, რომლებიც მიღებულ იქნა წარსულ წელს გადასახადების აკრეფის ტემპის გასაძლიერებლად.

რამდენად ასრულებენ ჩვენი გადასახადები კლასობრივ ურთიერთობის რეგულიატორის როლს? პირველ ყოვლისა განვიხილოთ კლასობრივი მიღწევები ქალაქის მოსახლეობის დაბეგვრის დარგში. კერძო კაპიტალის შემოსავლის აღრიცხვა და ამისი სწორად დაბეგვრა მეტად ძნელი საქმეა, მაგრამ ამ მხრივ ჩვენს საგადასახადო აპარატს უკანასკნელ დროს მნიშვნელოვანი მიღწევები აქვს. ჩვენში კერძო კაპიტალის დაბეგვრა ხდება ორგვარად. შემოსავლის კვალობითი გადასახადით იბეგრება საერთოდ ყოველგვარი შემოსავალი, ხოლო სპეციალურად სავაჭრო და სამრეწველო კაპიტალის დასაბეგვრათ არსებობს სარეწაო გადასახადი. წარსული წლის დასაწყისში შემოსავლის კვალობითი გადასახადი რამოდენიმეთ შეცვლილ იქნა მისი კლასობრივი ელემენტების გაძლიერების ხაზით. დაბეგრილ მუშათა და მოსამსახურეთა და აგრეთვე ხელოსნებისა და შინამრეწველების რიცხვი 50 პროცენტით შემცირდა და გაძლიერდა არამშრომელ ჯგუფების დაბეგვრა. 1925—26 წელს უკანასკნელნი იხდიდენ მთელი შემოსავლის კვალობითი გადასახადის 65 პროცენტს, ხოლო 1926—27 წელს—78 პროცენტს.

სარეწაო გადასახადის დარგში 1926—27 წელს ჩვენ შევსძელით კერძო კაპიტალის ბრუნვის აღრიცხვა 21 პროცენტით უფრო მეტად, ვინემ წინა წელში და დაბეგვრა გავადიდეთ 50 პროცენტით. რაც შეეხება სოფლის დაბეგვრას, აქ გაუმჯობესდა სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ობიექტების აღრიცხვა. მაგალითად, ნათესებზე ჩვენ გვაქვს სასოფლო სამეურნეო გადასახადის ობიექტების ზრდა 7 პროცენტით, ბამბაზე—11 პროც. საერთოდ, სოფლად შემოსავლის დაბეგვრის საქმეში ჩვენ ჯერ კიდევ გვაქვს ნაკლულოვანებები.

ორი სიტყვით შევჩერდები მომავალი წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის პროექტზე. ცვლილებები მიდის, პირველ ყოვლისა სასოფლო-სამეურნეო გადასახადის თანხის შემცირების ხაზით. აქ გათვალისწინებულია გლეხობას შეძლებულ ფენების დაბეგვრის გაძლიერება. სხვა ცვლილებები მიმართულია გლეხობის, განსაკუთრებით მისი შეძლებული ნაწილის შემოსავლის სისწორით აღრიცხვისაკენ. საერთოდ შემოსავლიანობის ნორმები რამოდენიმეთ გადიდებულ იქნება. ბამბის მიმართ ნორმა უცვლელი რჩება, ხოლო ჩაის მიმართ შეიძლება კიდეც შემცირდეს. მიმდინარე წელს კანონი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ უნდა გამოუშვათ იმ ანგარიშით, რომ აგვისტოში და სექტემბერში სასოფლო-სამეურნეო გადასახადი ავკრიფოთ გაცილებით უფრო მეტი, ვინემ ჩვეულებრივათ, დაახლოვებით, 20 პროცენტამდე. ადგილებზედ საჭიროა მიღებულ იქნეს ყოველივე ზომები იმისათვის, რომ გლეხობას თავის დროზე, არა უგვიანეს 15 ივლისისა ჩაბარდეს საგადასახადო ფურცლები.

სახელმწიფო შემოსავალთა შორის განსაკუთრებით იზრდება სახელმწიფო სესხები. 1926—27 წელს ჩვენ გავანაღდეთ სახელმწიფო სესხი 2.688.000 მანეთის რაოდენობით, 1925—26 წლის 857.000 მან. შედარებით. მიმდინარე წელს პირველ 5 თვის განმავლობაში განაღდებულია 7.839.000 მანეთი. ამიერ-კავკასიისათვის ეს თანხა საკმაოდ მნიშვნელოვანია. მე ვფიქრობ, რომ გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხს ჩვენ გავანაღდებთ თავის დროზე და მთელი ასი პროცენტით. მომავალში ჩვენ კიდევ უფრო უნდა გავაძლიეროთ ჩვენი ყურადღება სახელმწიფო სესხების რეალიზაციისადმი.

ეხლა ნება მომეცით გადავიდე ჩვენი ბიუჯეტის გასავლის ნაწილზე. მისი საერთო რაოდენობა უდრის 96.996.000 მანეთს. წარსულ წელს შეადგენდა 85.398.000 მანეთს, ე. ი. გასავლის ნაწილი გაიზარდა 13 ნახ. პროცენტით. ადგილობრივ ბიუჯეტთან ერთად ამიერ-კავკასიის ბიუჯეტი მიმდინარე წელს აღემატება 200 მილიონ მანეთს. წარსულ წელს სახალხო მეურნეობაზე გაწეული ხარჯები შეადგენდა ჩვენი ბიუჯეტის 23,3 პროცენტს, მიმდინარე წელს 27,7 პროც. სხვათა შორის, 1924—25 წელს ეს ხარჯები შეადგენდნენ სულ 1,7 პროცენტს. თქვენ ხედავთ რა დიდი ნაბიჯი გადავსდგით ჩვენ სამი წლის განმავლობაში ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის გატარების საქმეში. იმ დროს, როცა ხარჯები სახალხო მეურნეობაზე იზრდება, ხარჯები სახალხო კომისარიატებზე თანდათან ეცემა და მიმდინარე წელს შეადგენს 35,9 პროცენტს წარსული წლის 40,3 პროცენტთან შედარებით. ამიერ-კავკასიის სახალხო მეურნეობისათვის ჩვენ გვაქვს მთელი რიგი ასიგნობები აგრეთვე საკავშირო ბიუჯეტიდან „არმიდ“-ისათვის, აზნავთისათვის, ირიგაციაზე, ელექტროფიკაციაზე და სხვა. მრეწველობისაგან (გარდა „არმიდ“-ისა და აზნავთისა) ჩვენ მიმდინარე წელს მივიღეთ პროდუქცია 82 პროცენტით მეტი ვინემ წარსულ წელს.

ცვლილებები, რომლებიც საკავშირო სახ. კომისართა საბჭომ შეიტანა ჩვენი ბიუჯეტის გასავლის ნაწილში მისი შემცირების მხრივ, ეხება უმთავრესად სახალხო კომისარიატებს. იმ დროს, როცა სახალხო მეურნეობისათვის ასიგნობები, პირიქით, გაიზარდა. ჩვენ საკავშირო სახ. კომისართა საბჭოს არ ვეთანხმებით საქართველოში ქაღალდის ფაბრიკის აგების და ელექტროფიკაციაზე გაღებულ თანხების საკითხში.

საკავშირო სახ. კომისართა საბჭომ გამოიტანა დადგენილება გადასდოს მომავალ წლისათვის ქაღალდის ფაბრიკის აგება ჩვენ საჭიროდ ვთვლით ვთხოვოთ საკავშირო ცაკს დაამტკიცოს ის გადაწყვეტილება, რომელიც ამ საკითხის გარშემო გამოიტანა ამიერ-კავკასიის ცაკის პრეზიდიუმმა, სახელდობრ გადიდებულ იქნეს მიმდინარე წელს ფაბრიკის ასაგებათ 1 მილიონი მანეთი. ელექტროფიკაციის დარგში საკავშირო სახ. კომისართა საბჭოს დადგენილებით ჩვენ გვეძლევა ნაკლები, ვინემ წარსულ წელს. ამიერ-კავკასიის ცაკის პრეზიდიუმმა დაამტკიცა ციფრი 3.300.000 მან. რაოდენობით, საკავშირო სახ. კომისართა საბჭომ მიიღო 1.856.000 მან. ჩვენის აზრით ეს ციფრი არ არის საკმარისი დაწყებულ სადგურების აგების განსაგრძობათ. ამ მიზნისათვის ჩვენ კიდევ დაგვჭირდება, სულ ცოტა 1 მილიონი მანეთი, რის შესახებ შუამდგომლობა აღძრულ იქნება საკავშირო ცაკის წინაშე.

ჩვენ მიერ გადადებული თანხები სასოფლო მეურნეობისათვის საკავშირო სახკომსაბჭომ არა თუ მიიღო სავსებით არამედ ზოგიერთ დარგში გაადიდა კიდეც. კოლექტივიზაციისა და ღარიბი გლეხობის დასახმარებლად გადადებულია 900.000 მან., ამასთანავე საკავშირო ბიუჯეტით ამავე საჭიროებისათვის დამატებით გაიცემა 225.000 მან. ირიგაციისათვის ჩვენ ვღებულობთ 9.700.000 მან., საკურორტო საქმისთვის—598.000 მან. გადასახლებასთან დაკავშირებულ ხარჯებისათვის—1.000.000 მან. და, გარდა ამისა, სპეციალურად საქართველოსათვის საკავშირო ბიუჯეტით გადიდებულია 2.000.000 მან.

ეგრედწოდებულ ფონდებში გადადებულია —უმუშევრობისათვის—798.000 მან., ბეჭდვითი საქმისათვის—1.219.000 მან., აჭარისტანში სტიქიური უბედურებით გამოწვეულ ზარალის ასანაზღაურებლად—194.000 მან.

სახალხო კომისარიატების ხარჯების დარგში მე შევჩერდები მხოლოდ მთავარ მომენტებზე. უფრო დაწვრილებით ამ საკითხზე შეჩერდება ამხ. ნაზარეტიანი. ხარჯების ამ ჯგუფში ჩვენ ყველაზე უფრო მეტი სიძნელენი გვაქვს, ვინაიდან ხარჯების ამ ჯგუფს საფუძვლად დაედო საკავშირო ცაკისა და სახკომსაბჭოს სპეციალური დეკრეტი ადმინისტრატიულ-სამმართველო ხარჯების ოცი პროცენტით შემცირების შესახებ. საბჭოთა კავშირის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატმა აღნიშნა, რომ ჩვენ სავსებით ვერ შევასრულეთ ეს დირექტივა და მოითხოვა დამატებითი შემცირება 1.800.000 მან.

საკავშირო სახკომსაბჭომ გაიზიარა მუშ. და გლეხთა ინსპექციის აზრი და წინადადება მოგვცა გავატაროთ ეს შემცირება ცხოვრებაში. ჩვენ, რასაკვირველია, უნდა დავმორჩილებოდით ამ გადაწყვეტილებას, მაგრამ უნდა ითქვას, რომ შემცირების გამო მთელი რიგი სახ. კომისარიატები, მეტად ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდენ, განსაკუთრებით კი ვაჭრობის სახ. კომისარიატი. განათლების სახალხო კომისარიატის ხაზით საკავშირო სახკომსაბჭომ პროფესორებს გაუდიდა ხელფასი 460.000 მან. მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის ხარჯთაღრიცხვით საკავშირო მთავრობამ რქოსან საქონლის ჭირთან საბრძოლველად გადასდო 8 მილ. მან. შარშან კი ამ მიზნისათვის გადადებული იყო 1.200.000 მან. ამ სამი მილიონიდან ერთ მილიონს გასცემს ჩვენი ბიუჯეტი და ორ მილიონს საკავშირო ბიუჯეტი. განათლების სახალხო კომისარიატის ხარჯები წელს, შარშანდელთან შედარებით, 10,7 პროც. გაიზარდა, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ხარჯები—2.8 პროც., მიწსახკომის—15.2 პროც.

ჩემი მოხსენების უკანასკნელი ნაწილი—ადგილობრივი ბიუჯეტია ადგილობრივი ბიუჯეტის საერთო თანხა წელს 107 მილ. მან. უდრის. შარშან კი ის 82 მილ. მან. უდრიდა, ზრდა თითქმის 31 პროც. შეადგენს, ადგილებისთვის გადაცემულ წარმოებების გამოკლებით—21 პროც. ადგილობრივი ბიუჯეტის შედგენის დროს ჩვენ მთავარ ყურადღებას ვაქცევდით საწარმოო ხარჯების გადიდებას და ადმინისტრატიულ-სამმართველო და სასამართლო ხარჯების შემცირებას.

შარშან სამეურნეო-საწარმოო ხარჯები ადგილობრივ ბიუჯეტში შეადგენდა 35,9 პროცენტს წელს 43 პროცენტს, ადმინისტრატიულ - სამეურნეო და სასამართლო ხარჯები შესაბამისად 16,8 პროცენტს და 11,5 პროც. მასწავლებელთა ხელფასის სახით წელს შარშანდელთან შედარებით 1,500.000 მან. მეტი გაიცა. გარდა ამისა, საკავშირო ცაკის საიუბილეო სესიის მანიფესტით ამიერ-კავკასიის სასკოლო მშენებლობისათვის გადადებულია ერთი მილიონი მანეთი. მე ვფიქრობ, რომ ამ დარგში ადგილობრივმა ბიუჯეტმა მთავარი ყურადღება უნდა მიაქციოს არა იმდენად სასკოლო ქსელის შემდგომ გაფართოებას, რამდენადაც არსებულ სკოლების შეკეთება - გაუმჯობესებას. ადგილობრივ მრეწველობაში შარშან დაბანდებული იყო 877,000 მან., წელს კი 3.648,000 მან. ადგილობრივი ორგანიზაციებს 1912 წ. მთელ ამიერ-კავკასიაში სულ 54 კომუნალური წარმოება ქონდათ, წელს აქვთ 594 წარმოება. სამწუხაროდ, ჩვენი ადგილობრივი ბიუჯეტი მაინც დეფიციტიანია და მოითხოვს სახელმწიფოს მნიშვნელოვან დახმარებას. წელს საკავშირო სახკომსაბჭოს განზრახული აქვს მოგვცეს ადგილობრივ ბიუჯეტებისათვის 1,5 მილიონი მანეთით უფრო ნაკლები სუბვენცია, ვიდრე ჩვენ გამოვთხოვეთ. ეს მეტად მძიმე მდგომარეობაში ჩააყენებს ჩვენს ადგილობრივ ბიუჯეტს. ამიტომ მე ვფიქრობ, რომ ჩვენმა სესია დაადგინოს შუამდგომლობა საკავშირო ცაკის სესიის წინაშე ამ 19 მილიონი მანეთის მიცემის შესახებ.

ვამთავრებ რა ჩემს მოხსენებას, მე უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენი ბიუჯეტი, როგორც თქვენ თვითონ ხედავთ, იზრდება თავისი ფარგლებით და ამავე დროს, უმჯობესდება თავისი თვისებით, როგორც შემოსავლის, ისე გასავლის ნაწილში. ჩვენს წინაშე სდგას ამოცანა გავაუმჯობესოთ ჩვენი ბიუჯეტი შემდეგში და უწინარეს ყოვლისა, გავადიდოთ ჩვენი შემოსავალი ეს შესაძლებელია იმდენად, რამდენადაც ჩვენი ქვეყნის ინდუსტრია და სასოფლო მეურნეობა განვითარდება. ის ფაბრიკები და ქარხნები, რომლებიც ამჟამად შენდება მთელს ამიერ-კავკასიაში, მათი ამუშავების შემდეგ შეცვლიან ჩვენი ქვეყნის მთელ ეკონომიკას და ამასთანავე ერთად, შეიცვლება ჩვენი ბიუჯეტი — დეფიციტიანი ბიუჯეტი გადაიქცევა უდეფიციტო ბიუჯეტათ და ჩვენ გაცილებით უფრო შევსძლებთ კულტურულ - სოციალურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას და ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობის გადიდებას“. (ტაში).

სტუმრად ა.-კავკ. სტუდენტობასთან

(წერილი მოსკოვიდან)

ამჟამად იშვიათია ისეთი უმაღლესი სასწავლებელი მოსკოვში, სადაც არ იყოს ამიერ- კავკასიიდან რამოდენიმე სტუდენტი.

სტუდენტობა სათვისტომოში გაერთიანებული, რომელიც ა.-კ. სტუდენტობის სხვადასხვა ხასიათის ინტერესების დაცვასთან ერთად ერთგვარ შემაკავშირებელ და დამაახლოვებელ ორგანიზაციის როლსაც ასრულებს.

7 მარტს სათვისტომოს თაოსნობით მოეწყო მოსკოვში მოსწავლე ა.-კავკასიის სტუდენტთა თვითმოქმედების საღამო, რამოდენიმე ასეულმა სტუდენტმა მოიყარა თავი საბჭოთა სომხეთის კულტურის სახლის დარბაზში. დარბაზის სივიწროვემ საშუალება არ მისცა მრავალ მსურველს დასწრებოდა საინტერესო საღამოს.

ამიერ- კავკასიის სტუდენტობას ამ საღამოზე ძვირფასი სტუმრები ეწვია. როდესაც სცენაზე მიდიოდა პროგრამის მორიგი ნომერი, პარტერში ჯერ ამხ. სერგო გამოჩნდა მისთვის ჩვეულებრივი ღიმილით, ხოლო მის უკან ამხ. რიკოვი, ბუხარინი, მოლოტოვი და მიქოიანი.

ძვირფასი სტუმრების მოსვლას დარბაზი მქუხარე ტაშით და ვაშას ძახილით შეეგება. ისინი, მიუხედავად მათი წინააღმდეგობისა, ხელზე აიყვანეს და აქანაიეს. ამხ. ბუხარინი კი სცენაზეც აიყვანეს და სიტყვის წარმოთქმა სთხოვეს. დიდხანს უარზე იყო ის, მაგრამ „ალყა შემორტყმულს“ სხვა გზა აღარ ჰქონდა, უნდა დათანხმებულიყო. მან განაცხადა:

— ჯერ ამხანაგებო, თქვენი თვითმოქმედება გვიჩვენეთ, ხოლო, როცა საღამო გათავდება, მერე ჩვენ გამოვალთ და რამეს „გუნდათ“ გიმღერებთო.

მხიარულმა ვაშამ და ხარხარმა დაფარა ამხ. ბუხარინის ეს სიტყვები. მაგრამ ხუმრობამ მას ტყვილად არ ჩაუარა, დარბაზს არ დავიწყებია დაპირება. როცა საღამო დასასრულს მიუახლოვდა, მთელი დარბაზი ახმაურდა და „გუნდი“ მოითხოვა. ისევ მოუწია ამხ. ბუხარინს სცენაზე ასვლა:

— ამხანაგებო, განაცხადა მან, ეხლა ამხ. რიკოვი გიმღერებთ თქვენ „არიას“ „პრომფინპლანის“ შესახებ 1927—28 წლისათვის, შემდეგ ამხ. მიქოიანი „იმღერებს“ ვაჭრობის კომისარიატის ანგარიშს და „არიას“, იმის შესახებ, თუ რატომ არის ამჟამად ზოგი საქონლის ნაკლებობა; ამხ. მოლოტოვი იტყვის „სიმღერასა“ ლიბერალიზმის შესახებ პარტაპარატში, ამხ. სერგო კი ქართულად ჩააკრიმანჭულებს მუშგლეხინის მუშაობის ანგარიშს.

ამხ. ბუხარინის ოხუნჯობამ მთელს დარბაზში ტაშის გრიალი და მხიარული სიცილი გამოიწვია.

— თქვენ, თქვენ... კი რას „გვიმღერებთ“, —მიაძახეს მას დარბაზიდან.

— მე დასასრულ გამოვალ, ამხანაგებო, „კომინტერნის“ სახელით და გიმღერებთ თქვენ „ინტერნაციონალს“— დაასრულა თავისი სახუმარო სიტყვა ბუხარინმა. მთელი დარბაზი ფეხზე წამოიშალა და დაიწყო „ინტერნაციონალის“ მძლავრი გუგუნი.

ქართულ, რუსულ, სომხურ, თურქულ, ოსურ და მრავალ სხვა ენებზე მღეროდა ერთად სტუდენტობა „ინტერნაციონალს“.

აღფრთოვანებულმა კრებამ ოვაციებით და ვაშას ძახილით გააცილა თავისი ძვირფასი სტუმრები.

ვ. ზერაძე.

მოსკოვი 8 მარტი.

ძმური სალამი საბჭოთა აჭარისტანს

ჩვენ ვიზრდებით

აჭარისტანის ფუხარა დღეს ზეიმობს თავისი განთავისუფლების შვიდი წლის თავს. სწორედ შვიდი წლის წინად აჭარისტანის მშრომელი მასა გულს ფანცქალით და ერთგვარი შიშით ეგებებოდა ახალ ხელისუფლებას. თუმცა ფუხარა ნაჩვევი იყო ხელისუფლების ხშირად შეცვლას. თუმცა ამ უკანასკნელი 10—15 წლის განმავლობაში მან რამოდენიმე „მთავრობის“ ძართვა-გამგეობა იგემა,— მთავრობების, რომლებიც ერთი მეორეზე უარესი იყვნენ. თუ ჩვენ მოვიგონებთ იმ საშინელ პროვოკაციას, რომელსაც ავრცელებდენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, ჩვენთვის, ნათელი იქნება მიზეზი იმ შიშისა, რომელსაც განიცდიდა ჩვენი ხალხი საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრების პირველ ხანებში.

ისტორიული უკუღმართობის გამო საქართველოს საუკეთესო ნაწილი აჭარა (მესხეთი) ჩამოშორებულ იქნა ძირითად ორგანიზმს და ოთხასი წლის განმავლობაში ის წარმოადგენდა ყველა ჯურის ნაძირალების სათარეშოს. ოთხასი წლის განმავლობაში აჭარის მშრომელ მასას სჯიჯგნიდენ ხოჯები და აღალარები. განსაკუთრებით მწვავე იყო მეფის რეჟიმი, რომლის აგენტები ცეცხლითა და მახვილით ანადგურებდენ აჭარის მოსახლეობას. აჭარას კარგად ახსოვს გენერალი ლიახოვის სისხლიანი ექსპედიციები. აჭარის გლეხობას კარგად ახსოვს მეფის აგენტების მზაკვრული „მუშაობა“ და ის დაცინვა და დამცირება, რომელსაც ის იტანდა მეფის ჩინოვნიკების და აღალარების მეშვეობით. ვინ მოსთვლის იმ ტანჯვას და ვაებას, რომელიც აჭარამ იგემა მეფის მთავრობისაგან.

მაგრამ 1917 წ. თებერვალში დაეცა ორთავიანი არწივი. ისტორიის ჩაბარდა დამპყრობელი მეფის რეჟიმი და თითქოს აჭარამ თავისუფლათ ამოისუნთქა; თითქოს აჭარის მზემ ამოსწვერა და უნდა გაეშუქებია, გაეთბო საუკუნოების განმავლობაში ტანჯული ხალხი. მაგრამ დახე უბედურებას: თავისუფლების მაგიერ ეხლა ის კიდევ გადაიქცა სათარეშო არეთ და ვინ მოსთვლის სხვადასხვა ნაძირალების „მუშაობას“ აჭარისტანის 1917 წლიდან 21 წლამდე. თურქთაშები, თურქი იმპერიალისტები, დენიკინი, ინგლისელები და ბოლოს მენშევიკები—ეს ის ხალხია, რომელიც აჭარისტანს ოთხი წლის განმავლობაში ყორნებივით დასჩხაოდა. ჩვენ კარგად გვახსოვს „დემოკრატიული“ მთავრობის გუბერნატორების ძათრახები და ჩვენი ხალხის სასიცოცხლო ინტერესების ფეხქვეშ გათელვა. მენშევიკების „საქმიანობა“ ჩვენი ხალხის დამცირება - დაბეჩავებაში გამოიხატებოდა. როდესაც მოახლოვდა მათი აღსასრული, ისინი შეუდგენ დაბეჩავებული ხალხის პროვოკაციის ბურუსში გახვევას და უნდა ითქვას, რომ მათ ეს ნაწილობრივ მოახერხეს. აი, სწორედ იმით აიხსნება ის შიში, რომელსაც აჭარისტანის ხალხი განიცდიდა საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრების პირველ ხანებში.

თუ რამდენად გამართლდა მენშევიკების მიერ გავრცელებული ჭორები, თითქოს საბჭოთა ხელისუფლება გაანადგურებდა აჭარისტანის ხალხს, ამის ნათელსაყოფად საჭიროა არის თვალი გადავავლოთ იმ მუშაობას, რომელიც ჩვენმა ხელისუფლებამ ჩაატარა ხალხის საკეთილდღეოთ. ჩვენი ქვეყანა სოფლის მეურნეობის ქვეყანაა და ზედმეტი არ იქნება, რომ ზოგიერთი ცნობები მისი განვითარების შესახებ აქ წერილში მოვიყვანოთ. 1924—25 წ. სოფლის მეურნეობის პროდუქცია უდრიდა 2,715,000 მან., 1927— 28 წ. კი—4,060,000 მან. აქედან აშკარა არის ის ზრდა, რომელსაც განიცდის ჩვენი სოფლის მეურნეობა. დიდი ყურადღება აქვს მიქცეული ძვირფას ტექნიკურ კულტურების განვითარების საქმეს, როგორიცაა არის მეთამბაქოება, მეაბრეშუმეობა, ლიუფის კულტურა, ციტრუსოვანი კულტურა და განსაკუთრებით კი ჩაის კულტურას. უკანასკნელს ხელისუფლება განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს და მის განვითარებისათვის ყოველგვარ ზომებს ხმარობს. აქ ზედმეტი არ იქნება თუ მოვიგონებთ იმ თანხების რაოდენობას, რასაც ხელისუფლება ხარჯავს სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის: 1924 —25 წ. სოფლის მეურნეობაზე დახარჯულა 145,000 მან., 1926—27 წ. კი— 1,055,000 მან. ეს აშკარად მეტყველი ფაქტია ხელისუფლების დადებითი მუშაობისა ჩვენი ქვეყნის დოვლათის გასადიდებლად.

ეხლა ორიოდე სიტყვა ჩვენი მრეწველობის შესახებ. სოფლის მეურნეობასთან მჭიდროთ დაკავშირებულია ჩვენი მეურნეობის მეორე დარგი — მრეწველობა. მრეწველობის პროდუქცია 1924—25 წ. უდრიდა 6.922,000 მ., 1925—26 წ. 8.799.000 მან. ჩვენ გვაქვს ხის დამამუშავებელი ქარხანა, ქიმიური, თამბაქოს, არყის სახდელი და თუჯის ჩამომსხმელი ქარხნები, რომლებიც, უნდა ითქვას გადაჭრით, დღეს საღი და მკვიდრი ნიადაგზე არიან დაყენებული.

რომ მოსახლეობა შეჩვეულ იქნეს კოლექტიური მეურნეობის განვითარებას, რომ მოსახლეობა ჩაბმულ იქნეს კოოპერატიულ მოძრაობაში, ამისათვის ხელისუფლებას დიდი მუშაობა აქვს ჩატარებული. ჩვენ აჭარისტანში გვაქვს სამი ტიპის კოოპერაცია: სამომხმარებლო, სასოფლო-სამეურნეო და საკრედიტო, რომლებსაც აჭარისტანში 81 წერტი მოეპოვებათ. მათი წევრთა რაოდენობა უდრის 23,913 სულს, მათ შორის 1,500 ქალია.

სწავლა-განათლების საქმემაც საგრძნობლად წაიწია წინ ამ შვიდი წლის განმავლობაში.თუ ჩვენ გასაბჭოებამდე აჭარისტანში მხოლოდ რამდენიმე ათეული სკოლა გვქონდა, დღეს, გასაბჭოების შვიდი წლის თავზე, 1221 სკოლა გვაქვს; მათ შორის აგრონომიული, ინდუსტრიული ტექნიკუმი, პედაგოგიური ინსტიტუტი და რამოდენიმე გლეხური ახალგაზრდობის სკოლა. დღეს თქვენ ვერ ნახავთ ისეთ სოფელს აჭარისტანში, რომ სკოლა არ იყოს.

დიდი ყურადღება ექცეოდა ჯანმრთელობის საქმეს; 20-მდე საექიმო პუნქტი და ექვსი საავადმყოფო, უფასო საექიმო დახმარება და წამალი მუშა-მოსამსახურეს და გლეხებს, — ეს საკმარისათ ახასიათებს ჩვენი ხელისუფლების მოღვაწეობას ხალხის ჯანმრთელობის დაცვის საქმეში.

100 კილომეტრზე მეტი საუკეთესო გზატკეცილები და რამოდენიმე კაპიტალური ხიდები გვაქვს აგებული აჭარისტანში ამ შვიდი წლის განმავლობაში. ყველა თემები შეერთებულია ტელეფონებით სამაზრო ცენტრთან და მაზრები კი ბათომთან. მე ვფიქრობ, მეტის თქმა საჭირო არ არის, თუ რა გაკეთებულა კავშირის დარგში ამ შვიდი წლის განმავლობაში.



ამხ. მოედინ სურმანიძე
აჭარისტანის ცაკის თავმჯდომარე

რომ უფრო ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ ჩვენი ქვეყნის წინ წაწევაზე, საჭიროა თვალი გადავავლოთ ჩვენს ბიუჯეტს: 1924—25 წ. ჩვენი ბიუჯეტი უდრიდა 2,872,073 მან., 1927—28 წ. კი—4,728,565 მან. ამას გარდა, ჩვენ გვაქვს დახმარება — ბიუჯეტ გარეშე თანხები, რომელთა რაოდენობა მიმდინარე წელში უდრის 1,968,498 მ. აი, ეს თანხები, რომლებიც ხმარდება ჩვენი ქვეყნის განვითარების საქმეს.

აშკარა არის ის დიდი მუშაობა, რომელიც ხელისუფლებამ ჩაატარა ამ შვიდი წლის განმავლობაში ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოთ. ფუხარას კარგად ესმის თავის დღევანდელი მდგომარეობა. მან კარგად იცის, რომ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლება კომპარტიის მეთაურობით ზრუნავს მის კეთილდღეობაზე და ისიც ერთგულათ უდგას მას მხარში. ვერავითარი პროვოკაცია, ვერავითარი ხრიკი მას ვერ ააცდენს ერთხელ და სამუდამოდ აღებულ სწორ ხაზს. მტკიცე არის ფუხარას ნებისყოფა, მტკიცე არის მისი რწმენა მონაპოვარი თავისუფლების დაცვაში. დღეს ის ზეიმობს განთავისუფლების შვიდი წლის თავს და დეე, იცოდენ ჩვენმა მტრებმა, რომ უნაყოფოა მათი შხამიანი სისინი მშრომელთა სამეფოს წინააღმდეგ.

მოედინ სურმანიძე.

საქართველოს ცაკი—საბჭოთა აჭარისტანს

აჭარისტანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შვიდი წლის თავზე საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ძმურ-რევოლიუციონურ სალამს უძღვნის აჭარისტანის მშრომელ მოსახლეობას და მათ ხელმძღვანელებს.

შვიდი წლიწადი სოციალისტურ და საბჭოთა მშენებლობისა უდიდეს წინსვლას მოასწავებს აჭარისტანის მშრომელთა კულტურულ და ეკონომიურ ცხოვრებაში. ამ ხნის განმავლობაში მრავალი დაბრკოლებანი იქნა დაძლეული, რომ ქვეყანა დამდგარიყო განვითარებისა და წარმატების სწორ გზაზე. მაგრამ მუშათა და გლეხთა სრული კეთილდღეობის და გამარჯვების მოსაპოვებლად კიდევ ურიცხვი დაბრკოლებანია გადასალახავი.

მომავლისათვისაც აჭარისტანის მშრომელ ხალხს ვუსურვებთ უფრო მეტ მიღწევებს რევოლიუციონურ კულტურულ და ეკონომიურ ფრონტებზე.

გაუმარჯოს საბჭოთა აჭარისტანის მშრომელებს და მის ხელმძღვანელებს!

ცაკის პრეზიდიუმი.

საქართველოს სახკომსაბჭოსაგან

საქართველოს მუშათა და გლეხთა სახელით საქართველოს სახალხო კომისართა საბჭო მხურვალე და ძმურ სალამს უძღვნის აჭარისტანის მშრომელთ აჭარისტანის რესპუბლიკის ქართველ მენშევიკებისა, მოლებისა და უცხოელ მტაცებლების დამხობის შვიდი წლის თავზე. აჭარისტანის ფუხარამ დაამტკიცა, რომ საბჭოთა ხელისუფლების დროს მას შეუძლიან არა თუ მართოს თავისი ქვეყანა, არამედ შექმნას თავისი კულტურა და ეკონომიკა. აჭარისტანის ფუხარასა და საქართველოს მუშათა და გლეხთა განუყრელი კავშირი ძირითადი საწინდარია შემდეგი მიღწევებისა ახალს ცხოვრებაში.

გაუმარჯოს აჭარისტანის ფუხარას!
გაუმარჯოს საბჭოთა აჭარისტანს!

საქართველოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ჯუღელი.**

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 7 წლის თავი აჭარისტანში

დღეს სრულდება შვიდი წელი მას შემდეგ, რაც აჭარისტანში გამოცხადდა საბჭოთა ხელისუფლება.

1921 წლის 18 მარტი, როდესაც ბათომის პროლეტარიატმა და აჭარისტანის მშრომელმა გლეხობამ ძალა-უფლება აიღო ხელში —ჩვენთვის არის ის ისტორიული დღე, რომლიდგან იწყება ნამდვილი სიცოცხლე, ახალი ისტორიული ხანა.

შვიდი წლის წინეთ აქ ბათომში სამუდამოთ გაეთხარა საფლავი მენშევიკურ რეჟიმს, რომელიც მაჯლაჯუნასავით აწვა კისერზე თავისუფლებისათვის მებრძოლ მშრომელ ხალხს.

დიდი ოქტომბრის მიერ ნაცარ-ტუტათ ქცეული მენშევიზმი შავი ნისლივით ჩამოეშვა საქართველოს ტერიტორიაზე, გაკოტრებულმა იდეოლოგიურად და ყოველ მხრივ დამარცხებულმა, გარიყულმა მუშების და გლეხების მიერ მენშევიზმმა თავი შეაფარა თბილისის სასახლეს და „საგანგებო დანიშნულების რაზმის“ საშუალებით, მათრახით, თოფით, ნაცრიან პურით და დამსჯელ ექსპედიციებით ლამობდა ხელისუფლების შენარჩუნებას.



ამხ. მემედ გობიბერიძე
აჭარისტანის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე

მოკლებული ყოველგვარ ავტორიტეტს მშრომელთა თვალში, გაბახებული, ის „საგანგებო კომისარებს“ უნიშნავდა აჭარისტანს, რომ მათი საშუალებით ეთარეშებია ჩვენს მიწა-წყალზე.

სამაგიეროთ ყორდანია -რამიშვილის მთავრობას საკმარისი „სიმპატიით“ უყურებდენ სხვადასხვა იმპერიალისტურ სახელმწიფოების წარმომადგენელნი. ცნობილი გენერლები კუკ-კოლისი მილნი, ტომსონი, ლიახოვი, ნათიევი შევადიე და სხვები „აფასებდენ“ მენშევიკების იმ ლაქიურ მუცლით ხოხვას მათ წინაშე, რომლითაც ასე დახელოვნებული იყვნენ საერთაშორისო იმპერიალიზმის ტყვეობაში მყოფ მაშინდელ საქართველოს ოფიციალური წარმომადგენელნი.

საქართველოს აჯანყებულმა მუშებმა და გლეხებმა ერთი ხელის შეკვრით ბოლო მოუღეს მათ ბატონობას და აი სწორედ აქ ბათომიდან 1921 წელს 18 მარტის წინაღამით ზღვაში გაასტუმრეს „საგანგებო კომისრების“ მთავრობა.

ამ დღიდან იწყება აჭარისტანის ნამდვილი სიცოცხლე, ამ დღიდან იშლება ჩვენი ისტორიის ოქროს ფურცლები, ამ დღიდან აჭარისტანის ფუხარა ხალხი ხდება თავისი ბედის მესვეური, ახალი ქვეყნის მშენებელი.

აჭარისტანის მშრომელ ხალხს ვერავინ გააკვირვებს დევნით, შევიწროვებით, ჩაგვრით, აბუჩათ აგდებით და მისი უფლების ფეხს ქვეშ გათელვით. ჩვენ ამას შეჩვეული ვიყავით, რადგან 1921 წლის 18 მარტამდე მეტი არაფერი გვინახავს. ერთ ხელისუფლებას სცვლიდა მეორე ხელისუფლება, ერთი „საგანგებო კომისრის“ მაგიერად მოდიოდა მეორე, ჟანდარმს მეტოქეობას უწევდა „აკალოდოჩნი“, ხოლო მათ სიმხეცეში და ვერაგობაში ეჭიშპებოდენ პრისტავები, სტრაჟნიკები, ურიადნიკები და „უეზდნი ნაჩალნიკები“.

აბა რომელი ერთის ჩამოთვლა შეიძლება; ხანდისხან ძველი სულთანის ჯარებიც არ გვივიწყებდენ და ისე გვიმასპინძლდებოდენ თოფების კონდახებით, რომ აჭარისტანის ზოგიერთ სოფლებში გლეხებს ეხლაც კარგათ აჩნიათ ზურგზე. ამის დავიწყება შეუძლებელია, წარსული საშინელება მუდამ წინ გვიდგება ჩვენ, რადგან მეტად მძიმე და ღრმაა ის ჭრილობები, რომლითაც დასერილია აჭარისტანის მშრომელთა გული. ამ ჭრილობებს კიდევ უფრო აღრმავებენ, ასკეცებენ ძველ მთავრობათა ჩვენებური აგენტები ბეგიები, აღიები და ძმანი მათნი.

რას წარმოადგენდა 1921 წლამდე აჭარისტანი.

ეს იყო ყველასათვის საჭიროთ მოედანი, სადაც ბეგი და აღიები თავიანთ დამქაშების დახმარებით აჭახრაკებდენ ყველაფერს ისე, როგორც ეს მათთვის იყო საჭირო. მშრომელთათვის დაკეტილი იყო ყველა ის კარები, რომელთა საშუალებით შეიძლებოდა სწავლა-განათლების შეთვისება. ბეგებისათვის არ იყო ხელსაყრელი აჭარელი ფუხარას სწავლა, გათვითცნობიერება. ამიტომ ჩვენთვის სკოლის კარები მუდამ დაკეტილი იყო. კიდევ მეტი ბეგები და აღები ღებულობდენ ყოველგვარ ზომებს, რომ რამენაირათ ჩვენ არ გვენათლებულიყავით. მათ ნაწილობრივ კიდეც მიაღწიეს მიზანს; აჭარელი ფუხარა ხალხი საშინელ სილატაკეში და სიბნელეში ჩავარდა.

მთელ ყოფილ რუსეთის იმპერიაში აბა რომელ მშრომელ ხალხს ჰქონდა რაიმე უფლებები მაგრამ აჭარელი ფუხარას უფლებები ხომ პირდაპირ გასაკვირველი იყო. და რამდენად ეხლა ვართ სრული უფლებებით მოსილნი, საკუთარი ბედ-იღბალის გამომჭედნი და სავსებით განთავისუფლებულნი, იმდენად უფრო მწარედ ვიხსენებთ წარსულ დროის საშინელებებს.

რას წარმოადგენს დღეს აჭარისტანი?

დღეს აჭარისტანი მოფენილია უამრავი სკოლებით, ქოხ-სამკითხველოებით, სხვადასხვა კულტურული წრეებით კლუბებით და სხვა. მშრომელი ხალხი თვითონ აშენებს ახალ სკოლებს და კლუბებს, ხსნის სამკითხველოებს, მოითხოვს წიგნებს. მას ამ საქმეში არა თუ არავინ ელობება წინ —პირიქით, ხელისუფლება ყოველგვარ დახმარებას უწევს, აძლევს სახსრებს, გზავნის დამხმარე ძალებს და სხვა. რატომ? იმიტომ, რომ დღეს აჭარისტანს ჰყავს მუშების და გლეხების მთავრობა, რომლის ერთად ერთ საზრუნავ საგანს შეადგენს მუშების და გლეხების კეთილდღეობის განმტკიცება, კულტურულ დონეს აწევა და ახალი ცხოვრების ჩამოყალიბება.

ჩვენი სოფლები ამ ხნის განმავლობაში მოიფინა გზებით, გაკეთდა ახალი ხიდები, აღდგენილია მრავალი ქარხნები, შენდება ახლები. უმთავრესად ეტყობა გამოფხიზლება აჭარისტანის ახალგაზრდობას, როგორც ვაჟებს, ისე ქალებს. დიდ მიღწევათ უნდა ჩაითვალოს სწორედ აჭარელ ქალების განთავისუფლება სიბნელისა და ჩაგვრისაგან.

ამ შვიდი წლის განმავლობაში ჩვენ გავიზარდეთ ყოველ მხრივ და არა ჩვეულებრივი სისწრაფით მივდივართ წინ. მოიგონეთ, რა იყო ჩვენი სოფელი წინეთ, შეხედეთ როგორია ეხლა და თქვენ დაინახავთ რომ აჭარისტანმა დიდი ნაბიჯი გადასდგა წინ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის და კერძოდ საბჭოთა საქართველოს ძმური დახმარების შეოხებით.

აღსანიშნავია, რომ აჭარისტანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება, მოხდა სწორედ პარიზის კომუნის გამოცხადების დღეს. ეს შემთხვევითი მოვლენა ბევრის მეტყველია, ბევრის მთქმელია.

ეს დღე არასოდეს არ წაიშლება აჭარისტანის ფუხარას ცხოვრებაში. რადგან დღევანდელ დღეს მოხდა სწორედ ჩვენი განთავისუფლება, დღევანდელი დღიდგან დავიწყეთ ცხოვრება, დღეს ავიღეთ ხელში ძალა-უფლება და შეუდექით ახალი ცხოვრების შენებას.

შეგვიძლია ვსთქვათ, რომ 1921 წლის 18 მარტამდე აჭარელი ფუხარა არ ცხოვრობდა ნამდვილი ცხოვრებით. მისი სიცოცხლე ამ დღიდგან დაიწყო რადგან მაშინ გამოცხადდა საბჭოთა ხელისუფლება, მაშინ ავიღეთ ხელში ძალა-უფლება და თვითონ შევიქენით თავისი თავის ნამდვილი ბატონ- პატრონი.

ეს მოხდა მიტომ, რომ საბჭოთა ხელისუფლებას ხელმძღვანელობს მშრომელთა ერთად ერთი დამცველი კომუნისტური პარტია.

გაგიმარჯოს თქვენ, ძმებო საქართველოს მუშებო და გლეხებო, რომლებმაც გაანთავისუფლეთ აჭარელი ფუხარა!

გაგიმარჯოს თქვენ, აჭარისტანის ფუხარა ხალხო, რომ სჭედთ საკუთარ ბედს!

გაუმარჯოს წითელ არმიას, მშვიდობიანობის დარაჯს!

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას.

გაუმარჯოს 18 მარტს— აჭარისტანის მშრომელთა განთავისუფლების დღეს!

გაუმარჯოს სახელოვან კომუნისტურ პარტიას!

მემედ გობიბერიძე.

72 დღე

(პარიზის კომუნის კალენდარი)

მარტი

18. აჯანყება პარიზში. ნაციონალური გვარდიის ც. კ. დაიკავა პარიზი. ტიერის მთავრობა თავს აფარებს ვერსალს.
19. ნაციონალური გვარდიის ც. კ. აქვეყნებს თავის პირველ პროკლამაციას, რომელშიც უზრუნველჰყოფს მოქალაქეთა უშიშროებას და მოსახლეობას მოუწოდებს კომუნალურ არჩევნებში მონაწილეობისაკენ. გამოცხადდა ამნისტია პოლიტიკურ საქმეზე.
20 გამოქვეყნდა ნაციონალური გვარდიის რესპუბლიკანური ფედერაციის წესდება.
21 პარიზის მერები და 35 ბურჟუაზიული გაზეთი მოუწოდებენ მოსახლეობას არ მიიღონ მონაწილეობა არჩევნებში.
22 ვანდომის მოედანზე გაჰფანტეს „წესრიგის მეგობართა კავშირის“ კონტრ-რევოლიუციონური მანიფესტაცია.
23 პარიზის მერები, იმ მიზნით, რომ გადიბირონ ნაციონალური გვარდია, ჯამაგირის მიცემას აღუთქვამენ ყველა ნაციონალურ გვარდიელებს, რომელთა უბნები ც. კ. ემორჩილებიან
24. ც. კ. დაადგინა მისცეს გაჭირვებულ მოსახლეობას დახმარების სახით 1 მილიონი ფრანკი, გადადვას ბინის ქირის დავალიანების გადახდევინების ვადა, გადადვას ანგარიშების გასწორება კომერციულ თამასუქებით.
25. მერებსა და ც. კ. შორის მიღწეულია შეთანხმება არჩევნების დანიშვნის შესახებ 26 მარტისათვის.
26. არჩევნები კომუნაში. არჩეულია 86 კაცი.
27. ნაციონალური კრება ვერსალში უკანონოთ აცხადებს არჩევნებს.
28. ც. კ. მთელი ძალა-უფლება გადასცა კომუნას. კომუნის პირველი სხდომა
29 დეკრეტები: ჯარში გაწვევის წესის გაუქმების შესახებ. ბინის ქირის გადახდევინების გადადებისა და 10 სამინისტროს შექმნის შესახებ.
30. დამტკიცებულია უნგრეთელ ფრანკელის არჩევა კომუნაში, რადგან „კომუნის დროშა არის მსოფლიო რესპუბლიკის დროშა“.
31. დელეგატად ფოსტაში დაინიშნა მუშა ტეისი, რომელმაც 48 საათში მოაგვარა ფოსტის მუშაობა.

აპრილი

1. გადადგა კომუნის 16 წევრი—ტიერის მომხრეები. დამატებითი არჩევნები დანიშნულია 5 აპრილისათვის.
2. დაიწყო სამხედრო მოქმედება პარიზსა და ვერსალს შორის. პარიზის კომუნამ დაადგინა იშვილოს ყველა იმ მოქალაქეთა ბავშვები, რომლებიც დაიხოცენ კომუნისათვის ბრძოლაში.
3. ნაციონალური გვარდია იწყებს შეტევას ვერსალელების წინააღმდეგ და მარცხდება. ფლურანსი და დიუვალი ტყვედ ჩაუვარდებ ვერსალელებს. ფლურანსის დახვრეტა. დეკრეტი ვერსალის მთავრობის მიცემის შესახებ პასუხისგებაში იმისათვის, რომ „მან გამოაცხადა და დაიწყო სამოქალაქო ომი“. დეკრეტი ეკლესიის გამოყოფის შესახებ სახელმწიფოდან და სარწმუნოებრივ ბიუჯეტის გაუქმება.
4. კომუნის პროკლამაცია პარიზის ხალხისადმი ვერსალელების ბარბაროსობის შესახებ. ვერსალელებმა დახვრიტეს დიუვალი.
5. დეკრეტი მძევლების შესახებ, რომლის თანახმად „ყოველიუე ტყვეს ან პარიზის კომუნის ყოველ მომხრეს სიკვდილით დასჯა დაუყოვნებლივ გამოიწვევს მძევლების სამმაგი რიცხვის სიკვდილით დასჯას“.
6. ფრონტზე მყოფი ფედერატები მოითხოვენ რეაქციონური გაზეთების დახურვას. პარიზის კომუნის მიმართვა განმარტებით დეპარტამენტებისადმი, რომ „პარიზს სწყურია მხოლოდ საკუთარი ავტონომია და სავსებით პატივს სცემს საფრანგეთის სხვა კომუნების უფლებებს“.
7. დეკრეტი 19—40 წლის მოქალაქეთა სავალდებულო სამსახურის შესახებ.
8. დეკრეტი პენსიების მიცემის შესახებ იმათთვის, ვინც დაიჭრა კომუნის დაცვის დროს.
9. დადგენილება შემოწირულებათა შეგროვების შესახებ ფლურანსისათვის ძეგლის დასადგმელად. ვერსალელებმა ყუმბარები დაუშინეს პარიზს.
10. დეკრეტი პენსიების მიცემის შესახებ იმ მოქალაქეთა ოჯახებისათვის, რომლებიც დაიღუპენ ბრძოლაში ხალხის უფლებების დაცვისათვის.
11. დეკრეტი სამხედრო სასამართლოებისა და დისციპლინარული საბჭოების მოწყობის შესახებ ნაციონალურ გვარდიაში დისციპლინის აწევის მიზნით.
12. დეკრეტი ვანდომის კოშკის—„როგორც ბარბაროსობის, ტლანქი ძალის და ცრუ დიდების სიმბოლოს, მილიტარიზმის აპოლოგიის ძეგლის“—დანგრევის შესახებ.
13. დადგენილება ფქვილით და ხორბლით ვაჭრობის შესახებ. დადგენილების ძალით ამ საქონლის შესანახად შენობები უფასოდ უნდა იქნეს მიცემული და თვით საქონელი არ შეიძლება ჩამორთმეული იქნეს.
14. კომუნის დადგენილება, რომ ყოველგვარი დაპატიმრების შესახებ უნდა ეცნობოს იუსტიციის სამინისტროს დელეგატს, ჩხრეკა კი არ შეიძლება მოხდენილ იქნეს სათანადო ორგანოს ნებადაურთველად.
15. სამხედრო სამინისტროს დადგენილება, რომ ლეგიონების საბჭოები მონაწილეობას იღებენ დამატებითი არჩევნებში.
16. დამატებითი არჩევნები კომუნაში. დეკრეტი პატრონების მიერ მიტოვებულ სახელოსნოების შესახებ. დეკრეტის ძალით სახელოსნოები აღრიცხულ უნდა იქნას „მათში მომუშავე მუშების კოოპერატიული ასოციაციის“ ძალებით. სამხედრო ტრიბუნალის მოწყობა.
17. დეკრეტი მათხოვრობის აკრძალვის შესახებ. სამხედრო ტრიბუნალის პირველი სხდომა.
18 ორი რეაქციონური გაზეთის დახურვა ვერსალელებმა იერიში მიიტანეს ანიერზე
19. კომუნის დეკლარაცია „მიმდინარე რევოლიუციის ხასიათის, მნიშვნელობის და მიზნების შესახებ“.
20 ღამით შრომის აკრძალვა ბულკების საცხობებში.
21. ცვლილებები აღმასრულებელი კომისიის შემადგენლობაში, ვერსალელებმა სცადეს გადასვლა სენაზე (კლიშისთან).
22. „საბრალმდებლო ჟიურის“ მოწყობა პოლიტიკურ საქმეებზე.
23 დეკრეტი სასამართლოს ბოქაულების და ნოტარიუსების სახელწოდების გამოცვლის შესახებ და მათთვის „მუნიციპალურ მოხელეების“ სახელწოდების მიკუთვნების შესახებ.
24. დადგენილება მოხელეთა საბოტაჟთან ბრძოლის შესახებ.
25. დეკრეტი ცარიელ ბინების რეკვიზიციისა და მათი გადაცემის შესახებ იმ უბნების მცხოვრებთათვის, რომლებსაც ყუმბარებს უშენენ. ტიერის ბრძანება პარიზისათვის გადაგზავნილ ყველა სასურსათო ტვირთების დაკავების შესახებ.
26. სამხედრო ბიუროების მოწყობა იარაღის რეკვიზიციისათვის და დეზერტირობასთან საბრძოლველად.
27. დეკრეტი ჯარიმებისა და ხელფასიდან გამოქვითვის აკრძალვის შესახებ.
28. განცხადება, რომ დეკრეტი ბულკების საცხობებში ღამით მუშაობის აკრძალვის შესახებ ძალაში შევა სამ მაისიდან.
29. ფრანკ-მასონების მანიფესტაცია თავის დროშებს აღმართავს ბარიკადებზე.
30 ბრძანება სამხედრო დელეგატ კლუზერეს დაპატიმრების შესახებ, რომლის დაუდევრობამ და გულგრილობამ გამოიწვია ფორტ ისის დაცემა.

მაისი

1. დადგენილება „საზოგადოებრივი უშიშროების კომიტეტის“ შექმნის შესახებ. „შრომისა და გაცვლა-გამოცვლის კომისიას“ გამოაქვს დასკვნა გამოსხსნებელ კასების ლიკვიდაციის საჭიროების შესახებ.
2. რიასელი უკრძალავს მეთაურთა შემადგენლობას კავშირის დაჭერას მტერთან და ისეთი ანგარიშების გამოქვეყნებას, რომელთაც შეუძლიათ გამოარკვიონ კომუნის სამხედრო რესურსები.
3. ლუვრის სამხედრო სახელოსნოების მუშებმა კომუნაში წარადგინეს წესდება მუშათა კონტროლის შესახებ.
4. დადგენილება პოლიტიკური და პროფესიონალური ფიცის მიცემის გაუქმების შესახებ.
5. შვიდი რეაქციონური გაზეთის დახურვა.
6. დეკრეტი იმ ნივთების უსასყიდლოთ დაბრუნების შესახებ ლომბარდიდან, რომელთა გირავნობის ფასი 20 ფრანკს არ აღემატება.
7. ბისმარკის ულტიმატუმი ტიერს ვერსალის არმიის გაყვანის შესახებ ლუარას იქით, რომ პრუსიის ჯარებს მიეცეს პარიზის წინააღმდეგ მოქმედების საშუალება.
8. კომუნის დადგენილება პურის ნიხრის შესახებ. ფორტ-ისსის დაცემა.
9. კომუნამ თავის დახურულ სხდომაზე დაადგინა დაუყოვნებლივ შეუდგეს „საზოგადოებრივი ხსნის კომიტეტის“ გადარჩევას.
10. ბიუროს გახსნა მეფურნეებისათვის მესამე ოლქის უბანში სამუშაოს აღმოსაჩენათ (პირველი შრომის ბირჟა). მეთერთმეტე ოლქის დელეგაციის დადგენილება პროსტიტუციასთან ბრძოლის შესახებ.
11. დეკრეტი ტიერის ქონების კონფისკაციისა და მისი სახლის დანგრევის შესახებ.
12. დეკრეტი კომუნის სამოქალაქო ტრიბუნალის შექმნის შესახებ. ბრძანება სკოლებიდან სარწმუნოებასთან დაკავშირებულ საგნების გატანის შესახებ.
13. დეკრეტი შრომის ხელფასის სავალდებულო მინიმუმის შესახებ.
14. ქალთა პირველი როტის შედგენა. დღის ორ საათზე ვერსალელებმა დაიკავეს ფორტი-ვანფი.
15. დეკრეტი იმის შესახებ, რომ ყოველმა მოქალაქემ არ უნდა იქონიოს პირადობის მოწმობა. დეკრეტის მიზანია—ტიერის ფარული აგენტების აღმოჩენა. კომუნის მოწოდება საფრანგეთის დიდ ქალაქებისადმი—დაეხმარონ პარიზს.
16. ვანდომის კოშკის დანგრევა. გაზეთებში გამოქვეყნდა კომუნის უმცირესობის 2. წევრის განცხადება კომუნიდან გამოსვლის შესახებ.
17. კომუნა მოითხოვს მძევლების შესახებ 5 აპრილს გამოცემულ დეკრეტის დაუყოვნებლივ გატარებას ცხოვრებაში. ნაციონალური გვარდიელების ცოლებისათვის დახმარების მიცემის დროს „უკანონო“ ცოლები გათანასწორებულია „კანონიერებთან“.
18. კომუნის უკანასკნელი განკარგულება სამოქალაქო სკოლის შესახებ. 10 რეაქციონური გაზეთის დახურვა და ახლების გამოცემის აკრძალვა ომის დასრულებამდე.
19. დადგენილება „კანონთა ბიულეტენის“ გამოცემის შესახებ. დეკრეტი მექრთამეთა მიცემის შესახებ პასუხისგებაში.
20. ინტერნაციონალის პარიზის სექციების ფედერალურმა საბჭომ მოიწონა კომუნის უმცირესობის პოზიცია.
21. დეკრეტი მასწავლებელთა ხელფასის გადიდების შესახებ. დეკრეტი მოსყიდვასთან ბრძოლის ღონისძიებების შესახებ. საღამოს 7 საათზე წააქციეს სენ-კლუს ალაყაფის კარები და ვერსალელები შეიჭრნენ პარიზში.
22. საზოგადოებრივი ხსნის კომიტეტი მოუწოდებს მოქალაქეებს ბრძოლისაკენ ბარიკადებზე.
23. პარიზის ხალხი მოუწოდებს ვერსალის ჯარისკაცებს გადავიდნენ ხალხის მხარეზე. სასტიკი ბრძოლები ქუჩებში, ვერსალელებმა დაიკავეს მონმარტრი.
24. ცენტრალური კომიტეტი წინადადებას აძლევს ვერსალებს შეწყდეს ბრძოლა იმ პირობით, რომ ნაციონალური კრება და კომუნა დაშლილი იქნება და დანიშნული იქნება დამფუძნებელი კრების არჩევნები. ვერსალელებმა დახვრიტეს კომუნის პროკურორი რაულ რიგო. დომბროვსკის გმირული სიკვდილი. ვერსალელების მხეცობის საპასუხოთ დახვრიტეს 8 მძევალი არქიეპისკოპოზის მეთაურობით. კომუნამ დასტოვა ქალაქის თვითმართველობის შენობა, თვითმართველობის კომენდატმა პინდიმ ამის შემდეგ ცეცხლი წაუკიდა შენობას.
25. კომუნის უკანასკნელი პროკლამაცია დელეკლიუზის სიკვდილი ბარიკადებზე.
26. ვერსალელებმა დაიკავეს სენტ-ანტუანის უბანი და შანელი.
27. ბრძოლა შომონის მაღლობებზე. ვერსალელებმა დაიკავეს პერ-ლაშეზის სასაფლაო სადაც კომუნისტებს ხვრეტდენ კედელთან.
28. უკანასკნელი ბარიკადა რამპონოს ქუჩაზე დაეცა. ვერსალელებმა გაუსამართლებლად დახვრიტეს კომუნის წევრი ვარლენი. მარშალ მაკ-მაგონის პროკლამაცია პარიზის დაკავების შესახებ ვერსალელების მიერ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონკურსი საბჭოთა საუკეთესო სექციებზე

მიზანი კონკურსის.—მისი ჩატარების პირობები

ქიათურის საბჭოს სექციების მუშაობა

საბჭოთა სექციების მუშაობა

საბჭოების გამოცოცხლებას სოფლად მუშაობის საკითხთა შორის უკავია ერთ-ერთი მთავარი ადგილი და იპყრობს ჩვენი პარტიის დიდ ყურადღებას. მე-15 პარტყრილობის რეზოლიუციებში ნათლად არის აღნიშნული საბჭოების მუშაობის გამოცოცხლების პოლიტიკის გაღრმავება და მშრომელი მოსახლეობის უფრო მეტი ჩაბმა საბჭოთა აღმშენებლობაში.

საბჭოების მეშვეობით მუშებისა და გლეხების ფართო მასა უშუალო მონაწილეობას ღებულობს როგორც ხელისუფლების ყველა ორგანოების მმართველობაში, ისე სოციალისტურ აღმშენებლობის სხვადასხვა დარგში, რითაც უზრუნველჰყოფს მტკიცე კავშირს ქალაქსა და სოფელ შორის, და აძლიერებს ჩვენი მეურნეობის სოციალისტური სექტორის თანდათანობითი ზრდას. საბჭოების საშუალებით მრავალი ათასეული მუშები და გლეხები, გლეხი-ქალები, ღარიბთა ფართო მასები და მოჯამაგირენი სწავლობენ სოციალისტურ მშენებლობას.

თავის თავად იგულისხმება, რომ ისეთ არაჩვეულებრივად რთულ საქმიანობას, რომელსაც აწარმოებენ საბჭოები უსათუოდ თან ხდევს შეცდომები, რომელთა გამოსწორება წარმოადგენს ხელმძღვანელ ორგანოების ყოველდღიურ ამოცანას. საბჭოების მუშაობა პოულობს თავის გამოხატულებას და შინაარსს განსაკუთრებით მათთან არსებულ სექციებში. საბჭოების მასიურ მუშაობაში მშრომელი მოსახლეობის ფართო მასების ჩაბმის უკეთეს ფორმას წარმოადგენენ სექციები. ქალაქებისა და თემსაბჭოების სექციების საშუალებით მშრომელი მოსახლეობას ეძლევა ნამდვილი საშუალება მიიღოს უშუალო მონაწილეობა ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრებაში და კულტურულ-სამეურნეო აღმშენებლობაში.

თანახმად ცენტრალური პარტიული და საბჭოთა ორგანოების დადგენილებისა ამჟამად ტარდება ქალაქების და თემსაბჭოების საუკეთესოდ მომუშავე სექციების კონკურსი (შეჯიბრი).

რა მიზანი აქვს კონკურსს, როგორი უნდა იყოს კონკურსის სასურველი შედეგები?

კონკურსის მიზანია ერთის მხრივ საბჭოების (სექციების) მუშაობის გამოცდილების შეჯამება და შედეგების გამორკვევა, მეორეს მხრივ კი მათი მუშაობის მიღწევათა და უარყოფითი მხარეების ნათელყოფა და აღნუსხვა. ამით მიეცემათ საბჭოებს საშუალება მომავალში გამოიყენონ აღრიცხული გამოცდილება მუშაობის გასაუმჯობესებლად და აღარ გაიმეორონ ის შეცდომები, რომლებიც თან სდევდა წარსულში მათ საქმიანობას. კონკურსის ჩატარებაში, თანახმად საქ. ცაკის პრეზიდიუმის დადგენილებისა, უშუალო მონაწილეობას ღებულობდნენ ყველა პარტიული, საბჭოთა, პროფესიონალური და საზოგადოებრივი ორგანიზაციები; გარდა ამისა მხურვალე მონაწილეობა უნდა მიიღოს ჩვენმა პრესამ თავისი მუშკორ-სელკორების ქსელის საშუალებით. წინასწარი ორგანიზაციული მუშაობა კონკურსის კამპანიის ჩასატარებლად უკვე დამთავრებულია.

საქართველოს ცაკის პრეზიდიუმთან დაარსებულია ცენტრალური საკონკურსო კომისია, რომელშიაც შედიან ყველა დაინტერესებული ორგანიზაციების წარმომადგენლები. ასეთივე კომისიები გამოყოფილია ავტონომიურ ერთეულების ცაკებთან და მაზრაღმასკომებთან. ადგილობრივი საკონკურსო კომისიების მოვალეობას შეადგენს დაწვრილებით შეისწავლონ სექციების მუშაობის გამოკვლევითი მასალები და თავისი დასკვნა საუკეთესოდ მომუშავე სექციის დაჯილდოების შესახებ წარუდგინონ ცენტრალურ საკონკურსო კომისიას.

როგორ და ვისი საშუალებით ხდება სექციების მუშაობის გამოკვლევა?

სექციების მუშაობის გამოკვლევას ახდენს თითოეულ მაზრაში სამაზრო აღმასკომის პრეზიდიუმი საორგანიზაციო განყოფილებათა და მათი ინსტრუქტორების საშუალებით; აგრეთვე გამოკვლევაში მონაწილეობა უნდა მიიღონ აღმასკომის სხვა განყოფილებებმაც: განათლების, მიწათმოქმედების, ჯანმრთელობის და სხვა. ეს განყოფილებები იკვლევენ განსაკუთრებით ისეთ სექციებს, რომლების მუშაობა მჭიდროდ არის დაკავშირებული მათ საქმიანობასთან (მაგ. განათლების განყ. იკვლევს კულტურულ-განმანათლებელ სექციას, მიწათმოქმედების განყოფილება სას.-სამ. სექციას, კომუნალური განყ. სააღმშენებლო სექციას თემებში და კომუნალურ სექციებს ქალაქის საბჭოებში).

გარდა ამისა როგორც ზემოთ იყო აღნიშნული სექციების მუშაობას იკვლევენ სათანადო ცენტრალური უწყებები, თავისი ხაზით: ჯანმრთელობის, მიწათმოქმედების, განათლების და სხვა სახალხო კომისარიატები.

აგრეთვე მონაწილეობას იღებენ სექციების გამოკვლევაში და მათი მუშაობის ფართოდ გაშუქებაში ყველა ცენტრალური და ადგილობრივი გაზეთების რედაქციები საკუთარი მუშ. გლეხკორების ქსელის საშუალებით. ყველა გამოკვლევამ ორგანიზაციებმა და უწყებებმა გამოკვლევის მეთოდები უნდა შეუთანხმონ ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს; სექციების მუშაობის გამოკვლევის ძირითად მეთოდათ უნდა ჩაითვალოს მთელი ადგილობრივი საზოგადოებრივი ძალების და ფართო ღარიბ და საშუალო გლეხობის აქტივის ჩაბმა გამოკვლევის საქმეში. თითოეულმა კომუჯრედმა და ახ. ლ. კომკავშირის წევრმა უნდა მიიღოს უშუალო მონაწილეობა სექციების კონკურსის ჩატარების კამპანიაში, და აამოძრაოს ამ საკითხის ირგვლივ სოფლად და ქალაქად საბჭოთა საზოგადოებრივობა.

თუ სექციების კონკურსის ჩატარებაში არ იქნება უზრუნველყოფილი პარტიული, საბჭოთა, პროფესიონალური და საზოგადოებრივი (გლეხკომები, კოოპერაცია, თავისუფალი საზოგადოებანი და სხვა) ორგანიზაციების მხურვალე და უშუალო მონაწილეობა, აშკარად უნდა ითქვას, რომ ეს კამპანია ვერ მიიღებს მასიურ ხასიათს, და არც მოგვცემს სასურველ შედეგებს.

რა საზომით უნდა მიუდგეს თვითეული გამომკვლევი ორგანიზაცია სექციების მუშაობის გამოკვლევას და შეფასებას, ან რანაირ მოთხოვნილებებს უყენებენ საუკეთესო მომუშავე სექციებს? საჭიროა ამ საკითხზე მოკლეთ შევჩერდეთ.

ძირითადი მოთხოვნილებები, რომლის მიხედვითაც უნდა აღრიცხულ იქნეს სექციის მუშაობა, მათი დაჯილდოების მიზნით, გამოიხატება შემდეგში: უპირველეს ყოვლისა სექციის ორგანიზაციულად სწორი ჩამოყალიბება და მისი სახელწოდების შეგუება მუშაობის შინაარსთან. ამის გარდა უნდა მიექცეს ყურადღება თვით სექციის შემადგენლობას და მის მუშაობაში საბჭოს წევრების მონაწილეობას; რამდენად სექციის მუშაობაში ჩაბმული არის ქალაქის ან სოფლის აქტივი; მუშა და გლეხი-ქალები (სადელეგატო კრებების წევრები) ღარიბნი და მოჯამაგირენი, და სოფლის მშრომელი ინტელიგენცია; პროფკავშირთა წევრები, განსაკუთრებით მუშები და მოსამსახურენი და ოჯახის წევრები, თვითმშრომელნი, წითელარმიელნი ქალაქად. ხდება თუ არა რეგულიარულად სექციის სხდომების მოწვევა, და ამ სხდომებზე როგორც სექციის წევრების, ისე არა-წევრების დასწრება. როგორ ხელმძღვანელობას უწევს სექციის მუშაობას მისი ბიურო, ან თავმჯდომარე.

შემდეგ უნდა მიექცეს ყურადღება იმას, თუ როგორ ხელმძღვანელობას უწევენ საბჭოები სექციებს და როგორ სწარმოებს მათი ანგარიშგება საბჭოების წინაშე. რანაირ მითითებებს აძლევდა საბჭო სექციებს მუშაობის გაუმჯობესების მიზნით, რა წესით ტარდება სექციების მიერ წამოყენებული და დამუშავებული საკითხები, საბჭოს სხდომებზე; აძლევდა თუ არა საბჭო სექციებს რაიმე დავალებებს ცალკე საკითხებზე და როგორ ანხორციელებს სექცია თავის დადგენილებებს; ხომ არ ემჩნევა სექციების მუშაობას ადმინისტრატიული გადახრა და სხვა. რა მონაწილეობას ღებულობენ სექციები საბჭოს გეგმიან მუშაობის დამუშავებაში და აკეთებენ თუ არა თანამოხსენებებს საბჭოს სხდომაზე (მაგ. სასწავლებლის გამგის მოხსენება და კულტურულ-განმანათლებელი სექციის კომისიის, თანამოხსენება).

სექციების გამოკვლევის ძირითად მომენტად ჩაითვლება სექციების და საბჭოს წევრების კავშირი ამომრჩეველთა ფართო მასებთან. რამდენად ანხორციელებს საბჭო და მისი სექციები ანგარიშგებას ამომრჩეველთა წინაშე, როგორ სრულდება განაწესები (ნაკაზები); სექციების მუშაობის შინაარსის შეგუება მათ უშუალო ამოცანებთან და სხვა.

თავის თავად ცხადია, რომ სექციების ყოველდღიური მუშაობა იმდენად ფართო და მრავალფეროვანია, იმდენად დაკავშირებულია ადგილობრივ პირობებთან, რომ ძნელია მთელი იმ საკითხების აღნუსხვა, რომლებიც შეადგენენ საბჭოს და მისი სექციების მუშაობის საგანს და ამოცანას.

სექციების მუშაობის საკონკურსო გამოკვლევის დამთავრების შემდეგ მთელი მასალა წარედგინება ავტონომიურ ერთეულების ცაკებთან და მაზრაღმასკომებთან არსებულ საკონკურსო კომისიებს გამოკვლევების დასკვნით იმის შესახებ, თუ რომელი სექცია აღმოჩნდა საუკეთესო მომუშავე. ადგილობრივი საკონკურსო კომისიები მასალებს დაწვრილებით შესწავლისთანავე თავის შეხედულებით გამოიტანენ დადგენილებას რამოდენიმე სექციების დაჯილდოების შესახებ და წარუდგენენ დასამტკიცებლად ავტონომიურ ცაკებს და მაზრაღმასკომების პრეზიდიუმებს.

გარდა იმ სექციებისა, რომელთაც დააჯილდოვებენ ადგილობრივი ავტ. რესპუბლიკ. ცაკების და მაზრაღმასკომთა პრეზიდიუმები აღძრავენ შუამდგომლობას ცენტრალურ საკონკურსო კომისიის წინაშე, რომელიმე სექციების დაჯილდოების შესახებ; ცენტრალური საკონკურსო კომისია განიხილავს აგრეთვე მთელ იმ სექციების გამოკვლევითი მასალას, რომელსაც წარმოადგენს ცალკე უწყებები და სახალხო კომისარიატები და მიუსჯის პრემიას (ჯილდოს) თავისი შეხედულებით რამოდენიმე სექციას. სექციების დაჯილდოება მოხდება იმ ნატურალური და ფულადი ფონდიდან, რომელიც გამოყოფილია ცენტრალურ საკონკურსო კომისიის განკარგულებაში, მხოლოდ ავტონომიურ ერთეულებში და მაზრებში კი ადგილობრივი წყაროებიდან. დაჯილდოების დროს უპირატესობა უნდა მიეცეს ნატურალურ პრემიების გაცემას. (მაგალითად სასოფლო-სამეურნეო სექციისათვის, სასოფლო სამეურნეო იარაღი, კულტ-განმანათლებელი სექციისათვის—წიგნებით დაჯილდოება, ქოხსამკითხ. გახსნა-გაძლიერება, რადიო აპარატის გამართვა და სხვა).

ამით თავდება სექციების კონკურსის მთელი კამპანია. თანახმად მიღებული გეგმისა კონკურსის ჩატარება უნდა დაწყებულიყო საბჭოების საანგარიშო კამპანიასთან ერთად პირველ მარტიდან და დამთავრებულიყო 1-ლ აპრილს, მაგრამ უამინდობის გამო შესაძლებელი გახდა ამ მუშაობის დაწყება მხოლოდ 15 მარტიდან. ამის და მიხედვით ვადა გაგრძელებულია 15 აპრილამდე. ამ ხნის განმავლობაში უნდა ჩატარდეს სექციების კონკურსიც.

ამჟამად მიმდინარეობს საბჭოების მუშაობის მასიური გამოკვლევა, რომელიც მდიდარ მასალებს მოგვცემს, საბჭოების ქვედა აპარატის მდგომარეობის შესახებ. მთელი ეს დაგროვილი მასალა იქნება მდგომარეობის შესახებ. მთელი ეს დაგროვილი მასალა იქნება დაწვრილებით შესწავლილი და შეჯამებული ცაკის საორგანიზაციო განყოფილების მიერ, რომელსაც აქვს განზრახული ახლო მომავალში გაფართოებული თათბირის მოწვევა თემის საბჭოების მუშაობის გარშემო. ეს თათბირი განიხილავს დაწვრილებით სოფლად საბჭოების მუშაობასთან დაკავშირებულ ყველა საჭირბოროტო საკითხებს და შეიმუშავებს მთელ რიგ ღონისძიებებს მომავალი მუშაობის გაცხოველებისათვის.

დ. აფციაური.

ქიათურის საბჭოს საექიმო-სასანიტარო სექცია

(წერილი ჭიათურიდან)

ჭიათურის საბჭოს სექციების მუშაობამ გამოცოცხლება დაიწყო მხოლოდ 1927 წლ. აპრილიდან, ე. ი. სამაზრო ცენტრის ზესტაფონში გადატანის დღიდან. მიზეზი მანამდე ცუდი მუშაობისა ის იყო, რომ ქალაქის საბჭოს და მის სექციების მუშაობა სამაზრო აღმასკომის აპარატში იყო გათქვეფილი.

ჭიათურის ქალაქის საბჭოს საექიმო-სასანიტარო სექციაში ირიცხება საბჭოს 23 წევრი. მათ შორის სამი ქალია.

საბჭოს წევრების გარდა აღნიშნული სექციის მუშაობაში ჩაბმულია და ღებულობენ აქტიურ მონაწილეობას 5 საბჭოს არაწევრები. უმთავრესად საექიმო-სასანიტარო დარგში მომუშავე სპეციალისტები.

გარდა ამისა სექციის განზრახული აქვს ახლო მომავალში პროფკავშირების საშუალებით ჩააბას თავის მუშაობაში წარმოებებში მომუშავე აქტივიც.

სექციის ბიუროს მუშაობა

სექციის მუშაობას ხელმძღვანელობს ბიურო.

ბიურო ამუშავებს სექციის სხდომების დღის წესრიგს, სექციის მუშაობის კალენდარულ გეგმებს, იწვევს სექციის სხდომებს და შემდეგ საბჭოს პრეზიდიუმის საშუალებით ცხოვრებაში ატარებს სექციის დადგენილებებს.

ცხრა თვის განმავლობაში ბიუროს ჰქონდა 8 სხდომა. ამ სხდომებზე ბიუროს მიერ წინასწარ დამუშავებულია სექციის მიერ განხილული ყველა საკითხები. ბიურომ დღიდან არჩევისა ორჯერ გაუკეთა მოხსენება სექციას თავისი მუშაობის შესახებ.

სექციის საქმიანობა

სექციის გეგმის თანახმად, სხდომები ყოველ ორ კვირაში ერთხელ უნდა მოწვეულიყო, მაგრამ ზაფხულის პერიოდისა და წარმოებებში საბჭოს წევრ მუშების შემცირების გამო, სექციის წევრების დიდი ნაწილი სოფლებში იყვნენ წასული, რის გამოც სხდომების მოწვევა ორ კვირაში ერთხელ შეუძლებელი გახდა. მიუხედავათ ამისა სექციას მაინც ჰქონდა 12 სხდომა. სექციის სხდომებს საშუალოდ ესწრებოდა წევრთა ოთხმოცი პროცენტი.

საექიმო-სასანიტარო სექციამ თავის 12 სხდომაზე განიხილა 102 საკითხი, ანუ საშუალოდ თითო სხდომაზე 8 საკითხი.

სექციის მიერ განხილული საკითხები შემდეგნაირად ნაწილდებიან: საორგანიზაციო 8, საფინანსო 3, სასოფლო-სასანიტარო 2, სასანიტარო-საგანმანათლებლო 4, ქალაქში სისუფთავის დაცვის 65, სხვადასხვა 20.

აღნიშნული საკითხებიდან 18 საკითხი თვით სექციის სხდომებზე დასვეს განსახილველად თვით სექციის წევრებმა.

განხილულ საკითხების შორის სექციის უმთავრესი ღონისძიებები გამოიხატება შემდეგში: გაკეთებულია 7 წლიანი სკოლის შენობაში კანალიზაცია; მოგვარებულია საკითხი ქალაქ ჭიათურაში ბეითლის მიწვევისა და სასაკლაოში დასაკლავ საქონლის ხორცის შემოწმების შესახებ; სექციის ინიციატივითვე შენდება სასაკლაოს ახალი შენობა, ვინაიდან ძველი ვერ აკმაყოფილებდა სანიტარიისა და ჰიგიენის მოთხოვნილებებს; საბჭოს მიერ მიღებული სექციის წინადადება ქუჩებში უპატრონო ძაღლების მოსპობის შესახებ. ამ მიზნით გამოწერილია მათი დასაჭერი სპეციალური გალია; დაკისრებულია სახლის მეპატრონეების ხარჯზე მეეზოვეები; შემოღებულია ზაფხულობით ქუჩების მორწყვა; ჩატარებულია სექციის მიერ გამოყოფილი კომისიების მიერ ქალაქის ყველა შენობების და ეზოების დათვალიერება, სამაღმასკომის სავალდებულო დადგენილებების შესრულების მიზნით, რის შემდეგ შედგენილია სათანადო ოქმები და მრავალ ადგილას დადგმულია ნაგვის ყუთები, შეკეთებულია ფეხსადგილები და გაწმენდილია ეზოები.

შემოღებულია სასადილოებში, პურის საცხობებში და საპარიკმახეროებში სასანიტარო რეგულარული სანიტარული ზედამხედველობისათვის, ხდება ამავე საწარმოების მომუშავეთა ჯანმრთელობის შემოწმება ყოველ სამ თვეში ერთხელ.

საბჭოს დასტურით აკრძალულია ყველა საჭმელ ნივთების გაყიდვა ახლად გახსნილ სასადილოების, პურის საცხობების და საპარიკმახეროებზე შენობების წინასწარ შემოწმებამდე.

დაკმაყოფილებულია მოსახლეობის შუამდგომლობა „ქართული მარგანეცის" თაღლის სხვა ადგილზე გადატანის შესახებ, როგორც ანტისანიტარიის გამავრცელებელი, უკანასკნელში გაკეთებულია იატაკები, მოწყობილია ჩარდის გასასვლელი მილები და სხვა.

მიღებულია ზომები საბაზრო ადგილის გაჩანაგებისათვის, ამჟამად კი დროებით მიჩნეულია ადგილები ოთხფეხ საქონლის ყიდვა-გაყიდვისათვის და ცალკე სურსათ-სანოვაგისათვის.

ვინაიდან ზაფხულობით ჭიათურაში დიდი მტვერი დგება, აკრძალულია ქუჩებში მინერალური წყლების გაყიდვა და მოვაჭრეებს დავალებული აქვთ სპეციალური კიოსკების მოწყობა.

გამოყოფილი კომისიის მიერ დათვალიერებულია ქალაქის აბანო და შემჩნეული ნაკლულოვანებებიც გამოსწორებულია.

სექციის ყველა წევრებს დავალებული აქვთ ქალაქში გადამდებ სნეულებათა გაჩენის შესახებ დაუყოვნებლივ ცნობების სათანადო ორგანოებისათვის მიწოდება.

ჩატარებულია ტერიტორიულ წრეებში, სასწავლებლებში და მუშათა კლუბებში სასანიტარო-საგანმანათლებლო ლექციები.

ქალაქის მახლობლად მდებარე ქარხნებში და მაღაროებში, სანიტარული წესრიგის დაცვისა და თვალყურის სადევნებლად, მოწყობილია სანიტარული კომისიები, ადგილობრივი ექიმის, ადგილკომის თავმჯდომარეებისა და ადგილობრივი მუშების მონაწილეობით.

ყველა ზემოაღნიშნული ღონისძიებები სექციის მიერ გატარებულია ცხოვრებაში საბჭოს პრეზიდიუმის დასტურით და მონაწილეობით. გარდა ამისა სექციის მიერ სხვადასხვა დათვალიერების ჩასატარებლად, სპეციალური საკითხების დასამუშავებლად და სხვა გამოყოფილი იყო 13 კომისია.

სექციამ თავის სხდომაზე მოისმინა მოხსენებები: საავადმყოფოს გამგის, სავეტერინარო ექიმის, აფთიაქის გამგის, სანიტარულ ზედამხედველის, წითელი ჯვრის ადგილობრივ კომიტეტის და სხვა. მოხსენების შემდეგ სექცია აძლევდა მითითებებს შემჩნეულ ნაკლთა გამოსასწორებლად.

თვით სექციამ ქალაქის საბჭოს ორჯერ ჩააბარა ანგარიში თავისი მუშაობის შესახებ.

როგორც სექციას, ისე ბიუროს გამომუშავებული აქვთ მუშაობის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია საბჭოს პრეზიდიუმის მიერ.

სექციის 6 დადგენილების მიხედვით ქალაქის საბჭოს პრეზიდიუმის მიერ განზრახულია სავალდებულო დადგენილების გამოცემა.

სექციის 102 დადგენილებიდან 68 სისრულეში მოყვანილი, ხოლო დანარჩენი ჯერ კიდევ იმყოფებიან დამუშავების პროცესში.

აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ სექციის დადგენილებები ერთ და იმავე საკითხზე რამოდენიმეჯერ არის გამოტანილი საკითხის სხვადასხვა მიზეზით დასმის გამო.

ამრიგად სექციის დადგენილებების დიდი უმრავლესობა ცხოვრებაშია გატარებული. ამასთანავე სექცია თავისით ღონისძიებებს უფარდებს ქალაქის საბჭოს ფინანსიურ შესაძლებლობებს, და ამიტომაც ისინი ჰპოულობენ განხორციელებას.

სექციის ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ არ სწარმოებდა უკანასკნელ დრომდე სხდომებზე დასწრეთა აღნუსხვა, რასაც უკანასკნელი გამოკვლევის შემდეგ მიექცა ყურადღება ნაკლი გამოსწორებულია.

ვ. ქ—ლი.

საგაზაფხულო თესვის სამზადისი

არც-ერთი ნაკვეთი მიწა დაუთესავი

საქართველოს ყველა კოლექტიურ მეურნეობებს

პატივცემულო ამხანაგებო!

თესვის დრო ახლოვდება და ჩვენი ვალია განსაკუთრებული ყურადღებით მოვეკიდოთ თესვის კამპანიის ბრწყინვალეთ ჩატარების საქმეს, რომ თავიდან ავიცილოთ, გაჭირვება და შეწუხება, რაც გლეხობამ განიცადა შარშანდელი მოუსავლიანობის გამო.

საბჭოთა მთავრობა და ყველა ხელმძღვანელი ორგანოები იღებენ სასწრაფო ზომებს რომ გლეხი უზრუნველყოფილი იქნეს თესლით და სხვა საჭირო იარაღ - მანქანებით, ამისათვის არის კადადებული საგანგებო დანიშნულების სესხი.

გაზაფხულის თესვის კამპანიის ჩასატარებლად დიდი მოვალეობა აქვს დაკისრებული სას. სამ. კოოპერაციას. მთელი თავისი აპარატით და გამოცდილებით ის მოწოდებულია ყოველმხრივი დახმარება აღმოუჩინოს გლეხობას. კერძოდ, საქართველოს კოლმეურნეობების სექციას, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული მშრომელ გლეხობასთან, რომელსაც აქვს უდიდესი პასუხისმგებლობა საჭირო მუშაობის წარმატებით ჩასატარებლად.

ამ დავალების პირნათლად შესრულებას კოლმეურნეობის სექცია შესძლებს, ამხანაგებო, თქვენი საშუალებით: თქვენით, რომელნიც გაერთიანებული ხართ, სხვადასხვა სახის კოლმეურნეობებში. სამანქანო და მელიორატიულ ამხანაგობებში. თქვენ მიზნათ უნდა დაისახოთ:

1. პურეულობის (სიმინდი, ხორბალი, ქვავი ქერი' შვრია) კარტოფილის და სხვა მცენარეების და ბოსტნეულობის მოსავლიანობის გადიდება.

2. მაღალ ტექნიკურ კულტურათა (ბამბა, ჩაი, თამბაქო, კანაფი) გაფართოება და მესაქონლეობის გაუმჯობესება.

3. სასოფლო მეურნეობის ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება.

4. წვრილ დაქუცმაცებულ გლეხურ მეურნეობათა კოლექტივიზაციისათვის ხელის შეწყობა.

თქვენ გევალებათ, როგორც თქვენი კოლექტივების წევრთა აგრეთვე თქვენს ირგვლივ მცხოვრებ გლეხთა შორის ჩაატაროთ მოხსენებები თესვის კამპანიის შესახებ და მიიღოთ ზომები, რომ არც ერთი ნაკვეთი ვარგისი მიწისა არ დარჩეს დაუთესელი.

ჩვენ მიერ მიღებულია ზომები რომ კოლექტივები უზრუნველყოფილი იქნეს სათესლე მასალით, რაც მზადდება სოფლის კავშირის საშუალებით.

სამანქანო ამხ-ბებმა და სხვა კოლექტივებმა თავისი იარაღ - მანქანებით და მუშა საქონლით უნდა დაეხმარონ, რაც შეიძლება შეღავათიან პირობებში მათ გარშემო მცხოვრებ ღარიბ გლეხობას.

თქვენ სასწრაფოდ უნდა გამოარკვიოთ მავნებლებთან ბრძოლის მიზნით კოლექტივებისათვის საჭირო საწამლი მასალები (გოგირდი, შაბიამანი და სხვა) და დაკვეთები გამოაგზავნეთ.

ამ მიზნისათვის უნდა დაიხმაროთ ყველა ადგილობრივი აგრონომიული ძალები.

თესვის კამპანიის ჩატარებას დაუყოვნებლივ უნდა შეუდგეთ, ვინაიდან მოსამზადებელ მუშაობისათვის ძალიან ცოტა დრო დარჩა.

თესვის კამპანიის უნაკლოდ ჩატარება იქნება იმის საწინდარი, რომ ღარიბ და საშუალო შეძლების გლეხობას აუცილებთ მომავალში იმ გაჭირვებას, რაც იმათ განიცადეს შარშანდელი მოუსავლიანობით.

კოლმეურნეობის სექცია დარწმუნებულია, რომ ჩვენი ძირითადი ქსელის მუშაკნი ღირსეულად შეასრულებენ ამ სახელმწიფოებრივ მნიშვნელობის ოვალებს.

საქართველოს კოლმეურნეობათა სექციის გამგეობა. ვლ. ცაგარელი.

გლეხკომები და თესვის კამპანია

გუშინ შესდგა საქართველოს ცენტრალურ გლეხკომის სპეციალური სხდომა, რომელზედაც გამომუშავებული იქნა ღონისძიებები თესვის კამპანიაში მონაწილეობის მიღებისათ და მის წარმატებით ჩასატარებლად.

ადგილობრივ გლეხკომების ხელმძღვანელად, სხდომამ შეიმუშავა გეგმა და დირექტივები, რომლის მიხედვით: გლეხკომები, როგორც ფართო საზოგადოებრივი სასოფლო ორგანიზაციები აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ გაზაფხულის თესვის კამპანიის ჩატარებაში.

გლეხკომების წარმომადგენლები ყველგან, როგორც რესპუბლიკის ცენტრში, აგრეთვე მაზრებში, თემებში და სოფლებში აქტიურ და ცხოველ მონაწილეობას მიიღებენ (გადამწყვეტი ხმის უფლებით) იმ სამეულების (ანუ სხვა ორგანიზაციების) მუშაობა-საქმიანობაში, რომლებიც მოწყობილი იქნება ზემოაღნიშნულ მიზნის განსახორციელებლათ.

გლეხკომები ყველგან სათანადო ორგანოების მიერ მოცემული დირექტივების თანახმად სოფლის ფართო მოსახლეობაში გაწევენ პროპაგანდა-აგიტაციას გაზაფხულის თესვის კამპანიის ჩატარების მნიშვნელობაზე და პრაქტიკულათ სხვა ორგანიზაციებთან ერთად ხელმძღვანელობას, კანტროლს და მეთვალყურეობას გაუწევენ ადგილებს, რომ თესვის კამპანია ყველგან წარმატებით ჩატარდეს.

გლეხკომები თესვის კამპანიაში ფართოთ ჩააბამენ ღარიბ და საშუალო შეძლების გლეხებს, დაუპირდაპირებენ მათ კულაკებს და სხვა ორგანოებთან ერთად აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ სოფლებში დასათესი არეს ფართობის გადიდებაში, სადი და კარგი სათესლე მასალის მომარაგებაში, დახარისხებაში, გაწმენდაში და რაც უმთავრესია ამ სათესლე მასალის გლეხებს შორის რიგიანათ და წესიერათ განაწილების საქმეში.

გლეხკომები თესვის კამპანიის ჩასატარებლად გამოიყენებენ ყველა იმ სამეურნეო იარაღებს, რომელიც მათ აქვთ ამჟამად და ამავე დროს აგრონომიულ პუნქტებს და სათანადო ორგანოებს აქტიურათ შეუწყობენ ხელს. გაზაფხულის თესვის კამპანიის ჩატარების პერიოდში სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების წესიერად განაწილების საქმეში.

გლეხკომები თავის საფონდო მარაგიდან შესაძლებლობის ფარგლებში გამოყოფენ საჭირო საშუალებებს ღარიბ გლეხებისათვის სათესლე მასალის შესაძენათ და ზოგიერთებს ფულათაც მისცემენ სათესლე მასალის შესაძენად.

გლეხკომები ზოგიერთ ადგილებში გაზაფხულის თესვის კამპანიის ჩასატარებლად ახლათ შეიძენენ სასოფლო-სამეურნეო იარაღებს და გაანაწილებენ მათ ღარიბ და საშუალო შეძლების მქონე გლეხებში.

იმ ორგანოებს, რომელთაც დავალებული ექნებათ თესვის კამპანიის ჩასატარებლათ და სხვა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისათვის მიზნობრივი სესხის გაცემა, გლეხკომები აქტიურათ დაეხმარებიან სესხის სამართლიანად და მიზანშეწონილად განაწილების საქმეში.

გლეხკომები მიმდინარე გაზაფხულის თესვის კამპანიის ჩატარების დროს თავის თავზე აიღებენ და საზოგადოებრივი, კოლექტიური წესით დაუხნავენ და დაუთესავენ ყველა მიწებს—ობლებს, ქვრივებს, ინვალიდებს და იმ წითელარმიელების ოჯახებს, რომელთაც სამხედრო სამსახურში გაწვევის დროს სახლში არ დარჩენიათ მუშა-ხელი.

გლეხკომები კისრულობენ პერიოდიულათ მიაწოდონ ცნობები—სათანადო ორგანოებს, გლეხკორებს და გაზეთებსაც იმის შესახებ,—თუ როგორ დაიწყება და როგორი ტემპით იწარმოებს ჩვენში თესვის კამპანია.

სრ. საქართველოს ცენტრალური გლეხკომი შეჯიბრებას გამოაცხადებს და სხვადასხვა სახის პრემიით დააჯილდოვებს იმ გლეხკომს, რომელიც მეტ უნარს და აქტივობას გამოიჩენს თავის სამოქმედო რაიონში თესვის კამპანიის წარმატებით ჩატარების საქმეში.

სამზადისი თესვის კამპანიისათვის

(მოხსენება ამხ. ს. ორჯონიკიძეს)

საგაზაფხულო თესვის კამპანიის რწმუნებულმა ა.-კავკასიაში თესვის კამპანიის საკავშირო რწმუნებულს ამხ. ს. ორჯონიკიძეს გაუგზავნა შემდეგი ცნობა:

ამიერ-კავკასიაში საგაზაფხულო თესვის კამპანიის ჩასატარებლათ მიღებული ღონისძიებები გამოიხატება შემდეგში: ყველა რესპუბლიკებში მოწყობილია თესვის კამპანიის ხელისშემწყობი საგანგებო ორგანოები, სამეულების სახით. ასეთივე სამეულები გამოყოფილია სამაზრო, სათემო და დიერა აღმასკომებთან შემოდგომაზე დასათესი სივრცე გამოუყენებელი დარჩა 8 პროცენტით, რაც უდრის 80.000 ჰექტარს. საგაზაფხულო ნათესების სივრცე გადიდებული იქნება 5 პროცენტით, ანუ 5.000 ჰექტარით. თესვის კამპანიის ხელის შესაწყობათ დირექტივები დაეგზავნათ ყველა რესპუბლიკებს. დიდია მოთხოვნილება სათესლე მასალაზე და საქონლის საკვებზე.

მიღებულია ზომები, რომ რკინისგზამ სწრაფად აწარმოოს სასოფლო-სამეურნეო მანქანების და ტრაქტორების გადაზიდვა ა.-კ. ერთი რაიონიდან მეორე რაიონში. მოთხოვნილება მიწის დასამუშავებელ იარაღებზე დაკმაყოფილებული იქნება სავსებით „ზაკსელმაშის" მიერ ნათესები უზრუნველყოფილი იქნება სარწყავი წყლით. სასოფლო - სამეურნეო იარაღების შესაკეთებლათ მოწყობილია ექვსი ახალი სახელოსნო, ხოლო არსებული სახელოსნოების გასაფართოებლათ მიღებულია სასწრაფო ზომები. გადაწყვეტილი გვაქვს ხელახლა გადავსინჯოთ საკრედიტო საქმე, იმ მიზნით, რომ მაქსიმუმამდე იქნეს დაკმაყოფილებული საგაზაფხულო თესვის კამპანიის მოთხოვნილებები.

სოფლად, ყურადღების ცენტრში ვაყენებთ კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობებს, რომელთაც პირველ რიგში ვაძლევთ დახმარებას. „ზაკსელმაშის" მისამართით მოსულ სასოფლო სამეურნეო მანქანების გადაგზავნა გადაწყვეტილი გვაქვს საკრედიტო ამხანაგობებისათვის, რომლებიც შემდეგ მანქანებს გაგზავნიან სამუშაო რაიონებში. ახლო ხანში ამერიკიდან მოველით ტრაქტორებს და სათეს მანქანებს. ცნობა მივიღეთ აგრეთვე, რომ ავსტრიიდან გამოგზავნილია ამიერ-კავკასიისაკენ ტრიერების პარტია. ძალიან მწვავედ სდგას საკითხი მოსახლეობისათვის სათესლე მასალის მიწოდების მხრივ. ეს მოთხოვნილება შესაძლებელი იქნება დავაკმაყოფილოთ მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ შემოტანილ პურს გადაუცვლით გლეხებს თესლზე, ვინაიდან უღარიბესი გლეხობა იძულებულია საჭმელათ გაიხმაროს შემონახული სათესლე მასალა. გასულ წელში მოუსავლიანობის გამო ა.-კავკასიაში არ მოიპოება ხორბლეულის ზედმეტი მარაგი.

საბამბო რაიონებში სათესი სივრცის გადიდება, იმ რაოდენობით, როგორც ეს ნაგულისხმევია გეგმით შესაძლებელია, თუ აღნიშნულ რაიონებს თავის დროზე მივაწოდებთ პურს და მანუფაქტურას. ცუდ მდგომარეობაშია აგრეთვე მუშა-საქონლის უზრუნველყოფა საკვებით, რადგანაც უჩვეულოთ დიდი ზამთრის გამო შეუძლებელი გახდა საქონლის წაყვანა საზამთრო საძოვრებზე.

ჩვენ მიერ მიღებულია სასწრაფო ზომები საქონლის საკვების შესაძენათ და 14-დან 17 მარტამდე ამ მიზნით გავეცით 25.000 მანეთი.

საგაზაფხულო თესვის კამპანიის ჩასატარებლათ 14-დან 17 მარტამდე ა.-კ. რესპუბლიკებს შორის გავანაწილეთ 3.945.000 მან. კრედიტი.

კამპანიის ჩამტარებელ რესპუბლიკანური კომისიის პირველი სხდომა

კამპანიის ჩამტარებელ რესპუბლიკანური კომისიის პირველი სხდომა

გუშინ ამხ. ს. ჯუღელის თავ-ჯდომარეობით შესდგა საგაზაფხულო თესვის კამპანიის ჩამტარებელ რესპუბლიკანურ კომისიის პირველი სხდომა, რომელმაც გამოიტანა შემდეგი დადგენილება:

სათესლე სიმინდის დამზადება

დამზადებული იქნეს 87.000 ფუთი სათესლე სიმინდი: აქედან სენაკის მაზრაში დამზადდეს 17.000 ფუთი, გურიაში—15.000 ფუთი, ქუთაისის მაზრაში—20.000 ფ., ზუგდიდის მაზრაში—15.000 ფუთი და აფხაზეთში—20.000 ფუთი სათესლე სიმინდი.

აღნიშნულ მაზრებს სასწრაფოთ მოეთხოვოს ცნობა: რომელ რაიონში რა რაოდენობით შეიძლება სიმინდის დამზადება.

დამზადება ჩატარებულ იქნეს სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობების საშუალებით სპეციალური კრედიტების ხარჯზე. კრედიტები გაეცეს ამხანაგობებს საქართველოს სას.-სამ. ბანკის საშუალებით, როგორც კი მიღებული იქნება მაზრებიდან ცნობა თუ რომელ რაიონში რა რაოდენობით იქნება დამზადებული სათესლე სიმინდი.

სათესლე ხორბლის დამზადება

სასწრაფო დეპეშით მიეცეს შეკითხვა ხორბლის რაიონებს, თუ რა რაოდენობით შეიძლება ხორბლის დამზადება.

მიწსახკომს მიეცეს წინადადება სასწრაფოდ აცნობოს რესპუბლიკანურ კომისიას სათესლე ხორბლის ფონდის მდგომარეობა და როგორ სწარმოებს მის განკარგულებაში მყოფ 8.000 ფ. სათესლე ხორბლის ფონდის განაწილება.

საქონლის საკვების დამზადება-განაწილება

საქონლის საკვები მასალის (თივა, ჩალა, ბზე, ქატო და სხ.) დამზადება-განაწილება დაევალოს „სოფლის კავშირს", ცეკავშირს და მიწსახკომს.

ამ მიზნისათვის საჭირო სესხი 100.000 მანეთის რაოდენობით გამოთხოვილი იქნეს საგაზაფხულო თესვის კამპანიის ჩამტარებელ ა.-კ. კომისიიდან.

სოფლის მეურნეობის მექანიზაცია

წინადადება მიეცეს „სოფლის კავშირს" ორი დღის განმავლობაში წარმოადგინოს ცნობა სასოფლო-სამეურნეო მანქანების რაოდენობის შესახებ; როგორ არის განაწილებული მანქანები მაზრებსა და ავტონომიურ რესპუბლიკებს შორის და რამდენი მანქანა იქნება შემოზიდული უახლოეს თვეებში.

წინადადება მიეცეს მიწსახკომს, ორი დღის განმავლობაში წარმოადგინოს ცნობა—მის განკარგულებაში მყოფ იარაღ-მანქანების შესახებ და მათი თესვის კამპანიაში გამოყენების გეგმა.

მიწსახკომს და „სოფლის კავშირს" მიეცეს წინადადება, წარმოადგინოს ცნობები—სას.-სამ. იარაღ-მანქანების შემკეთებელ სახელოსნოების რაოდენობისა და მათი რაიონებს შორის განაწილების შესახებ.

საერთაშორისო მიმოხილვა

(კვირიდან—კვირამდე)

ერთა ლიგის საბჭოს სესიის შედეგები.—მორიგი ლაყბობა განიარაღებაზე.—ინგლისი-ავღანისტანი-საბჭოთა კავშირი.—საფრანგეთის ბანკის თავხე-დური პრეტენზიები.

ერთა ლიგის საბჭოს უკანასკნელი სესია განსაკუთრებით განირჩეოდა თავისი უფერულობით და უშედეგობით; მან ვერ გადასწყვიტა ვერც ერთი მთავარი საკითხი, რომელიც მის დღის წესრიგში იდგა.

ერთ-ერთი ასეთი საკითხი იყო სენ-გოტარდის ინციდენტი, რომლის გარშემო თავის დროზე დიდი განგაში ატყდა ევროპაში. საქმე ეხება უნგრეთის ფარულ შეიარაღებას, რაც აღმოჩენილ იქნა. უნგრეთი კი ტრიანონის ხელშეკრულების ძალით განიარაღებულია და მოკლებულია შეიარაღების უფლებას. სენ-გოტარდის ინციდენტის გამო მცირე ანტანტის ქვეყნებმა, რომელთაც უნგრეთის გაძლიერება საფრთხეს უმზადებს, მიმართეს ერთა ლიგას, რათა მას გამოეკვლია სენ-გოტარდის შემთხვევა და ზომები მიეღო უნგრეთის წინააღმდეგ.

მაგრამ ამ საქმეში ერია იტალია; სწორედ მას ეკუთვნოდა იარაღი, რომელიც სენ-გოტარდში დაჭერილ იქნა. იტალიას უნგრეთთან სამხედრო ხელშეკრულება აქვს დადებული; მუსოლინი მისი საშუალებით ცდილობს საფრანგეთის გავლენის ქვეშ მყოფ მცირე ანტანტის დაშლას, ბალკანეთიდან საფრანგეთის გაძევებას და იქ თავის ჰეგემონიის დამკვიდრებას. ცხადი იყო, რომ ერთა ლიგის საბჭოს სესია ვერ გაბედავდა სენ-გოტარდის საკითხის მიუდგომლად გაშუქებას და აქედან სათანადო დასკვნის გამოყვანას, ვინაიდან ამით შეილახებოდა იტალიის იმპერიალიზმის ინტერესები. ეს მით უფრო, რომ ინგლისიც, როგორც იტალიის მოკავშირე და საფრანგეთის მოწინააღმდეგე, ხელს აფარებდა უნგრეთს. ამის შემდეგ გასაგებია, რომ სენ-გოტარდის ინციდენტის გარჩევა გადადებულ იქნა.

ასევე გადაიდო უნგრეთ-რუმინეთის დავის გარჩევა. დავა შემდეგში მდგომარეობს: რუმინეთის მთავრობამ „აგრარულ რეფორმის" ჩატარების წესით მამულები ჩამოართვა უნგრელ მემამულეებს სემიგრადში, რომელიც ეკუთვნოდა უნგრეთს, ხოლო ტრიანონის ხელშეკრულებით რუმინეთს გადაეცა.

უნგრეთის მთავრობა მოითხოვს, რომ უნგრელ მემამულეთ კომპენსაცია მიეცს ჩამორთმეულ მიწებისათვის, რაზედაც რუმინეთის მთავრობა უარს აცხადებს. უნგრეთს ხსენებულ საკითხში მხარს უჭერენ იტალია, ინგლისი და გერმანიაც (რომელსაც ასეთივე დავა აქვს ესტონიასთან). ერთა ლიგის საბჭოს სესიამ წინადადება მისცა მხარეებს საკითხი გადასცენ საარბიტრაჟო სასამართლოს. აქედან საკითხს ეკარგება პოლიტიკური ელფერი და ის ვიწრო უფლებრივ ხასიათს ღებულობს, რაც იმას ნიშნავს, რომ რუმინეთის მთავრობის პრეტენზიები უარყოფილ იქნება. რუმინეთი ამაზე არ დასთანხმდა და ხსენებულ დავის განხილვა, როგორც ვთქვით, გადაიდო, (ეს მესამეჯერ).

სესიის დღის წესრიგში შეტანილ იყო აგრეთვე პოლონეთ - ლიტვის კონფლიქტი. ეს მოხდა პოლონეთის ინიციატივით. პილსუდსკი ცდილობდა ერთა ლიგა აემხედრებია ლიტვის წინააღმდეგ და საქმის ვითარება, ისე წარმოედგინა, რომ თითქო ლიტვა არღვევდეს ლიგის საბჭოს დეკემბრის სესიის დადგენილებას, რომლის თანახმად ორივე მხარეს უნდა დაეწყოთ მოლაპარაკება ურთიერთობის მოსაგვარებლად. მაგრამ ამ მიზანს პოლონეთმა ვერ მიაღწია: პოლონეთ-ლიტვის კონფლიქტის განხილვა გადაიდო ივნისის სესიამდე. რაც ლიტვის ერთგვარ გამარჯვებას ნიშნავს.

ამრიგად, ლიგის საბჭოს სესიის „მუშაობა" გამოიხატა ყველა მთავარი საკითხის გადადებაში. ეს ერთხელ კიდევ მოწმობს ერთა ლიგის სრულ უძლურებას ერთი მხრით, ხოლო მეორე მხრით — კაპიტალისტურ ქვეყნების ინტერესთა წინააღმდეგობას, რაც შეუძლებელს ხდის მათ შეთანხმებას (ცოტათ თუ ბევრად მნიშვნელოვან საკითხებში).

ლიგის საბჭოს უკანასკნელი სესია, როგორც ყოველთვის, საყურადღებო იყო არა იმდენად იმ საკითხებით, რომელნიც მის დღის წესრიგში ოფიციალურად იდგენ, არამედ იმ საიდუმლო მოლაპარაკებით, რომელსაც აწარმოებდენ ჟენევაში შეკრებილი იმპერიალისტები. ამ მოლაპარაკების უმთავრესი საგანს, ეჭვი არ არის, შეადგენდა საერთო ხაზის გამომუშავება განიარაღების საბჭოთა პროექტის მიმართ, რომ ამა თუ იმ სახით დამარხონ ეს პროექტი. თუ რა შედეგს მიაღწიეს მათ ამ მხრივ, ამას გვიჩვენებს განიარაღების კომისიის სესია.

* * *

ეს სესია უკვე გაიხსნა. სანამ მას შევეხებოდეთ, საჭიროა აქ ერთი დამახასიათებელი წვრილმანი აღვნიშნოთ, ოსმალეთი დღემდე არ მონაწილეობდა განიარაღების კომისიის მუშაობაში. მის დაშვებას ამ კომისიაში ეწინააღმდეგებოდენ იმპერიალისტური ქვეყნები. კერძოდ ინგლისი, რომლის აგრესიული პოლიტიკა ოსმალეთის მიმართ ცნობილია. ინგლისს ეშინოდა, რომ ოსმალეთი განიარაღების კომისიაში ზურგს გაუმაგრებდა იმპერიალიზმთან მებრძოლ ძალას, მაგრამ საბჭოთა მთავრობამ წინადადებით მიმართა ერთა ლიგას, რომ ოსმალეთი მოეწვიათ განიარაღების კომისიის სესიაზე. ამ წინადადების უარყოფა შეუძლებელი გახდა. ვინაიდან ეს ერთი მხრით ამხელდა ლიგის მესვეურთა მტრობას ოსმალეთისადმი, მეორე მხრით — განიარაღების შესახებ მათი ლაყბობის თვალთმაქცობას. ამავე დროს, ლიგის საბჭოს არ სურდა ისე გამოსულიყო, რომ ოსმალეთის მოწვევა მას აიძულა საბჭოთა მთავრობის მიმართვამ, რადგან ამით განმტკიცდებოდა საბჭოთა კავშირის ავტორიტეტი და მისი მეგობრული დამოკიდებულება ოსმალეთთან. ასეთ მდგომარეობიდან ლიგის მეთაურებმა „გამოსავალი გამონახეს": სცენაზე გამოიყვანეს პოლონეთის გარეშე საქმეთა მინისტრი ზალესკი, რომელსაც დაავალეს წარმოედგინა წინადადება განიარაღების კომისიაში ოსმალეთის მოწვევის შესახებ. საბჭოთა მიმართვა მიფუჩეჩებულ იქნა და ოსმალეთი მოიწვიეს ვითომდა ზალესკის შუამდგომლობის თანახმად. მაგრამ ეს უხეირო ხრიკი ვერ დაფარავს საქმის ვითარებას, კერძოდ ოსმალეთის მმართველ წრეებისა და საზოგადოებრიობისათვის აშკარაა საბჭოთა მთავრობის როლი ამ შემთხვევაში.

დავუბრუნდეთ განიარაღების კომისიის სესიას. სესიის გახსნაზე კომისიის თავმჯდომარემ, ინგლისელმა ლოუდენმა განაცხადა: „კომისიამ უნდა გადასწყვიტოს საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად რეალურია ეს პროექტი (განიარაღების საბჭოთა პროექტი) და რამდენად ეთანხმება იგი კაცობრიობაში გაბატონებულ სულისკვეთებას. ყოველ შემთხვევაში, მეტად სასარგებლო იქნება. ზედმიწევნით იქნას ეს პროექტი შესწავლილი"-ო. გულუბრყვილო ადამიანებს შეიძლება მოეჩვენოთ, რომ ლოუდენი თუ არ იზიარებს საბჭოთა პროექტს, არც ისე უარყოფით ეკიდება მას. რა თქმა, უნდა საქმის მდგომარეობა სულ სხვანაირია. გავიხსენოთ, რომ იმპერიალისტები ინგლისის მეთაურობით ყოველნაირად ცდილობენ გვერდი აუქციონ განიარაღების დეკლარაციისათვის, რომელიც ამხ. ლიტვინოვმა გამოაქვეყნა გ. წ. 30 ნოემბერს განიარაღების კომისიის მეორე სესიაზე. ეხლა ლოუდენი ლამობს გაითამაშოს მშვიდობიანობის მომხრის როლი მასების მოსატყუებლათ, იმ იმედით, რომ სულ ერთია საბჭოთა პროექტი ამა თუ იმ სახით მაინც დასამარებულ იქნებაო.

ლოუდენის გამოსვლას კერძოდ საფუძვლად უდევს ინგლისის უარყოფითი დამოკიდებულება ე. წ. უშიშროების უზრუნველყოფის საკითხისადმი. განიარაღების კომისიის ნოემბრის სესიაზე ასე თუ ისე გაიმარჯვა საფრანგეთის თვალსაზრისმა, რომლის მიხედვით განიარაღებას წინ უნდა უძღოდეს უშიშროების უზრუნველყოფა, ე. ი. ვერსალის სისტემის ნიადაგზე ევროპაში საფრანგეთისათვის შექმნილ გაბატონებულ მდგომარეობის დაცვა. საფრანგეთი ერთა ლიგისაგან ამ მიზნით მოითხოვს გარანტიებს. ინგლისი კი, —რომელიც მიილტვის საფრანგეთის ჰეგემონიის მოსპობისაკენ და მის ხარჯზე თავის როლის გადიდებისაკენ, წინააღმდეგია საფრანგეთს რაიმე დამატებითი გარანტიები მისცეს, გარდა იმისა, რაც გათვალისწინებულია ლოკარნოს ხელშეკრულებით. ამასთან, მას სრულებით არ სურს რაიმე ვალდებულება იკისროს და თავი შეიზღუდოს საგარანტიო აქტებში მონაწილეობით. ამიტომ ინგლისმა განაცხადა, რომ თავისთვის სავალდებულოდ არ თვლის უშიშროების კომიტეტის დადგენილებას საგარანტიო ხელშეკრულებათა და საარბიტრაჟო კონვენციის დადების შესახებ. აქედან — ლოუდენის „დაინტერესება" საბჭოთა პროექტით სხვათა შორის, უნდა გავიგოთ, როგორც მანევრი საფრანგეთის წინააღმდეგ და უშიშროების საკითხში უკანასკნელის პოზიციის შერყევის ცდა.

თვითონ უშიშროების კომიტეტის სესიის შედეგები, რომლებსაც უკავშირებენ განიარაღების საკითხის გადაჭრის წარმატებას, სრულიად უნუგეშოა, როგორც აღვნიშნეთ, უშიშროების უზრუნველსაყოფად სესიამ დაადგინა სახელმწიფოთა შორის საგარანტიო ხელშეკრულებათა დადება. უკვე მოვიხსენიეთ, რომ ამ დადგენილებას ინგლისი არ შეუერთდა. შემდეგ: კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის დადებულ საგარანტიო ხელშეკრულებებს არავითარი რეალური ძალა არა აქვთ; არ არსებობს ისეთი ორგანო, რომელსაც შეეძლოს მათი განხორციელება; და ისინი, როგორც ეს არა ერთხელ მომხდარა, ქაღალდის ნაგლეჯად იქცევიან, როცა რომელიმე იმპერიალისტური ქვეყანა საჭიროდ და შესაძლებლად დაინახავს თავის მტაცებლურ მადის ზარბაზნების საშუალებით დაკმაყოფილებას.

ყველაფერი ეს განსაზღვრავს განიარაღების კომისიის სესიის უშედეგობას. ზედმეტჯერ მტკიცდება საბჭოთა მთავრობის თვალსაზრისი, რომ უშიშროების, მშვიდობიანობის უზრუნველყოფა მოსახერხებელია მხოლოდ სრული და საყოველთაო განიარაღებით. განიარაღების საბჭოთა პროექტი სწორედ ამის მოთხოვნას შეიცავს. მაგრამ, რა თქმა უნდა, ჟენევაში შეკრებილი „მშვიდობის მოყვარულნი" ამ თვალსაზრისზე ვერ დადგებიან. ლოუდენი, რომელმაც „მეტად სასარგებლოდ სცნო საბჭოთა პროექტის ზედმიწევნით შესწავლა" (მოსაზრებებით, რომელთაც, ცხადია, არაფერი აქვთ საერთო განიარაღების ნამდვილ სურვილთან), როგორც ზევითაც ვსთქვით, აღნიშნა: „კომისიამ უნდა გადასწყვიტოს საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად რეალურია ეს პროექტი და რამდენად ეთანხმება იგი კაცობრიობაში გაბატონებულ სულისკვეთებას". რეალურია თუ არა ჩვენი პროექტი? იმპერიალისტების თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, არა. მიტომ, რომ ამ პროექტის განხორციელება ნიშნავს თვით იმპერიალიზმის მოსპობას. ლორდ კუშენდმაც აღიარა, რომ იმპერიალისტები ვერ მოახდენენ განიარაღებას, რადგან ისინი მხოლოდ შეიარაღებული ძალების საშუალებით ფლობენ კოლონიებს. ამას უნდა დაუმატოთ, რომ კაპიტალისტურ ქვეყნების ურთიერთი მეტოქეობა და შიში, რომ განიარაღებულ ბურჟუაზიას შესაძლებლობა არ ექნება მორჩილებაში იყოლიოს მუშათა კლასი, რომელიც ამ შემთხვევაში ადვილად დაამხობს მის ბატონობას, — აუცილებლად იწვევს კაპიტალისტურ სახელმწიფოების შეიარაღებას. ამგვარად, მათთვის განიარაღების საბჭოთა კონვენცია, ვიმეორებთ, არ არის „რეალური". რაც შეეხება „კაცობრიობაში გაბატონებულ სულისკვეთებას", რაზედაც ლოუდენი ლაპარაკობს, ეს სულისკვეთება სავსებით გამორკვეულია. რამდენადაც „კაცობრიობაში" უნდა ვიგულისხმოთ მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა, ე. ი. მშრომელი მასები, იმდენად ცხადია, რომ ეს მასსები სასიცოცხლოთ არიან დაინტერესებული საყოველთაო განიარაღებისა და მშვიდობიანობის განხორციელებაში. მაგრამ ლოუდენი ჰგულისხმობს არა მშრომელ მასსებს, არამედ გაბატონებულ კაპიტალისტებს, რომელთა წარმომადგენელნი დღეს შეკრებილნი არიან ჟენევაში. მათგან ჩვენ, რასაკვირველია, არ მოველით, რომ ისინი მხარს დაუჭერენ საბჭოთა წინადადებებს. მაგრამ ამ წინადადებების არც ხელაღებით უარყოფა შეიძლება, რადგან ეს გამოააშკარავებს მათ ბუნებას, თუ ეს ვინმესთვის კიდევ საჭიროა, ამიტომ მოსალოდნელია, რომ ჩვენი პროექტი „ზედმიწევნით შესწავლისათვის" გადაეცა კომისიას. რომლის „მუშაობა" დაუსრულებლივ შეიძლება გაგრძელდეს, ე. ი. პროექტი არსებითად უარყოფილ იქნება. მაგრამ საბჭოთა მთავრობა ამხელს იმპერიალისტების ასეთ ფანდებს და მშრომელ კაცობრიობას აჩვენებს, თუ ვინ უშლის ხელს განიარაღებას და რა გზით შეიძლება მშვიდობიანობის დამყარება.

* * *

მაშინ როცა ლოუდენი „თანაგრძნობით" ეკიდება განიარაღების საბჭოთა პროექტს, ინგლისი ამავე დროს ძველებურად აწყობს ინტრიგებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ამ შემთხვევაში ჩვენ მხედველობაში გვაქვს ინგლისის პრესის კამპანია ავღანისტანის ფადიშაჰის ლონდონში ჩასვლასთან დაკავშირებით.

ლონდონის გაზეთები ხოტბა - ქებას ასხამენ ფადიშაჰს ამანულას და ამასთან არკვევენ ინგლის - ავღანისტანის დამოკიდებულებას. „მორნინგ პოსტ" აცხადებს: „ინგლისის პოლიტიკა ყოველთვის გამოიხატებოდა ავღანისტანის დამოუკიდებლობის პატივისცემაში"-ო. ეს, რა თქმა უნდა, უტიფარი სიცრუეა. ჩვენ ვიცით, რომ ავღანისტანი ინგლისს დიდი ხნის განმავლობაში დამონებული ჰყავდა და რომ ავღანისტანმა თავისი დამოუკიდებლობა მოიპოვა ინგლისთან ხანგრძლივი ომების შემდეგ.

ავღანისტანის ეს გამარჯვება შესაძლებელი გახდა მხოლოდ ოქტომბრის რევოლიუციის წყალობით. ოქტომბერმა, როგორც აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, ისე ავღანისტანში გააძლიერა, ნაციონალურ განმანთავისუფლებელი მოძრაობა. ამასთან საბჭოთა მთავრობამ პირველად იცნო ავღანისტანის დამოუკიდებლობა, რის შემდეგ ინგლისიც, რომელსაც თავის წინანდელ ვასალის დამოუკიდებლობაზე გაგონებაც არ სურდა და რომელიც იარაღით იბრძოდა მის წინააღმდეგ, იძულებული შეიქნა ავღანისტანის „მფარველობისათვის" თავი დაენებებია.

შემდეგ „მორნინგ პოსტ" სწერს: „ყოველგვარი თავდასხმა ავღანისტანზე წარმოადგენს საფრთხეს ინდოეთისათვის. ამიტომ ინგლისის სურვილი გამოიხატება იმაში, რომ ავღანისტანი იქნეს ძლიერი და თავისუფალი"-ო; გაზეთი ამბობს, თითქო საბჭოთა კავშირი აპირობდეს ავღანისტანზე თავდასხმას. ამ ტყუილის უარყოფა ზედმეტია. აღსანიშნავი აქ მხოლოდ ის არის, რომ მისი გავრცელება ინგლისელ იმპერიალისტებს ესაჭიროებათ იმ სამხედრო მზადების დასაფარავად თუ გასამართლებლად, რომელსაც ისინი ინდოეთ-ავღანისტანის საზღვარზე აწარმოებენ. მათი მიზანია — ავღანისტანის კვლავ დამონება და მისი გადაქცევა საოპერაციო ბაზად საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

„მორნინგ პოსტ"-ის განცხადება თითქო ინგლისის სურვილი იყოს, რომ ავღანისტანი იქნეს „ძლიერი და თავისუფალი". მარტოოდენ თვალთმაქცობაა. ამას ადასტურებს ინგ. - ავღანისტანის წარსული ურთიერთობა. ამას მოწმობს ის ფაქტიც, რომ ინგლისმა შესძლო ავღანისტანისათვის მოეხვია ხელშეკრულება, რომლის ძალით სამი მილიონი ავღანისტანელი თავის ქვეყნის გარეშე დარჩენილი და გარდა ამისა, ავღანისტანს დაკეტილი აქვს ზღვისაკენ გასასვლელი გზები. ამ ნიადაგზე ამ ორ ქვეყანას შორის ბრძოლა შემდეგშიც აუცილებელია. ამ ბრძოლაში ავღანისტანი უეჭველად გაიმარჯვებს. ძლიერია მისი მისწრაფება აღორძინებისა და დამოუკიდებლობის განმტკიცებისაკენ; ამავე დროს განთავისუფლებული ავღანისტანი მისაბაძი მაგალითია ინდოეთისათვის, რომელიც მის გზას ადგება.

რაც შეეხება ავღანისტან - საბჭოთა კავშირის დამოკიდებულებას, ავღანისტანის არა მარტო მასსებისათვის, არამედ მმართველობისათვისაც აშკარაა, რომ როგორც ავღანისტანმა დამოუკიდებლობა მოიპოვა ოქტომბრის რევოლიუციის წყალობით და საბჭოთა კავშირის დახმარებით, ისე ამ დამოუკიდებლობას შეინარჩუნებს ის მხოლოდ საბჭოთა კავშირთან მეზობლურ ურთიერთობის განმტკიცების ნიადაგზე. ამ შეგნების აღმოფხვრას ამაოდ ცდილობენ ავღანისტანის ლონდონელი „მეგობრები".

* * *

საერთოთ ამ ბოლო დროს ჩვენ მოწმენი ვართ ანტი - საბჭოთა კამპანიის გამოცოცხლებისა იმპერიალისტურ ქვეყნებში. აქ ჩვენ გვინდა შევჩერდეთ შეერთებულ შტატებში გადაგზავნილ საბჭოთა ოქროს საკითხზე. ბოლო ხანებში აღებ - მიცემობა საბჭოთა კავშირისა და შეერთებულ შტატებ შორის ფართოვდება. მათ შორის სავაჭრო ანგარიშების გასწორების გასაადვილებლად კავშირის სახელმწიფო ბანკმა ნიუ-იორკის ორ ბანკს გადაუგზავნა 5 მილიონი დოლარის ღირებულების ოქროს ზოდები. შეერთებულ შტატების მთავრობის ორგანოში სრულიად მოულოდნელად აღიძრა საკითხი, შეიძლება თუ არა ამ ოქროს მიღება და გამოყენება. ფინანსთა სამინისტრომ ამაზე უარყოფითად უპასუხა. ასეთი გადაწყვეტილება თვით ამერიკის სამრეწველო - სავაჭრო წრეებს უცნაურად და გაუგებრად მიაჩნიათ. — თუ საბჭოთა ოქროს „მიუღებლად" სთვლიან, მაშინ საბჭოთა კავშირის მიერ ნაყიდ ამერიკულ საქონელში გადახდილი ფულიც მიუღებლად უნდა ჩაითვალოსო, — დაცინვით ამბობენ ისინი.

მაგრამ ამ „უცნაურობას" ფარდას ხდის საფრანგეთის ბანკის პრეტენზიები და საფრანგეთის ამერიკელ ელჩის ნოტა კელოგისადმი. საფრანგეთის ბანკი აცხადებს, რომ მას მეფის რუსეთის სახელმწიფო ბანკის დეპოზიტში შეტანილი ჰქონდა 52 მილიონი ფრანკი ოქროთი და რომ ეს ის ოქროა, რომელიც საბჭოთა სახ. ბანკმა ნიუ-იორკში გადაგზავნა და ის საფრანგეთის ბანკს უნდა დაუბრუნდესო. ამ მიზნით მას კიდეც აღუძრავს სარჩელი შეერთებულ შტატების სასამართლოში. საფრანგეთის ელჩი მხარს უჭერს ამ პრეტენზიებს.

საფრანგეთის მთავრობისა და ბანკის მხრით ეს თავისი თავხედობით უმაგალითო გამოსვლაა. უფლებრივ თვალსაზრისით რომ შევხედოთ საკითხს, საფრანგეთის ბანკის პრეტენზიები მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს. ჯერ ერთი, საბჭოთა სახბანკს არავითარი ფრანგული ოქრო არ მიუღია მემკვიდრეობად მეფის რუსეთის ბანკისაგან და ის ვერ იკისრებს პასუხისმგებლობას უკანასკნელის ოპერაციებისათვის. შემდეგ, ნიუ - იორკში გადაგზავნილი ოქრო, რა თქმა უნდა, არ არის ის ოქრო, რომელზედაც საფრანგეთის ბანკი ლაპარაკობს, არამედ საბჭოთა მთავრობის მიერ მოპოვებულია. ამიტომ ამერიკის სასამართლოს არავითარი უფლება არა აქვს საფრანგეთის ბანკის სარჩელის დასაკმაყოფილებლად.

მაგრამ გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია საკითხის პოლიტიკური მხარე საფრანგეთ - საბჭოთა კავშირის შორის ყველა სადაო საკითხი, როგორც ეს აღიარებულია თვით საფრანგეთის მთავრობის მიერ საბჭოთა კავშირის ცნობის აქტში, უნდა მოგვარდეს ხმარეთა ურთიერთ მოლაპარაკებით. მოლაპარაკება კი დიდი ხანია დაწყებულია და მიღწეულია საგრძნობი შედეგებიც. ეხლანდელი გამოსვლით საფრანგეთის მთავრობა თითქო ძირ-ფესვიანად სცვლის ამ პოლიტიკას და ადგება ისეთ გზას, რომელიც უეჭველად დიდ ზიანს მიაყენებს მხარეთა შორის ნორმალურ დამოკიდებულების დამყარების საქმეს.

აღსანიშნავი ამასთან ის არის, რომ საფრანგეთის დავა საბჭოთა კავშირთან გადააქვს მესამე სახელმწიფოში და ცდილობს მის გამოყენებას ჩვენ წინააღმდეგ. მაგრამ თუ შეერთებულ შტატების მთავრობამ და სასამართლომ საფრანგეთის ბანკის თვალსაზრისი გაიზიარეს ეს იქნება ლახვარის ჩაცემა ამერიკა - საბჭოთა სავაჭრო ურთიერთობისათვის, რაც მეტად საზარალო იქნება თვით ამერიკისათვის. დამოუკიდებლად საფრანგეთის პრეტენზიებისა, დაბრკოლება, რომელსაც შ. შტატების ფინანსთა სამინისტრო ქმნის საბჭოთა ოქროს მიღების საკითხში მეტად შეაფერხებს ჩვენს აღებ - მიცემობას ამ ქვეყანასთან. ჩვენ ვფიქრობთ, რომ შეერთებულ შტატებში უარყოფილ იქნება საფრანგეთის პრეტენზიები და საბჭოთა ოქროს საკითხი მოგვარდება ისე, რომ შესაძლებელი გახდეს ამ ორი ქვეყნის აღებ - მიცემობის ნორმალური განვითარება. საბჭოთა ოქროს მოყვარული ფრანგი იმპერიალისტები კი, სხვათა შორის, ამანაც უნდა დაარწმუნოს, რომ საბჭოთა კავშირთან სადავო საკითხების გადაჭრა მხოლოდ ურთიერთი მოლაპარაკების გზით შეიძლება.

ვ. ქ—ლი.

სოფლ. კავშირს მიეცეს წინადადება—მიიღოს სასწრაფო ზომები მის სახელზე ბათომში მოსულ ტრაქტორების ორი სახელოსნოს გადმოსატანად და ამ სახელოსნოების მოსაწყობად გამოთხოვილი იქნეს ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭოს რწმუნებულისაგან 40.000 მან.

სამაზრო აღმასკომებს მიეცეთ წინადადება—მაქსიმალურად გამოიყენონ მათ მაზრაში მომუშავე მანქანები; საჭიროების დროს მანქანები გამოყენებულ იქნენ მეზობელ რაიონებშიც.

მუშა-საქონელი

სახ.-სამ. ბანკს და სოფლის კავშირს მიეცეთ წინადადება, სტიქიურ უბედურებათაგან დაზარალებულ რაიონებისათვის შეიძინონ მუშა-საქონელი შინაურ ბაზარზე. შეძლების და გვარად მუშა-საქონელი შეიძინონ ჩრდილო-კავკასიაშიც.

ამიერ-კავკასიის კომისიის წინაშე აღიძრას შუამდგომლობა — ამ მიზნისათვის სპეციალური სესხის — 150.000 მან. გაცემის შესახებ მუშა-საქონლის შესყიდვის მოწესრიგება, საკრედიტო ამხანაგობების საშუალებით, დაევალოს სახ.-სამ. ბანკს.

ტეხნიკურ კულტურათა თესლი

მიწადმოქმედების სახკომსარიატს, სტატსამმართველოს და სოფლის კავშირს მიეცეს წინადადება—2 დღის განმავლობაში წარმოადგინონ სწორი ცნობები ტეხნიკურ კულტურების (ბამბა, თამბაქო, საკვები ბალახები და სხ.) საჭირო თესლის შესახებ, რაიონების მითითებით.

განსაკუთრებულ კომისიას მიწსახკომის, სტატსამმართველოს, ვაჭრობის სახკომის, ცენტრალური სახ.-სამ. ბანკის და სოფლის კავშირის შემადგენლობით მიეცეს წინადადება—სასწრაფოდ წარმოადგინოს პროექტი ტეხნიკურ კულტურის კონტრაქტაციისა და ამ მიზნით რაიონებისათვის საჭირო თანხების შესახებ.

ღარიბი გლეხობის ფონდის გამოყენების შესახებ

საქართველოს სახ. საგეგმო კომისიას მიეცეს წინადადება—ორი დღის განმავლობაში წარმოადგინოს ღარიბი გლეხობის ფონდის განაწილების პროექტი.

მასვე მიეცეს წინადადება წარმოადგინოს თავისი შეხედულება მელიორატიულ ამხანაგობათა მოწყობის შესახებ.

განსაკუთრებულ კომისიას სახ.-სამ. ბანკის, სოფლის კავშირის და წყალთა სამმართველოს შემადგენლობით, მიეცეს წინადადება—ორი დღის განმავლობაში წარმოადგინოს მელიორაციულ ამხანაგობათა ფინანსების მომარაგების დამუშავებული პროექტი.

ხელოვნური სასუქი

წინადადება მიეცეს მიწსახკომს ორი დღის განმავლობაში წარმოადგინოს პროექტი ხელოვნური სასუქის რაიონებში გამოყენების შესახებ, რაიონების და სასუქის მითითებით.

კოლმეურნეობათა სესხით მომარაგება

სპეციალურ კომისიას ნ. კალატოზოვის, ვ. ცაგარელის და კ. კაკაბაძის შემადგენლობით, დაევალოს სასწრაფოდ წარმოადგინოს კოლმეურნეობათა სესხებით მომარაგების პროექტი.

მიწსახკომს მიეცეს წინადადება—მიიღოს სათანადო ზომები კოლმეურნეობათა მიწადმოსაწყობად.

წინადადება მიეცეს ამხ. ვ. ცაგარელს სასწრაფოდ წარმოადგინოს პროექტი კოლმეურნეობებში თესვის კამპანიის ჩატარების შესახებ, მათი მდგომარეობის, მოთხოვნილებათა და სესხით უზრუნველყოფის წესის გათვალისწინებით.

აგრო-დახმარება

წინადადება მიეცეს მიწსახკომს სასწრაფოდ წარმოადგინოს მომავალ თესვის კამპანიაში აგრო-დახმარების პირთა და მიწად მომწყობთა გამოყენების წესი და რიგი.

კომისიის ფილიალები ადგილებზე

დღესვე დეპეშით დაევალოს ავტონომიურ რესპუბლიკებს და სამაზრო აღმასკომებს საგაზაფხულო თესვის კამპანიის ჩასატარებლად მოაწყონ: ავტონომიურ რესპუბლიკებში—სპეციალური კომისიები, მაზრებში—საგანგებო სამეულები და თემებში განსაკუთრებული რწმუნებულები, რომელთაც დაევალოთ მომავალ საგაზაფხულო კამპანიაში თავის რაიონებში სათესლე მასალების, მუშა-საქონლის, სახ.-სამ. იარაღ-მანქანების და სხ. მოთხოვნილებათა აღრიცხვა.

ა.-კ. სახ. სამეურ. ბანკი დავალებას ასრულებს

ამ.-კავკ. სახკომსაბჭოს მიერ საგაზაფხულო თესვის კამპანიის სახელმძღვანელოთ გამოყოფილ რწმუნებულ ამხ. ბაგიროვთან ამ სამი დღის წინ შემდგარმა თათბირმა ამიერ-კავკასიის დაწესებულებათა შორის გაანაწილა ფუნქციები თესვის კამპანიაში მონაწილეობის მისაღებად.

ამ.-კავკ. სასოფ.-სამ. ბანკს დაევალა კამპანიის საჭირო თანხებით მომარაგება.

ჩვენს თანამშრომელს ა.-კ. სასოფ.-სამ. ბანკის გამგეობის თავმჯდომარის თანაშემწემ ამხ. ა. კარახანიანმა აცნობა, რომ ბანკზე დაკისრებული დავალება ნაწილობრივ უკვე შესრულებულია.

გუშინ ბანკმა აფხაზეთის სასოფ.-სამ. ბანკს აფხაზეთში თამბაქოს დამთესველთათვის თანხების მისაწოდებლად გადაუგზავნა 500.000 მანეთი და ბამბის დასათესად აზერბეიჯანის ბანკს 500.000 მანეთი.

საქართველოში თესვის კამპანიის ჩასატარებლად ა.-კ. სასოფ.-სამ. ბანკმა საქართველოს ბანკს გადასცა 70.000 მანეთი, აზერბეიჯანის ბანკს—30.000 მანეთი და სომხეთისას—10.000 მანეთი.

თათბირი თესვის კამპანიის რწმუნებულთან

გუშინ, საღამოს ამიერ-კავკასიაში საგაზაფხულო თესვის კამპანიის ჩატარების რწმუნებულ ამხ. ბაგიროვის თავმჯდომარეობით შესდგა ა.-კ. რესპუბლიკებში თესვის კამპანიის ჩამტარებელ სამეულების წარმომადგენელთა თათბირი, რომელზედაც განხილულ იქნა კამპანიის წარმატებითი ჩატარებისათვის საჭირო ღონისძიებები.

თათბირმა საჭიროდ სცნო, რომ ვინაიდან ამ.-კავკასიის რესპუბლიკებში, გასული წლის მოუსავლიანობის გამო, ადგილი აქვს პურის ნაკლებობას და ამიტომ მცხოვრებლები იძულებული არიან მოიხმარონ სათესლეთ შემონახული ხორბალი—დაევალოს ა.-კ. ვაჭრობის კომისარიატს გადაგზავნოს რესპუბლიკებში პურის და სიმინდის მარაგი, რომ კამპანია უზრუნველყოფილი იქნეს თესლეულობით. ამ მიზნით საქართველოს უნდა მიეცეს 60.000 ფუთი, აქედან 40.0000 ფ. სიმინდი და 20.000 ფ. პური. სომხეთს—30 ათასი ფ. პური და აზერბეიჯანს 10.000 ფ. პური. ამავე დროს თათბირმა დაადგინა წინადადება მიეცეს რესპუბლიკანურ სამეულებს სამი დღის განმავლობაში წარმოადგინონ დაწვრილებითი ცნობები, თუ რამდენი სათესლე მასალის დამზადება შეუძლიანთ მათ ცალკე რესპუბლიკებში.

შემდეგ თათბირმა განიხილა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში საქონლის საკვების შემოტანის საკითხი. ამ მიზნით ა.-კ. ფინსახკომს და ა.-კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკს წინადადება მიეცა გადასდონ 200.000 მანეთი მუშა-საქონლისათვის საკვების შესაძენად. ამ თანხიდან საქართველოში შემოტანილ იქნება 130.000 მან. თივა და ბზე და აზერბეიჯანში 30.000 მანეთის თივა. რაც შეეხება სომხეთის მოთხოვნილებას—ის უკვე დაკმაყოფილებულია [illegible] და საჭირო რაოდენობის საკვები გაგზავნილია დანიშნულებისამებრ.

დასასრულ, თათბირზე მოსმენილ იქნა ცნობა სას.-სამეურნეო მანქანების და ტრაქტორების შესაკეთებელი სახელოსნოების მოწყობის შესახებ ა.-კ. რესპუბლიკების სხვადასხვა რაიონებში თათბირმა დაადგინა, რომ სახელოსნოების მოწყობა ყველგან დაწყებისათვის.

პოლიტგანის ორგანოები და თესვის კამპანია

მიმდინარე თესვის კამპანიასთან დაკავშირებით, საქარ. პოლიტგანათლების მთავარმმართველობამ ყველა მაზრპოლიტგანებს დაუგზავნა ცირკულიარი, რომელიც მაზრპოლიტგანებს ავალებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ თესვის კამპანიის წარმატებით ჩატარებაში.

ადგილობრივ ორგანიზაციათა თათბირზე (პარტიულ კომიტეტებთან) შეთანხმებული უნდა იქნეს მიწათმოქმედების, განათლების განყოფილებების და პოლიტგანათლების ორგანოების გეგმები თესვის კამპანიის ჩატარების შესახებ.

მთელი სააგიტაციო მუშაობა უნდა მიმდინარეობდეს განათლების და პოლიტგანათლების ორგანოების საშუალებით—აგროპერსონალის დახმარებით; მაზრპოლიტგანები ადრიანად უნდა შეუდგენ კამპანიისათვის სამზადისს, დაამუშაონ მისი გატარების გეგმა, შეიძინონ საჭირო ლიტერატურა, დიაგრამები, პლაკატები და ყველა თავის ქვემდებარე დაწესებულებებს დაუგზავნონ კონკრეტიული გეგმები კამპანიის ჩატარებაში მონაწილეობის მიღების შესახებ.

ქოხ-სამკითხველოებმა ინტენსიური მუშაობა უნდა აწარმოონ კამპანიის მსვლელობის დროს; მოსამზადებელი მუშაობის დროს ქოხ-სამკითხველოებმა უნდა დაამზადონ პლაკატები, დიაგრამები და საგლეხო პოპულიარული ლიტერატურა, უნდა აწარმოონ აგრეთვე [illegible] თესვის კამპანიასთან დაკავშირებულ საკითხების ირგვლივ, სასოფლო სამეურნეო წრეებში უნდა გამართონ საუბრები, ხმამაღალი კითხვა, უნდა მოაწყონ ქალთა და მოჯამაგირეთა საერთო კრებები. უნდა გამოუშვან კედლის გაზეთების საგანგებო ნომრები და სხ.

წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლებმა რამდენიმე მეცადინეობა უნდა დაუთმონ თესვის კამპანიის ამოცანების და ლოზუნგების გარკვევას, მისი პრაქტიკულად ჩატარების მოწყობას. რის შემდეგაც წ. კ. უ. სალიკვიდაციო სკოლების მსმენელებმა უნდა დაიწყონ მუშაობა კამპანიის მთავარი ამოცანების გარშემო, მისი ჩამტარებელი კომისიების ან ქოხ-სამკითხველოების ხელმძღვანელობით.

პარტიული ცხოვრება

პარტგანათლება მაზრებში

შორაპნის მაზრაში

1927—28 წ. პარტგანათლების ქსელი მაზრაში საგრძნობლად გაფართოვდა გასულ სასწავლო წელთან შედარებით. როცა მთელ მაზრაში პოლიტცოდნის სკოლებში გატარდა 200 პარტიის წევრი, კომკავშირელი და უპარტიო. ოქტომბერში 4 მოძრავი სკოლა გაიხსნა, რომლებიც გამოშვებულ იქნენ იანვარში და ისევ 4 სკოლა დაარსდა. სულ მოძრავ სკოლაში გატარდა და ტარდება 181 მსმენელი. (2 სკოლის მსმენელებზე ცნობა ჯერ არაა) სოფლის სტაციონარული სკოლების რიცხვი 20-დე აღწევს, რომლებშიაც სწავლობს 490 მსმენელი. არსებობს აგრეთვე 9 ქალაქის შემოკლებული სკოლა, რომლებშიაც მეცადინეობს 256 მუშა და ერთი ნორმალური სკოლა 29 მსმენელით.

ამ სკოლებში სულ ჩაბმულია 956 მსმენელი. მათ შორის ქალი 73; კაცი 883. პარტიულობის მიხედვით: პარტიის წევრი—305; პ. კანდიდატი—257; კომკავშირელი 251; უპარტიო—141. სოციალური მდგომარეობა:

მუშა 267; გლეხი 467; მოსამსახურე—203; ხელოსანი—18.

რაჭა

რაჭის მაზრაშიაც გაფართოვდა პარტგანათლების ქსელი. მიუხედავად იმისა, რომ ამ მაზრაში უფრო მეტი დაბრკოლებები ელობებიან წინ პარტგანათლების საქმეს, როგორიცაა [illegible] ზამთარში [illegible] გასვლა სხვადასხვა მაზრებში და სხვა. მაინც მნიშვნელოვან მიღწევებთან გვაქვს საქმე. დღემდე გამოშვებულ იქნა სულ 5 მოძრავი სკოლა, რომლებშიაც გატარდა 153 მსმენელი. ამჟამად ისევ არის გახსნილი 4 მოძრავი სკოლა.

გამოშვებულთა შემადგენლობა ასეთია: პარტ. წევრი—43; პარტ. კანდიდატი—30; კომკავშირელი 51; უპარტიო—39. ქალი 22, მამაკაცი—131. გახსნილია აგრეთვე 3 სოფლის სტაციონარული სკოლა, რომლებშიაც მეცადინეობას აწარმოებს 87 მსმენელი. აქედან პ. წ. 45, პ. კანდ. 17, კომკავშირელი 4; უპარტიო—21, ქალი 12; კაცი 75; რაჭაში ფართოდ ვითარდება ნებაყოფლობითი პარტიული განათლება—თვითგანვითარებითი გზით. მაზრაში არსებობდა 6 თვითგანვით. წრე, ამჟამად მუშაობს 24 პოლიტ თვითგან. წრე, რომლებშიაც გაერთიანებულნი არიან 262 წევრი. ამას გარდა მაზრაში არსებობს 15 ქალთა სადელეგატო პუნქტი, რომლებშიაც ჩაბმულია 535 ქალი. სწარმოებს მუშაობა ქალთა პოლიტცოდნის წრის ჩამოსაყალიბებლად. ანტირელიგიური მუშაობა თანდათან ცხოველდება. მრავალ ადგილას დაარსდა „უღმერთოთა კავშირის“ უჯრედები. წრეების დასაარსებლად ანტირელიგ. მუშაობას ძლიერ აფერხებს სათანადო ლიტერატურის უქონლობა.

დ.

საქართველოს კომპარტიის ორგანიზაციებში

ცეკაში

საბჭოების საანგარიშო კამპანია

საქართველოს კომპარტიის ც. კ-მა საქ. კომპარტიის ყველა ორგანიზაციას მიმართა ცირკულიარით, რომელშიაც წინადადება მისცა კომიტეტებს სისტემაში მოიყვანონ და შეისწავლონ ყველა ცნობები კამპანიის მსვლელობის შესახებ, მეტადრე ის დადგენილებანი, რომლებიც მიღებულია საანგარიშო მოხსენებათა მიხედვით და ის საკითხები, რომლებსაც აძრავენ ხოლმე მუშები და გლეხები კამათის და შეკითხვების დროს და აგრეთვე ბარათების საშუალებით.

ღარიბთა კრებების მოწყობის წესი

საქართველოს კომპარტიის ც. კ.-მა გამოიტანა დადგენილება ღარიბი გლეხობის თათბირებისა და კონფერენციების მოწვევის წესის შესახებ.

ღარიბი გლეხობის ჯგუფთა თათბირები უნდა გაიმართოს თემისა (ან სოფლის) ღარიბ გლეხთა ყველა ჯგუფის საერთო კრების სახით; კრებამ უნდა გადასწყვიტოს ღარიბი გლეხობის პრაქტიკული დახმარებისა და ორგანიზაციის საერთო საკითხები კულაკობასთან ბრძოლის მიზნით, სოფლის სხვადასხვა ორგანიზაციების შეკავშირებული მუშაობის საკითხები ღარიბი გლეხობისათვის სამეურნეო დახმარების აღმოსაჩენად, მუშაობის გამოცდილების შესაჯამებლად და სხვა.

ღარიბი გლეხობის ჯგუფთა კონფერენციები იმართება საჭიროების მიხედვით; კონფერენციაზე თავის წარმომადგენელს გზავნის მაზრისა ან ოლქის ღარიბი გლეხობის ყველა ჯგუფი.

ც. კ.-მა მიზანშეწონილად ჩასთვალა, რომ კონფერენციებზე წაკითხულ იქნას საადგილმამულო, საფინანსო და საკრედიტო ორგანოების მოხსენებანი. კოლექტიურ მეურნეობათა ორგანიზები თავისი მუშაობის შესახებ და სხვ. ამასთანავე ღარიბი გლეხობის ყურადღება უმთავრესად მიქცეული უნდა იყოს სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაციაზე.

კოლექტიურ მეურნეობათა შესახებ

ც. კ.-მა თავის დადგენილებაში აღნიშნა კოლექტიურ მეურნეობაში ღარიბ და საშუალო გლეხობის ყოველმხრივი ჩაბმის საჭიროება, პირველ ყოვლისა საჭიროა პარტ. და კომკავშირის წევრები და კანდიდატები ინიციატორები იყვნენ სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაციის საქმეში და პირადი მაგალითით წაახალისონ გლეხობა.

პროპაგანდის გაძლიერებასა და გლეხობისათვის კოლექტიურ მეურნეობათა მიზნებისა და ამოცანების ფართოდ განმარტებასთან ერთად, ც. კ.-მა აღნიშნა კულტურული მუშაობის საჭიროება, კერძოდ, წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საჭიროება იმ კოლექტიურ მეურნეობათა წევრებს შორის, რომლებიც ამჟამად მოწყობილნი არიან საქართველოში.

ლენინის რაიონი

რევოლიუციონერ არალეგალურ მუშაკთა უზრუნველყოფა

თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიონის კომიტეტმა საკითხი აღძრა მაღლა მდგომ ორგანიზაციების წინაშე იმის შესახებ, რომ მატერიალურად უზრუნველყოფილ იქნან პარტიის ის წევრები, რომელთაც არალეგალური მუშაობის სტაჟი აქვთ და შრომის უნარი დაუკარგავთ.

აფხაზეთი

პარტიული მუშაობის რაციონალიზაცია

საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტმა დასახა საჭირო ღონისძიებანი პარტიული მუშაობის რაციონალიზაციისათვის და პარტიული აპარატის გაიაფებისათვის.

კომიტეტმა ხელმძღვანელი პარტიული აქტივიდან გამოჰყო უსასყიდლო ინსტრუქტორებად 10 ამხანაგი, რომლებიც კარგად იცნობენ ორგანიზაციის მუშაობას. გამოყოფილ უსასყიდლო ინსტრუქტორთა შორის 3 ქართველია, 3 აფხაზი, 2 რუსი და 2 ბერძენი.

კომკავშირში

ქალიშვილთა შორის მუშაობის შესახებ

კომკავშირის საქმიანობაში ქალიშვილთა შორის მუშაობის საკითხებს ჯერ კიდევ არ ეთმობა საკმაო ადგილი. ამავე დროს ცხადია, რომ კომკავშირის ერთ-ერთ მტკივნეულ მხარეს ბევრ შემთხვევაში ქალიშვილთა შორის მუშაობა წარმოადგენს. ასე მაგალითად, კომკავშირმა ჯერ კიდევ ვერ შესძლო მშრომელ ქალიშვილების, განსაკუთრებით მოჯამაგირეთა და ღატაკ გლეხობის თავის რიგებში საკმაო რაოდენობით გაერთიანება. კომკავშირის ორგანიზაციებში ძალიან იშვიათად შეხვდებით, რომ ქალიშვილი, რაიმე ფასიან თანამდებობაზე იყვეს წამოყენებული. პარტკომიტეტების ქალთა განყოფილებებს ხშირათ არ აქვთ მჭიდრო კავშირი კომკავშირთან. ზოგჯერ ადგილი აქვს არაამხანაგურ დამოკიდებულებას კომკავშირელ ვაჟებსა და ქალიშვილებს შორის და სხვა.

ამ უარყოფით მხარეებს უნდა მიეწეროს ის არასასურველი გარემოება, რომ კომკავშირმა, როგორც უკვე ვთქვით, არა თუ ვერ შესძლო თავის რიგებში მშრომელ ქალიშვილების სათანადო რაოდენობით მიზიდვა, არამედ ზოგჯერ კიდევაც ადგილი აქვს შემთხვევებს როცა ქალიშვილები სტოვებენ კომკავშირს. რომ ასეთ მდგომარეობას ბოლო მოეღოს, საჭიროა: ქალიშვილ კომკავშირელები ჩაბმულ იქნან კომკავშირის პრაქტიკულ მუშაობაში, წამოყენებულ იქნან ისინი საპასუხისმგებლო თანამდებობებზე კომკავშირში შესწავლილ იქნას ქალიშვილთა კომკავშირიდან გასვლის მიზეზები, გაბმულ იქნას მჭიდრო კავშირი პარტკომიტეტების ქალთა განყოფილებებთან, შესწავლილ იქნა კომკავშირელ ქალთა ოჯახური პირობები და სხვა.

ამ საკითხებს კომკავშირის ბევრ ორგანიზაციებში სათანადო ყურადღება არ ეთმობა. საჭიროა მათ კომკავშირის ორგანიზაციებმა თავიანთ მუშაობაში შესაფერი ადგილი დაუთმონ. ქალთა შორის მუშაობა კომკავშირის ერთ-ერთ მთავარ საგან უნდა წარმოადგენდეს. არ კმარა ამ მხრივ მარტო დეკლარატიული განცხადებები, საჭიროა მეტი პრაქტიკული მუშაობა.

ლ. ქ—ა.

საბჭოთა კავშ'რის თავდ. ცვ. სათვ.ს

წითელი არმიის ტეხნიკა

ბევრი ფიქრობენ, რომ მუშურ-გლეხური წითელი არმია სუსტია თავისი ტეხნიკით. ეს უეჭველია, არ არის სწორი.

წითელ არმიაში, ისევე, როგორც სხვა სახელმწიფოების არმიებში, შეიარაღების მთავარი სახე (შაშხანა თოფი, ტყვიამფრქვევი, ზარბაზანი) ისეთივეა, როგორიც იყო იმპერიალისტური ომის დროს. არმიის შეიარაღების ძირითადი გადახალისება ფრიად რთული და ძვირი საქმეა და მას ვერ შესძლებს ვერც ერთი, გინდაც უაღრესად მდიდარი, სახელმწიფო.

განვიხილოთ ეხლა, თუ როგორ არის შეიარაღებული წითელი არმია და როგორია მისი ტეხნიკური საშუალებები, შედარებით დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების არმიებთან

შაშხანა თოფი. ჩვენი სამხაზიანი შაშხანა თოფი მარტივია, ადვილათ მოსახმარი და წარმოადგენს ხელის საუკეთესო იარაღს. შაშხანა თოფები, რომლითაც შეიარაღებული არიან უცხო სახელმწიფოების არმიები, თავისი საბრძოლო თვისებებით არა სჯობიან ჩვენ შაშხანას.

ტყვიამფრქვევი. „მაქსიმა“-ს სისტემის ჩვენ მძიმე ტყვიამფრქვევს აქვს საუკეთესო ბრძოლაში გამოცდილი, თვისებები. სამოქალაქო ომში მონაწილე ამხანაგებმა კარგათ იციან, თუ რამდენჯერ იხსნა ისინი გაჭირვებისაგან დაუფასებელმა ამხანაგმა „მაქსიმმა“ უცხოეთის არმიების ტყვიამფრქვევები არ არიან გამძლე და იციან „ჭირვეულობა“.

არტილერია ყველა ქვეყნებში თითქმის ერთნაირად არის შეიარაღებული. ყველა ქვეყნის სამხ. სპეციალისტ. სცდილობენ შეიმუშაონ ისეთი ზარბაზანი, რომელიც იქნება შორსმსროლელი და ამასთანავე მსუბუქი, რომ შეეძლოს მოძრაობა ქვეითი ჯართან ერთად. ამის თანა ზარბაზნის ნიმუში გვაქვს ჩვენც. ეხლა სწარმოებს მუშაობა მის გასაუმჯობესებლად.

საფრანგეთმა და ინგლისმა გაასწრეს ყველა სახელმწიფოებს ჯავშან-მატარებლების და ავტომობილების გამოყენების დარგში. მათ აქვთ მსუბუქი ტანკები და ჯავშნიანი ავტომობილები, რომლებიც გადიან საათში 60-მდე კილომ. მხოლოდ, ასეთი მსწრაფლმავალი მანქანების გამოყენება შეიძლება ისეთ ადგილებზე, სადაც არის სამისო გზები. საეჭვოა, რომ ჩვენი ქვეყნის სინამდვილეში გამოდგნენ ასეთი მანქანები. სამაგიეროდ, ჩვენი წითელი არმია შეიარაღებულია გამძლე ჯავშან მანქანებით, რომლებიც კარგათ მოძრაობენ ჩვენ გზებზე, შეუძლიანთ მიჰყვნენ ფეხ და ფეხ ცხენოსან ჯარს და გააძლიერონ მისი დარტყმითი ძალა ჩვენი ცხენოსანი ჯარის ასეთი ძალა კი ბევრჯერ უგემნიათ მტრებს.

იმპერიალისტურ ომამდე რუსეთს არა ჰქონდა საკუთარი, საავიაციო მრეწველობა, ეხლა კი ჩვენ გვაქვს საკუთარი, ძლიერი საავიაციო მრეწველობა, გვყავს გამოცდილი ინჟინერ-კონსტრუქტორები, რომლებმაც აგეს მრავალი საუკეთესო თვითმფრინავი. ჩვენი თვითმფრინავების საუკეთესო ხარისხზე ლაპარაკობენ ის დიდი გადაფრენები, რომლებიც შეასრულეს ჩვენმა მფრინავებმა საბჭოთა სისტემის აეროპლანებზე.

უკანასკნელ ხანებში დიდათ გაიზარდა ჩვენი საზღვაო ფლოტი, გაუმჯობესდა აგრეთვე მძიმე საზღვაო არტილერიის ხარისხიანობა, მექანიზმების სიძლიერე გაიზარდა ორჯერ, ვინაიდან დიდი გემების აშენება საბჭოთა კავშირს უჯდება ძვირად, ამიტომ ჩვენ ვაძლიერებთ „პატარა ფლოტს“ (წყალქვეშა ნავება, სატორპედო კატერები) და საზღვაო ავიაციას. ცხადია, რომ ჩვენი საზღვაო ფლოტი ვერ შეედრება ინგლისის და ამერიკის ფლოტს. მაგრამ იგი ძლიერია, ვიდრე პოლონეთის, რუმინეთის, ლატვიის და ესტონეთის ფლოტ. აღებულნი ერთად. და ჩვენ აზრათაც არა გვაქვს გავილაშქროთ ინგლისის ფლოტის წინააღმდეგ მხოლოდ საბჭოთა კავშირის საზღვრების დასაცავად ჩვენი საზღვაო ძალები საკმარისი არიან.

ი. პ.

არტილერია

როგორ ებრძვის არტილერია მტრის ავიაციას და არტილერიას

შეტევაზე გადასული ქვეითი ჯარისათვის მოწინააღმდეგის არტილერია წარმოადგენს უსაშინელეს მტერს. ტყვიამფრქვევების სროლაზე ქვეითი ჯარს შეუძლიან უპასუხოს ტყვიამფრქვევებისავე ცეცხლით. მხოლოდ არტილერიის წინაშე კი იგი უძლურია. აქ ქვეითი ჯარს უნდა ძლიერი დამხმარე, რომელიც შესძლებს ჩააჩუმოს არტილერია და არ მისცეს გასროლის საშუალება. ასეთ ძალას წარმოადგენს არტილერია.

ბრძოლა მოწინააღმდეგის არტილერიასთან არ არის ადვილი, ვინაიდან არტილერია ბანაკდება დაფარულ პოზიციებზე და ამასთანავე კარგად არის შენიღბებული, ე. ი. დამალული და დაფარული. რომ გამორკვეულ იქნეს მოწინააღმდეგის არტილერიის ადგილმდებარეობა, მისი ძალები, საჭიროა განუწყვეტელი თვალის დევნება როგორც ქვევიდან, ისე ჰაერიდან თვითმფრინავების და აეროსტატების საშუალებით.

მოწინააღმდეგის არტილერიის ჩასაჩუმებლად საჭიროა. რომ თვითეულ მის ზარბაზანს დაუპირდაპიროთ ორი ჩვენი ზარბაზანი, მტრის ერთი ბატარეის გასანადგურებლათ საჭიროა 75 მილიმეტრიან ზარბაზნის 500—800 ყუმბარა, ან 152 მილიმეტრიან ზარბაზნის 300—500 ყუმბარა.

მოწინააღმდეგის არტილერიის დასაჩუმებლად შეიძლება წარმატებით გამოყენებულ იქნენ ქიმიური ყუმბარები. ქიმიური ყუმბარების სროლა ჩვეულებრივ სწარმოებს ჩქარმსროლელ 76 მილიმეტრიან ზარბაზნებიდან.

ქვეითი ჯარის შეტევის დროს მოწინააღმდეგე, სხვა საშუალებებთან ერთად, გამოიყენებს აგრეთვე თავის საჰაერო ფლოტს, რომელიც ეცდება ზევიდან დააყაროს ქვეითი ჯარის ნაწილებს ყუმბარები. აგრეთვე თვითმფრინავები შეეცდებიან იმის გაგებას, თუ რა მიმართულებით მოძრაობს ქვეითი ჯარი, როგორია მისი ძალები, სად იმყოფება რეზერვები და სხვა.

არტილერიის ამოცანაა ხელი შეუშალოს მოწინააღმდეგის ავიაციას, რომ იგი არ შეიჭრას ჯარის ბინადრობის ტერიტორიაზე, განსაკუთრებით იქ, სადაც თავმოყრილია ჯარის მთავარი ძალები. იმ შემთხვევაში, თუ მტრის თვითმფრინავები დაეშვენ დაბლა, დაახლოებით 700 მეტრის სიმაღლეზე, მათ წინააღმდეგ შეიძლება გამოყენებულ იქნენ ჩვეულებრივი თოფები და ტყვიამფრქვევები.. მაგრამ როდესაც თვითმფრინავები ადიან მაღლა, მათი განადგურება შეიძლება მხოლოდ არტილერიით.

თვითმფრინავებთან საბრძოლველად გამოიყენება საზენიტო არტილერია, ე. ი. ისეთი ზარბაზნები, რომლებიც ისვრიან ვერტიკალურად. საზენიტო არტილერია ბრძოლის წინ ეწყობა სამკუთხედათ ისე, რომ ბატარეა დაშორებულია ბატარეისაგან 3000—4000 მეტრით, რადგან ასეთი წყობა იძლევა შესაძლებლობას დაეშინოს ცეცხლი ყოველ თვითმფრინავს, რომელიც კი გამოჩნდება ამა თუ იმ ადგილ-მდებარეობაზე.

ი. გ—ლი.

მოსახლეობის გასამხედროების ფრონტზე

ქიზიყის მშრომელებს კარგათ აქვთ შეგნებული, რომ ძლიერი თავდაცვა-ავიაქიმის საზ-ბა თავდებია მშრომელთა გამარჯვებისა, მტრებზე, ამიტომ მშრომელი გლეხობა ხალისიანათ მიდის საზოგადოების რიგებში და ეწევა იქ პრაქტიკულ მუშაობას.

„თავდაცვის კვირეული“-ს დროს ქიზიყის მშრომელებმა შეაგროვეს 8000-მდე მანეთი თვითმფრინავ „ქიზიყური მუშტი“-ს ასაგებათ. ეხლაც გრძელდება თანხების შეგროვება ამ მიზნისათვის.

თავდაცვა-ავიაქიმი პრაქტიკულ მუშაობას შეუდგა 1927 წლის დასაწყისში. ამჟამად მაზრაშია ავიაქიმის 85 უჯრედი, რომელიც აერთიანებს 2000 ზე მეტ წევრს. არსებობს 20 სასროლო წრე, სადაც მეცადინეობს 579 კაცი. დაარსებულია 5 ავიაქიმიური და 7 სანიტარული წრე. სოფლად შექმნილია 5 ტირი, სადაც გლეხობა სწავლობს სროლას. აგრეთვე ეწყობა სისტემატიურად ფართე შეჯიბრი სროლაში.

ა. წ. თებერვალში სიღნაღში შესდგა ავიაქიმიური რაზმი, სადაც ჩაწერილია 200 კაცი და სადაც სწარმოებს სისტემატიური სამხედრო ხასიათის მუშაობა.

მშრომელთა გასამხედროების საქმეს ქიზიყში დიდ დახმარებას უწევს № ქართ. მსრ. ლეგიონის ადგილობრივი ათასეული: ამ საქმის უფრო ნაყოფიერათ წარმოებისათვის საჭიროა, რომ არსებულ უჯრედებს და წრეებს გადმოეგზავნოს აუცილებელ მასალებთან ერთად წესდებები და დებულებები.

გ. მეტრეველი.

სამხედრო ქრონიკა

10 მილიონი მანეთი

საბჭოთა კავშირის თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოება იუწყება. რომ ფონდში „ჩვენი პასუხი ჩემბერლენს“ ირიცხება 10 მილიონი მანეთი.

მზადება მორიგ გაწვევისათვის

სამხედრო კომისარიატები მოკლე ხანში შეუდგებიან იმ მოქალაქეების ოჯახურ - ქონებრივ მდგომარეობის გამორკვევას, რომლებიც გაწვეულ იქნებიან წითელ ჯარში მიმდინარე წლის შემოდგომაზე.

თავდაცვის სახლი

თავდაცვის სახლთან, რომელიც გაიხსნა მოსკოვში წითელი არმიის ათი წლის თავზე, ჯერ-ჯერობით მოწყობილია შემდეგი კაბინეტები: სასროლო, საავიაციო, საჰაერო ქიმიურ თავდაცვისა, პირველი დახმარების და სასოფლო-სამეურნეო.

მუშათა ცხოვრება

განგებ აჭიანურებენ

თბილისის სახალხო სადგურზე არსებულ მტვირთველ მუშების კოლექტივს, რომელიც შესდგება 120 კაცისაგან ორი წლის წინად ხელმძღვანელობდა „ზაკპოგრუზი“. 1926 წლის მეორე ნახევრიდან „ზაკპოგრუზი“-ს თანხმობით მუშები მუშაობენ დამოუკიდებლად და ნამუშევრის მთელი ასი პროცენტი რჩებოდათ მათ. მუშები გულმოდგინეთ შეუდგნენ მუშაობას იმ იმედით, რომ გარდა მებარგეების ნამუშევრისა და მოწოდების ფულისა, მიიღებდნენ აგრეთვე პროცენტულ ანარიცხებსაც, იმ თანხებიდან, რომელსაც იხდის რკ.-გზის სამმართველო დატვირთვაში.

გარდა ამისა, „ზაკპოგრუზი“-ს და სამმართველოს შორის დადებულ ხელშეკრულებაში აღნიშნული იყო, რომ ტვირთის ზიდვის მანძილი არ უნდა აღემატებოდეს ათ საჟენს. თუ მანძილი ათ საჟენზე მეტი იქნებოდა იმ შემთხვევაში, ყოველ ათ საჟენზე 20 პროც. ზედმეტი უნდა გადაეხადა სამმართველოს მუშებისათვის ასეთივე პირობა ქონდა აღნიშნულ კოლექტივს „ზაკპოგრუზ“-თანაც.

სახალხო სადგური ისეა მოწყობილი, რომ ყოვლად შეუძლებელია მატარებლების ახლო ჩამოყენება. მატარებლების უმრავლესობას აყენებენ სადგურიდან 200 საჟენის მანძილზე—მუშები მუშაობენ, ტვირთს ეზიდებიან 200 საჟენზე და ხშირად მეტ მანძილზეც, მაგრამ ამ ზედმეტ შრომას დღემდე არავინ უნაზღაურებს მათ.

მუშების ხელფასი დამოკიდებულია მებარგეების მუშაობაზე და მოწოდების უმნიშვნელო თანხაზე, რომლითაც თვითეულ მუშას ყოველ ნახევარ თვეში ერგება 16-17 მანეთი. ამის შესახებ მუშებმა აღძრეს საჩივარი და მოითხოვეს 26-27 წლის ზედმეტი ნამუშევარი, როგორც ძირითადი დატვირთვის და გადმოტვირთვის, ისე ზედმეტი მანძილისაც.

შრომის კომისარიატმა დაამტკიცა ეს საჩივარი და აღნიშნა, რომ მუშებს უნდა მიეცეთ 22.000 მანეთი, მაგრამ „ზაკპოგრუზი“-ს გამგემ, ამხ. აბილოვმა განაცხადა, რომ მუშებს ერგებათ 7.000 მანეთი და ისიც ვალში გამოექვითებათო. ამიტომ შრომის კომისარიატმა საჭიროდ სცნო ახალი კომისიის გამოყოფა საქმის გამოსარკვევად. კომისიას ერთი თვის განმავლობაში უნდა მოეგვარებია ეს საქმე. მაგრამ თვეზე მეტი გავიდა და საქმის გამოკვლევას მაინც არაფერი ეშველა. ჩვენის აზრით ამ საქმის გამოძიებას განგებ აჭიანურებს კომისიის წევრი მოქ. ლ. ვაშაკიძე, რომელიც ამავე კოლექტივის ფულის გაფლანგვისათვის ციხეში იჯდა.

პროფკავშირმა და შრომის კომისარიატმა უნდა დააჩქარონ ამ საქმის გამორკვევა და დროზე დააკმაყოფილონ მუშების სამართლიანი მოთხოვნილება, გარდა ამისა საქმის მიუდგომლად გამოსარკვევად საჭიროა გამოცვლილი იქნეს კომისიის წევრი მოქ. ლ. ვაშაკიძე.

ლ. ექიზაშვილი.

სუსტი ხელმძღვანელობა

(ავლაბრის მუშათა კლუბი)

ავლაბრის აღმშენებელთა მუშათა კლუბში კულტურული მუშაობა მიძინებულია. ეს სჩანს იქიდან, რომ ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის თავის დღესასწაულის შემდეგ, მხოლოდ ერთი კედლის გაზეთი გამოვიდა, მორიგ გამოშვებაზე არავინ ფიქრობს. გარდა ამისა კედლის გაზეთს ძალიან სუსტი ხელმძღვანელობა აქვს სათანადო ორგანოებიდან.

გაზეთის უკანასკნელი ნომერი გამოვიდა 9 იანვარს. ამ ნომერში არ არის არც ერთი განყოფილება, წერილები ისეა დაფანტული, რომ მკითხველი ვერც კი მიხვდება რა მნიშვნელობა აქვს გაზეთის ამ ნომერს. ასეთი უგეგმობა, ისიც კლუბის გაზეთის—ყოვლად დაუშვებელია.

მაინც აღსანიშნავია კარიკატურა, რომელიც უკარგავს სახეს და მიმზიდველობას კედგაზეთს. კარიკატურები ამოჭრილია ნაბეჭდ წიგნებიდან და სურათებიდან. კლუბს ჰყავს 300-მდე წევრი. კედლის გაზეთში კი თანამშრომლობს სულ სამი, ან ოთხი კაცი.

გარდა ამ ნაკლისა, კლუბში ბევრი რამ არის გასაკეთებელი. საჭიროა კლუბის გამგეობამ გააძლიეროს კულტურული მუშაობა და გაუწიოს სათანადო ხელმძღვანელობა კედლის გაზეთს.

უსამშობლო

—:—

ადგილკომის მუშაობა

სახმედვაჭრობის ადგილკომის თავმჯდომარემ ამხ. აბუთიძემ, მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე გააკეთა ვრცელი მოხსენება ადგილკომის მუშაობის შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა მრავალი მიღწევები ადგილკომის საქმიანობაში.

შეკითხვებზე პასუხის გაცემის შემდეგ გაიხსნა კამათი. მოკამათენი დადებითად ახასიათებდნენ ადგილკომის მუშაობას და მიუთითებდნენ ზოგიერთ ნაკლზეც. კრებამ ადგილკომის მუშაობა სცნო დამაკმაყოფილებლად და შემდეგი მუშაობას უფრო გასაცხოველებლად შეიმუშავა სათანადო ღონისძიებები. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ადგილკომის თავმჯდომარე ენერგიულად და პირნათლად ასრულებს თავის მოვალეობას.

დამსწრე.

კედლის გაზეთი „რატაციონკა“

([illegible] სტამბა)

10 მარტს, გაზ. „კომუნისტი“-ს მუშკორთა ორგანიზაციასთან არსებულმა სარეცენზიო ბიურომ განიხილა მეხუთე სტამბის კედლის გაზეთი „რატაციონკა“-ს უკანასკნელი ორი ნომერი.

კედლის გაზეთის სათაური, თავისი ნახატებით, მართლაც გამოხატავს წარმოების ნამდვილ სახეს. რაც შეეხება ფორმატს, იგი თავის სიდიდით თითქმის გადააჭარბებს სხვა წარმოების კედლის გაზეთებს,—ეს დადებით მხარეთ შეიძლება ჩაეთვალოს სარედაქციო კოლეგიას.

მაგრამ გაზეთს აქვს თავისი უარყოფითი მხარეებიც, რომელიც კედლის გაზეთს თავის მნიშვნელობას მთლიანად უკარგავს,—ეს არის, რომ კედლის გაზეთებში, რომლებიც გამოშვებულია ლენინის გარდაცვალების დღის და საქართ. გასაბჭოების 7 წლის თავის აღსანიშნავად, მოთავსებულია ძალიან გრძელი წერილები და მასთან ისინი ატარებენ შაბლონურ ხასიათს, რომლებსაც წასაკითხავად არავინ მიეკარება.

კედლის გაზეთებში ასეთი წერილების მოთავსება ეს არის კედლის გაზეთის მნიშვნელობის არ ცოდნა. კედ. გაზეთის მასალა რაც შეიძლება მოკლედ უნდა იწერებოდეს და აუცილებლად უნდა ეხებოდეს წარმოების განვითარებას, მის შინაურ—ყოფა-ცხოვრებას წარსულთან შეფარდებით.

კედლის გაზეთებში არ არის აგრეთვე კარიკატურებიც, რომელსაც უაღრესი მნიშვნელობა აქვს კედლის გაზეთისათვის. კარიკატურები აცოცხლებენ კედლის გაზეთს და მასთან იზიდავს მკითხველს. ამაშია მისი მთავარი ღირსება.

„რატაციონკა“-ს ორივე №-ში, მოთავსებული იყო წერილები წარმოების შინაურ ყოფა-ცხოვრებაზეც. შეცდომების მხრივ წერილები უზრუნველყოფილია. მაგრამ როგორც გამოირკვა, გაზეთთან არ ყოფილა ჩამოყალიბებული მუშკორთა წრე. სარედაქციო კოლეგიის წევრების უმრავლესობა პასიობას იჩენენ გაზეთის გამოშვების დროს. მთელი მუშაობა დაკისრებული ჰქონია ერთ, ან ორ კაცს,—რაც ყოვლად დაუშვებელ მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

კედლის გაზეთის გამოცოცხლებისათვის საჭიროა დაარსდეს სტამბაში მუშკორთა წრე, და მასთან მოხდეს სარედაქციო კოლეგიის გადახალისება. საერთო ძალით კედლის გაზეთის საქმე წინ წაიწევს.

მართალია, ადგილკომი დახმარებას უწევს სარედაქციო კოლეგიას მაგრამ საჭიროა კულტფონდიდან გაიღებულ იქნას მეტი თანხა გაზეთის ტეხნიკური მხარეების დასაკმაყოფილებლად.

გარდა ამისა როგორც გამოირკვა, სტამბის ადმინისტრაცია სრულიად არ ეხმაურება კედლის გაზეთში მოთავსებულ წერილებს. საჭიროა ამ მხრივაც გადაიდგას სათანადო ნაბიჯი.

ვანო.

მუშკორთა წერილებიდან

რად განასხვავეს? (ხაშური). ხაშურის საყუდის ზეინკალმა, რომელიც მუშაობს გარეთ, მიიღო თბილი ტანისამოსი. ამავე პირობებში მომუშავე სხვა მუშებმა კი მიიღეს საზაფხულო, სპეცტანისამოსი. რათ განასხვავეს. ასე?

გ. ნ.

—:—

მეორე თანაშემწეა საჭირო. რკ. გზის სალიანდაგო დარგის მე-7-ე უბნის უფროსი და მისი ერთი თანაშემწე, ვერ უდგიან საქმეს, რის გამო ხშირად ფერხდება მუშაობა. ამიტომ საჭიროა ამ უბანში დაინიშნოს კიდევ ერთი თანაშემწე.

ჩხარელი.

—:—

კოლექტიურ მუშაობაზე, (ფოთი). ქ. ფოთში ჩამოყალიბდა შინამრეწველხელოსანთა ნადი, რომელშიც გაერთიანდა ფოთის ღარიბი ხელოსნები. ხელოსნები დიდი სიხარულით უერთდებიან ნადს და ებმებიან კოლექტიურ მუშაობაში. საჭიროა სათანადო ორგანოებმა მეტი ყურადღება მიაქციოს ამ ნადს.

პ. ლეკი.

—:—

უსაქმო ხალხი. ებრაელების ქუჩაზე, მუშკოოპის მაღაზიის წინ თავს იყრის აღნიშნულ უბნის უსაქმო ხალხი და გამვლელ გამომვლელს არ აძლევს საშუალებას თავისუფლად გაიარონ. მილიცია, მოგვაშორეთ უსაქმო ხალხი.

წითელი.

—:—

სად დავისვენოთ. თბილისის საყუდის ორთქლმავალთა გუნდის სამორიგეოში, თითქმის ყოველთვის დაკავებულია საწოლები, ამიტომ ხაზიდან ჩამოსულ ორთქლმავალთა გუნდს დასასვენებელი ადგილი არა აქვთ. საყუდის ადმინისტრაციავ, სად დავისვენოთ.

კუკული.

—:—

უხეში გამგე. სად. ნაძალადევის „ზაკტპოს“ ფარდულის გამგე, უხეშად ეპყრობა მომხმარებლებს. „ზაკტპოს“ გამგეობამ უნდა გამოასწოროს უხეში გამგე.

მსმენელი.

მეცნიერება და ტექნიკა

ფლორიდინის და ბენტონიტის თიხები

(საქართვ. ტეხნიკურ საზოგადოებაში პროფ. ა. თვალჭრელიძის მიერ გაკეთებულ მოხსენების მიხედვით).

თანამედროვე მრეწველობაში დიდი გამოყენება აქვს ზეთების მუქი შემადგენელი ნაწილების შთანმთქმელ ნივთიერებებს. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა მოიპოვეს მათ ნავთის მრეწველობაში, ნავთის გაწმენდის საქმეში.

ამდენ ხანს ეს ნივთიერებანი შემოდიოდა უცხოეთიდან, უმთავრესად ამერიკიდან, სადაც არსებობს მსხვილი ბუდობები ფლორიდისა და გეორგიას შტატებში. ნავთსაწმენდი ქარხანა, რომელიც ამჟამად ბათომის მიდამოებში შენდება, ყოველწლიურად დახარჯავს 400 ათასამდე ფუთ ფლორიდინის თიხას.

ფლორიდინის თიხების განსაკუთრებულობას წარმოადგენს ძირითად საღებავ ნივთიერებათა შთანთქვის უნარი და მათი გამოყოფა წყლისა, სხვადასხვა სითხეთა და ზეთებისაგან.

ამ სითხეების შთანთქვის უნარი დამოკიდებულია მათ ფიზიკურ აგებულობაზე. ისინი შესდგება თავისი სიდიდით თითქმის კოლოიდალური ნაწილაკებისაგან და ამის გამო იძლევა ძალიან დიდ ზედაპირს შთანთქმითი მოქმედებისათვის.

განსაკუთრებით მდიდარია ფლოროდინის თიხებით ჩრდილოეთ-ამერიკა და ინგლისი, სადაც შეიქმნა და განმტკიცდა ამ თიხების მოპოების და დამუშავების თავისებური მრეწველობა.

მოპოება სწარმოებს ღია დამუშავებით, თიხას იღებენ წერაქვითა და ნიჩბით. მზეზე გაშრობის შემდეგ მას ამსხვრევენ კბილოვან როქვებში და შემდეგ აშრობენ მბრუნავ ან [illegible] ღუმელებში. გაშრობის შემდეგ ფქვავენ და სცრიან.

ნავთის გასაწმენდად საჭიროა მსხვილად დაფქვა და ზუსტი დახარისხება. ფლორიდინის ტონა ფასობს ფქვილის მარცვლების სიდიდის მიხედვით 8-დან 16,5 დოლარამდე (წმინდა ფქვილი უფრო ნაკლებად ფასობს).

მასიური წარმოება მისი არსებობს მხოლოდ შეერთებულ შტატებში და ინგლისში, მხოლოდ ბოლო დროს (1924 წ.) ის წარმოიშვა აგრეთვე გერმანიაში.

მინერალური ზეთები—ნავთობა და მისი ნაწარმოები იწმინდება გაწურვით ფლორიდინის თიხის სვეტში, მაღალ ცილინდრულ ფილტრებში. გაწურვის ოპერაცია უნდა სწარმოებდეს ნელა და ზეთის გვაროვნობის მიხედვით—ჩვეულებრივ ტემპერატურისა ან გათბობისას.

საჭმელი ზეთების გასაწმენდათ ზეთი წინასწარ მუშავდება ცხელი ტუტეთ უმთავრესად ცხიმოვან ჟანგების მოსაშორებლად. შემდეგ უმატებენ წვრილად დაფქვილ ფლორიდინის თიხის განსაზღვრულ რაოდენობას (1—10 პროც.), ურევენ და სწურავენ ცხელ მდგომარეობაში.

ამას გარდა ფლორიდინი იხმარება: კოსმეტიკაში ნაზი საპნების დასამზადებლად, ლაბორატორიებში, როგორც რეაქტივი. რეზინის და ფარმაცევტიული წარმოებაში, როგორც სალბუნდის [illegible], წყლის გასაწმენდად ცხიმებისა და ზეთოვან ნივთიერებათაგან, ქაღალდის და შპალერის მრეწველობაში იაფი სა[illegible]ბის სახით, სახეხი ქვების წარმოებაში და სხვ.

აკად. ფერსმანის წიგნმა „რუსული ცხიმშემთვისებელ თიხების ბუდობების შესახებ“, რომელიც 1915 წ. გამოვიდა, მიიქცია ყურადღება პროფ. ა. თვალჭრელიძისა, რომელმაც მიზნად დაისახა საქართველოს ფარგლებში ამ მინერალის გამოკვლევა. დასავლეთ საქართველოში ამ მინერალის (ჩვენში მას „თავსაბან მიწას“ ეძახიან) ბუდობები ძალიან ბევრი აღმოჩნდა. პროფ. თვალჭრელიძემ გამოკვლევა დაიწყო 1916 წ., ჯერ კიდევ დონის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში. აღებული იყო ნიმუშები მარტვილის (სენაკის მაზრა), ზნაქვის (რაჭის მაზრა), ქუთაისის მიდამოების, სკანდეს (შორაპნის მაზრა), გუმბრის (ქუთაისის მაზრა) და სხვ.

შეწყვეტილი მუშაობა განახლდა მხოლოდ ბოლო ხანებში. პროფ. ა. თვალჭრელიძე გაემგზავრა ბაქოში იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად გამოსადეგია ტეხნიკურად ქუთაისის მიდამოების თიხები ნავთის გაწმენდის მიზნებისათვის.

ცდები სწარმოებდა „აზნეფთის“ ცენტრალურ ლაბორატორიაში. გამოირკვა,*) რომ გუმბრიდან აღებული თიხის შთანთქმითი უნარი უდრის ატაპულგუსის (ამერიკაშია) ფლორიდინს. კიდევ მეტი, გუმბრის თიხა არა თუ გაუფერადების მხრივ ეტოლება მას, არამედ მის წინაშე უპირატესობა აქვს ეკონომიის მხრივ. გარდა ამისა აღმოჩნდა, რომ სუსტი მარილჟანგის დამუშავებით გუმბრის თიხა იმატებს შთანთქმითი ძალას.

დაბოლოს, პროფ. ა. თვალჭრელიძემ ცდები მოახდინა ბათომში, ნავთის სინდიკატის ლაბორატორიაში, ნავთის გაწმენდის პროცესის საქარხნო ზომსადარით შესწავლის შემდეგ. ამ ცდების მიზანი იყო ნავთსაწმენდი ქარხნებისათვის ატაპულგუსიდან გამოწერილ ფლოროდინის ადგილობრივი მასალით შენაცვლების შესაძლებლობის გამორკვევა. აქაც აგრეთვე გამოირკვა, რომ გუმბრის თიხა იძლევა ისეთივე შედეგს გაწმენდის მხრივ, როგორც უცხოეთის ფლორიდინი და ამასთანავე უფრო ეკონომიურია. ამნაირად გუმბრის ფლორიდინის ტეხნიკური ვარგისობა შეიძლება დამტკიცებულად ჩაითვალოს.

ამჟამად გადაწყვეტილია ჩატარდეს ცდები საქარხნო ზომსადარით. ამ შემთხვევაშიაც, ალბად დამაკმაყოფილებელი შედეგები იქნება მიღებული და მაშინ შესაძლებელი გახდება შემოსატანი ფლორიდინი შევსცვალოთ ადგილობრივი მასალით.

ყოველ შემთხვევაში დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს ის, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მოიპოვება, როგორც ფლორიდინის თიხების წარმომადგენელნი (გუმბრის მიდამოები, ასკანა და სხვ), ისე ტიპიური კეფეკილიტები (მსაზეს, ზნაქვას, მარტვილის და სხვ. თიხები). ერთნი იჩენენ მძლავრ შთანთქმითი უნარს, ამერიკულ ფლორიდინებზე არა ნაკლებს, ხოლო მეორენი, ე. წ. ბენტონიტის თიხები, ამ უნარით აღჭურვილი არ არიან, მაგრამ მათ სხვა გამოყენება აქვთ.

ბენტონიტის თიხები წარმოადგენენ კოლოიდური აგებულობის წვრილ-მარცვლოვან თიხოვან ნივთიერებას, რომელსაც მინერალური საპნის თვისებები აქვს. ცეოლიტების მსგავსად ის აღჭურვილია გაცვლითი რეაქციებითი უნარით. ამის გამო მას იყენებენ ხამი წყლების დასარბილებლად. უკანასკნელი წლების ცდებმა ბენტონიტის თიხებს მოუპოვეს გამოყენება ქაღალდის წარმოებაში. ქაღალდის მასის შემადგენლობაში შემავალ ჩვეულებრივი თიხის ბენტონიტის თიხით შენაცვლება ძლიერ ზრდის მინერალური შემადგენელი ნაწილის რაოდენობას, მზადდება ქაღალდი საუცხოვო ღირსების და უფრო იაფი. ზოგიერთი ბენტონიტის თიხები გოგირდჟანგით დამუშავების შემდეგ ღებულობენ მშთანთქმითი თვისებებს და წარმატებით სწევენ ფლორიდინების მაგიერობას ნავთის გაწმენდის საქმეში.

საპნის წარმოებაში ზოგიერთ ბენტონიტის თიხებს ფაქტიურად შეუძლია 25-50 პროც. საპნის ნივთიერება შეანაცვლოს; ამასთანავე მატულობს გაქაფების უნარი და გამწმენდი თვისებები.

საქართველოს ტერიტორიაზე თიხების ბუდობების სიმრავლე შემდეგ ამოცანებს გვიყენებს:

1. ჩატარდეს გეოლოგიური-მინერალოგიური დაზვერვა და ტეხნიკური გასინჯვა.
2) დეტალური შესწავლა შთანთქმითი და სხვ. თვისებების გამოწვევის სხვადასხვა პირობებში, ჟანგებით წინასწარი დამუშავების შემდეგ და სხვ.
3) ნავთის მრეწველობის საოცარი ზრდა. ამ.-კავკ. ახალი სამრეწველო ცენტრების შექმნა (ზეთსახდელი, ქაღალდის, მატყლის) შემოტანილი ნაწარმოების შენაცვლების საკითხს აქცევს მეტად საყურადღებო ეკონომიურ საკითხად.
4. ჩრდილოეთ-კავკასიის ქარხნებთან (მცენარეული ზეთების და ნავთის) კავშირის დამყარება.
5. ლაბორატორიის მოწყობის აუცილებლობა ფლორიდინის და ბენტონიტის თიხების ტეხნიკურ შესასწავლად.

ამ თიხების შესწავლის საქმე, დაწყებული 1917 წ. ბოლომდი უნდა მოვიყვანოთ; მიღებულ შედეგების მიხედვით უნდა შეიქნას მომპოვებელი მრეწველობის ახალი სახე. ნავთის კოშკები, რომელიც იდგმება გურიაში, ახალი პარაფინის ქარხანა გროზნოში, ნავთის მრეწველობის უბანი ბათომში და სხვ.. ამ თიხების წინაშე ბრწყინვალე და ფართო პერსპექტივებს შლის.

ინჟ. ვ. კაკაბაძე.

---

*) ყველა ახსნებს მომხსენებელი მდიდრად ასურათებდა მის მიერ მიღებულ რიცხვითი მონაცემებით.

საბჭოთა რენტგენის აპარატი



ამ რამდენიმე ხნის წინად ლენინგრადში ამუშავდა ახალი სახელმწიფო ქარხანა „ბურევესტნიკ“, რომელიც სპეციალურად საექიმო ხელსაწყოებს ამზადებს.

ქარხანამ გამოუშვა პირველი საბჭოთა რენტგენის აპარატი, სავსებით ორიგინალური თავისი სქემის მიხედვით. აპარატის ყველა ნაწილები დამზადებულია ახალ ქარხანაში.

23 თებერვალს აპარატი გამოსცადეს სპეციალისტების თანდასწრებით, გამოცდამ დამაკმაყოფილებელი შედეგები გამოიღო.

ამჟამად ქარხანა იწყებს ასეთი აპარატების მასიურ დამზადებას და საბჭოთა მედიცინას ანთავისუფლებს ამ ძვირფას მოწყობილობის უცხოეთიდან შემოტანის საჭიროებისაგან.

სურათზე — პირველი საბჭოთა რენტგენის აპარატი, მის ახლო (დგას)—აპარატის კონსტრუქტორი ინჟ. ა. ტხორჟევსკი.

მეხსიერება და ჰასაკი

ცნობილმა ამერიკელმა ფსიქოლოგმა პროფ. ტორნდაიკმა მოახდინა ცდები იმის გამოსარკვევად, თუ როგორ იცვლება ადამიანთა შეცნობის უნარი ჰასაკთან დაკავშირებით. გავრცელებულია აზრი, რომ ადამიანები, რომელთა ჰასაკი, მაგ. 50 წ. აღემატება; ისევე კარგად ითვისებენ ცოდნას, როგორც 20—25 წლის ჭაბუკები. მრავალმა ცდებმა პროფ. ტორნდაიკი დაარწმუნა, რომ ეს შეხედულება შემცდარია და რომ მოხუცთა შეცნობის უნარი ახალგაზრდათა შეცნობის უნარის ხუთმეექვსედს ძლივს შეადგენს. შემდეგ ტორნდაიკი ამტკიცებს, რომ შეთვისების უნარი მაქსიმუმს აღწევს 22 წლისათვის, შემდეგ ერთ დონეზე რჩება დაახლოებით 10 წ. განმავლობაში, რის შემდეგ თანდათანობით კლებულობს.

1600 კილომეტრი საათში

ცნობილმა კონსტრუქტორმა ინჟ. რომ გაზ. „ტაიმსის“ კომერციულ დამატებაში მოათავსა წერილი, რომელშიც ის ამტკიცებს, რომ სათანადო პირობებში გადაფრენას ინგლისიდან ავსტრალიაში მოუნდება 24 საათი. ეს, როს აზრით, შესაძლებელი იქნება მაშინ, როცა მიღწეული იქნება დიდ სიმაღლეზე ფრენის შესაძლებლობა დიდ სიმაღლეზე, სადაც ატმოსფერა თხელია და ამიტომ აეროპლანი ჰაერის მძლავრ წინააღმდეგობას არ ხვდება, შესაძლებელი იქნება 1600 კილომეტრის გავლა საათში.

რო არის კონსტრუქტორი ერთადგილიანი აეროპლანის, რომლითაც კაპიტანი ხინკლერი ინგლისიდან გადაფრინდა ავსტრალიაში, რასაც 16 დღე მოანდომა. რო სწერს, რომ ხინკლერის აეროპლანის აგება დაჯდა 7.000 მანეთი. მასიური დამზადების დროს ეს თანხა სანახევროთ შემცირდება.

წიწილების გადაგზავნა ფუთით

ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო სამეურნეო აკადემიის ცდა

შარშან ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემიის (მოსკოვშია) თაოსნობით პირველად საბჭოთა კავშირში მოახდინეს ცდა ახლად გამოჩეკილ წიწილების გადაგზავნისა საფოსტო ამანათებით.



მეფრინველეობის გაუმჯობესებასა და განვითარებასთან ერთად ასეთი გადაგზავნის მოწყობის საჭიროება მეტად გაიზარდა. ფოსტით დიდი ფრინველის გადაგზავნა უხერხულია, რადგან ფრინველი გზაში საჭიროებს საკვებსა და წყალს. ხშირად საჭიროა სპეციალური კაცი, რომ ფრინველებს გაჰყვეს.

კარგი ჯიშის ქათმის კვერცხების გადაგზავნაც გაძნელებულია. საჭიროა კვერცხების კარგად ჩალაგება. შესაძლებელია კვერცხები [illegible].

ეს უხერხულობა სავსებით არის თავიდან აცილებული ახლად გამოჩეკილ წიწილების გადაგზავნის დროს ფოსტით, რაც ფართოდ არის გავრცელებული უცხოეთში. ასეთი წიწილები რამოდენიმე დღე-ღამის განმავლობაში შეიძლება დატოვებულ იქნეს უსაკვებოთ, რადგან ისინი იკვებებიან ნაჭუჭიდან გამოყოლილი ცილით. გარდა ამისა, ახლად გამოჩეკილი წიწილა ნაკლებ მოძრაობს, რაც ფოსტით გადაგზავნის დროს დიდ პლიუსად ითვლება.

გადაგზავნის დროს წიწილები მოათავსეს კარტონის კოლოფებში, რომლებსაც სამი მხრიდან ვენტილიაციის მიზნით ნახვრეტები ჰქონდა გაკეთებული. თვითეულ კოლოფში ათავსებდნენ 20—25 წიწილას. კოლოფის ფსკერზე აფენდენ ბამბას ან ნახერხს. დახურულ კოლოფს კრავდენ შპაგატით და ლუქავდენ.

სულ გადაგზავნილ იქნა 250 წიწილა: იაროსლავში, პოლტავაში და რუსეთის სხვა ქალაქებში. წიწილების ერთი პარტია გადაგზავნილი იქნა 1.500 ვერსის მანძილზე.

250 წიწილიდან გზაში დაიღუპა მხოლოდ ორი—ყველაზე სუსტი.

შაქარი პურიდან

შეერთებული შტატების მიწათმოქმედების სამინისტრო ამჟამად ამუშავებს სამრეწველო მასშტაბით პურიდან შაქრის მიღების საკითხს.

ამერიკა ყოველწლიურად ხარჯავს 5 მილიონ ტონა შაქარს, რომლის დიდი ნაწილი სხვა ქვეყნებიდან შემოაქვს. ქიმიური მრეწველობის ბიურო ამტკიცებს, რომ შესაძლებელია შაქრის დამზადება ხორბლის სახამებლიდან, რომელიც მრავლათ მოიპოვება შეერთებულ შტატებში, და რომ ერთი მოსავლის ხორბლის გადამუშავება შაქრათ 50 წლით უზრუნველჰყოფდა სახელმწიფოს.

როდის შეწყდება დედამიწის ბრუნვა

კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორი, ცნობილი ინგლისელი ასტრონომი დაისონი ამ რამდენიმე ხნის წინათ შემდეგი სენსაციური განცხადებით გამოვიდა ასტრონომიული საზოგადოების სხდომაზე:

„დედამიწა დღითი დღე უფრო და უფრო ანელებს თავის ბრუნვას და ერთ მშვენიერ დღეს, შეიძლება, სრულიად შეჩერდეს“. მაგრამ დაისონმა იქვე დაამშვიდა თავისი მსმენელები განცხადებით, რომ ეს მომენტი ძლიერ შორს არის. დაისონი თავის შესანიშნავ აღმოჩენამდე მივიდა მრავალი წლების განმავლობაში ზუსტი დროის გამორკვევაზე მუშაობის დროს. ფრიად ზუსტი ხელსაწყოების საშუალებით დაისონი თავის თანამშრომლებთან ერთად დარწმუნდა, რომ დედამიწის ბრუნვა ყოველდღე ნელდება წამის ერთი მეორმოცემილიონედი ნაწილით. ეს ნიშნავს, რომ 100 წლის შემდეგ დღე-ღამე ერთი მეათასედი წუთით მოკლე იქნება, ვიდრე დღეს. თუ ბრუნვის შენელების ტემპი ასეთივე იქნება, დედამიწა გაჩერდება სწორეთ 8.000.000.000 წლის შემდეგ.

დედამიწის ბრუნვის შენელებას პროფ. დაისონი ხსნის ზღვების მიმოქცევის „დამმუხრუჭებელი“ ძალით.

ვეზუვი ამოხეთქის წინ

იტალიელები შეფიქრებული არიან ვულკან (ცეცხლისმფრქვეველი მთის) ვეზუვის ამოქმედებით. მრავალი საუკუნის სიჩუმის შემდეგ, როცა მოსახლეობა სულ უფრო და უფრო ფართოდ იწყებდა მისი ტერიტორიის გამოყენებას და სოფლები მრავლად შენდებოდა ვულკანის ფერდობებზე, ვეზუვი მოულოდნელად იჩენს საშიშ ნიშნებს.

ვეზუვი პერიოდულათ სრულიად მშვიდდება. ასე მაგალითად, რამოდენიმე წლით ადრე 79 წლის (ჩვენს ერამდე, ე. ი. 2.0007 წლის წინათ) კატასტროფიულ ამოხეთქამდე, (როცა დაიღუპა ქალაქები—ჰერკულანუმი და პომპეი) ვეზუვი იმდენად დამშვიდებული იყო, რომ სპარტაკის მეთაურობით აჯანყებული რომის მონები მთავრობის ჯარებს ვულკანის ნაპრალებში ემალებოდნენ.

სპეციალისტების აზრით, ვეზუვი ახლა იმყოფება ახალი ამოხეთქის წინ, რომელმაც, თავისი სიძლიერით, შესაძლოა გადააჭარბოს ძველი დროის ზემოხსენებულ საშინელ კატასტროფას.

ელექტრონის სამზარეულო

ინგლისში ბაზარზე გამოუშვეს ახალი ელექტრონის ფეჩი, რომელიც საჭმელს თვალის დახამხამებაში ამზადებს. ასე მაგ. ბიფშტექსი იწვება 30 წამში (ნაც. წუთში), კარტოფილი— 53 წამში, კვერცხი იხარშება—2 წუთში. ახალ ფეჩში სარგებლობენ სრულიად სხვა პრინციპით, ვიდრე არსებულ ელექტრო-სახარშავებში, ელექტრო-ფეჩებში და სხვ. ახალ ფეჩში კი შესაწვავ ხორცს ათავსებენ ორ ელექტროდს შუა და შემდეგ მასში ატარებენ ელექტრო-დენს. ვინაიდან ახალი წესით სარგებლობის დროს დენი გადის უშუალოდ საჭმელში, უკანასკნელი თანაბრად იწვის. ახალ ფეჩში დამზადებული საჭმელი მეტად გემრიელი და ნოყიერია, რადგან მთელი წვენი რჩება საჭმელში. ფეჩების ერთგვარი სიძვირეს ანაზღაურებს საჭმელის დამზადების სისწრაფე და დამზადებული საჭმელის სიგემრიელე და სინოყიერე.

ტემპერატურა და ნივთიერება

გერმანიის ერთ-ერთი გამოჩენილი ფიზიკოსი პროფ. ნერსტი მეტად საინტერესო მოსაზრებებს გამოსთქვამს გარეშე ტემპერატურის ზეგავლენის შესახებ ნივთიერებაზე.

უკვე ნოლ გრადუსისა და ჩვეულებრივ პირობებში წყალბადის მოლეკულას აქვს მნიშვნელოვანი სისწრაფე რომელიც 1.84 კილომეტრს უდრის წამში. ჰელიუმის მოლეკულას დაახლოებით ასეთივე სისწრაფე აქვს. მაგრამ რადიო-აქტიური დაშლის დროს ჰელიუმის ატომები წამში უკვე 30.000 კილომეტრის სისწრაფით მოძრაობენ (ე. ი. მოძრაობენ ათჯერ უფრო სწრაფად, ვიდრე მოლეკულები). დაბალ ტემპერატურებს რამე მნიშვნელოვანი გავლენა ატომების სისწრაფეზე არ აქვთ, ტემპერატურის მნიშვნელოვნად გადიდებას კი შეუძლია დააჩქაროს დაშლის პროცესი და მრავალ ათეულ ჯერ გაადიდოს ატომების მოძრაობის სისწრაფე. აღნიშნავს რა ამას, პროფ. ნერსტი ლოღიკურად დაასკვნის, რომ მატერიის საბოლოო დაშლა ჰელიუმისა და წყალბადის ატომებათ შესაძლებელია 10-დან 1.000 მილიარდ გრადუსის ფარგლებში.

მხოლოდ ამგვარი ტემპერატურის პირობებში შეიძლება მოხერხდეს ყოველგვარი ატომის დაშლა უმარტივეს ნაწილებზე.

ეს ტემპერატურა კი ჯერ-ჯერობით ადამიანის წარმოდგენის ფარგლებს იქეთ იყოფება.

უნდა ვიცოდეთ, რომ ყველაზე მაღალი, პრაქტიკულად მიღწეული ტემპერატურები არის—3.500 გრად.—მუასანის ელექტრონის ფეჩში და—4.500 გრადუსი—ვოლტას რკალში. ეს ტემპერატურები რამდენიმედ უახლოვდება მზის ზედაპირის ტემპერატურას, რომელიც—5—6000 გრადუსს უნდა უდრიდეს. ყველაზე ცხელ ჩვენთვის ცნობილ სინათლის წყაროებიდან არის გამმა ვარსკვლავი (მერანის კრებულში), რომლის ტემპერატურა, ასტრონომების გამოანგარიშებით, უდრის 400.000 გრადუსს. მაგრამ აქედანაც კი 10 მილიარდ გრადუსამდი ძლიერ დიდი მანძილია. მაგრამ ეს უკანასკნელი გარემოება არ აშინებს ფიზიკოსებს. ამოცანა დასმულია და მეცნიერული აზროვნება ნელა, მაგრამ ენერგიულად იკვლევს გზას მაღალ ტემპერატურათა საიდუმლოებაში. ამ ამოცანის გადაჭრით შესაძლებელია გადაიჭრას ნივთიერების წარმოშობის, ყველა საწყისთა საწყისის ამოცანაც.

შუშა, რომელშიც ტყვიაც კი არ ატანს



ესპანელმა ინჟინერმა დე-ბოვისმა გამოიგონა შუშა, რომელიც არ ტყდება. ამ შუშაში ტყვიაც კი არ ატანს.

სურათზე—ინჟ. დე-ბოვის გამოცდის საშუალებით ამტკიცებს თავისი შუშის გამძლეობას.

ინჟ. ერმენჯილდოს გამოგონება

იტალიელმა ინჟ. სემინტენდი ერმენჯილდომ გამოიგონა მოწყობილობა ჩაძირულ წყალქვეშა ნავების რაზმის გადასარჩენად.

გამოგონება შესდგება აპარატიდან, რომელიც ორ ნაწილად არის გაყოფილი. ერთი ნაწილი წყალქვეშა ნავზეა მოთავსებული, მეორე კი—მაშველ გემზე იმყოფება. აპარატის მეორე ნაწილი ისეა მოწყობილი, რომ ავტომატიურად უერთდება პირველს, თუგინდ წყალქვეშა ნავი 100 მეტრის სიღრმეზე იყოს დაძირული. შეერთებული აპარატის საშუალებით შესაძლებელია ნავის რაზმის ნაწილ-ნაწილ გადარჩენა ან საჭირო ხელსაწყოების და სურსათის გადაცემა ნავზე

გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხი

სესხის რეალიზაცია ამიერ-კავკასიაში

გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის რეალიზაციის შესახებ ამიერ-კავკასიაში, ა.-კ. ფინსახკომის სავალიუტო განყოფილების უფროსმა ამხ. **საფაროვმა** გადასცა ჩვენს თანამშრომელს:

ინტენსიურათ მიმდინარე კამპანია დროებით შენელებული იყო დიდი თოვლის და ნამქერების გამო. უჩვეულო ქარბუქმა სომხეთში იმსხვერპლა ორი მუშაკი, სომხეთის ფინსახკომის მთავარი ინსპექტორი და ერთი ალმასკომის თავმჯდომარე, რომლებიც მიემგზავრებოდენ სოფელში რეალიზაციის სახელმძღვანელოთ.

მიუხედავათ მნიშვნელოვანი დაბრკოლებებისა, ამ უჩვეულო ზამთარში, რეალიზაციის კამპანია შედარებით ნორმალურათ მიმდინარეობდა. ამინდის გამოკეთების შემდეგ კამპანია გაიშლება წინანდელი ინტენსიური ტემპით.

მიღებული ცნობების თანახმად, 1 მარტისთვის აზერბეიჯანში სესხი გასაღებული იყო 750.000 მან. რაოდენობით, საქართველოში—320.000 მან. და სომხეთში—160.000 მან. რაოდენობით. 15 მარტისთვის უკვე გაცემული იყო ობლიგაციები მილიონ ნახევარ მანეთზე მეტი. ეს მაქსიმალური გამარჯვებაა ამ ფრონტზე საბჭოთა რესპუბლიკების შორის.

ნაღდი ობლიგაციების საკმაო რაოდენობით უქონლობა საგრძნობლად აფერხებდა კამპანიის გაშლას. ეს დაბრკოლება ამჟამად აშორებულია, ვინაიდან მოსკოვიდან მივიღეთ ობლიგაციების ახალი პარტიები. სულ მიღებული გვაქვს 2.750.000 მან. ობლიგაციები, რომელიც განაწილებულია ადგილებს შორის. გარდა ამისა, ჩვენ გვაქვს ერთ მილიონ მანეთის დროებითი მოწმობები, რომლებსაც გამოვიყენებთ სამანევრო ფონდათ, სანამ მივიღებთ ობლიგაციების ახალ პარტიას.

კამპანიის მეორე ნახევარში 15 მარტიდან აპრილის დამლევამდე, ჩაბმული უნდა იქნან სესხის გასაღებაში ყველა რაიონები, სოფლები და ცალკე მეურნეობებიც კი; გაძლიერებული უნდა იქნეს მუშაობა იმ რაიონებში, რომლებშიაც მუშაობა სუსტათ მიმდინარეობდა და საბოლოოთ აღკვეთილი უნდა იქნას ზოგიერთ ადგილებზე შემჩნეული შეძლებული გლეხობის და სამღვდელოების წინააღმდეგობა სესხისადმი. ამ მიზნით, მარტის დამლევისთვის განზრახულია ისეთი ენერგიული კამპანიის ჩატარება, როგორიც ჩატარებული იყო ინდუსტრიალიზაციის სესხის რეალიზაციის დროს.

კამპანიის მიმდინარეობა და მიღწეული მატერიალური ეფექტი, ცუდი ზამთრის და სხვა ადგილობრივი ხასიათის დაბრკოლებათა მიუხედავათ, საწინდარია იმის, რომ სესხის რეალიზაცია ისეთივე წარმატებით დამთავრდება, როგორც ინდუსტრიალიზაციის სესხის რეალიზაციის კამპანია.

ადგილებზე

ლეჩხუმის მაზრაში

საქართველოს ფინსახკომში მიღებული ცნობით, ლეჩხუმის მაზრაში, მიუხედავად ცუდი ამინდებისა, გასაღებულია მისთვის [illegible] საკონტროლო ციფრის 35 პროცენტი.

ახალციხის მაზრაში

ახალციხის მაზრაში სესხი გასაღებულია 20.000 მანეთის რაოდენობით.

ახალქალაქის მაზრაში

ახალქალაქის მაზრაში გასაღებულია 17000 მანეთის ობლიგაცია.

ახალ აბასთუმანში

ახალი აბასთუმანის სახერხი ქარხანა მუშა-მოსამსახურეთა თავდაცვა-ავიაქიმის უჯრედის ბიურომ და საერთო კრებამ ხელი მოაწერა გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის 70 მანეთის ობლიგაციაზე.

სიღნაღის მაზრაში

ვარდისუბნის თემის სოფ. ყარსუბნის და სოფ. ვარდისუბნის მოძრავმა პოლიტსკოლამ შეიძინა 100 მანეთის ობლიგაცია.

ყველა შევიძინოთ ობლიგაციები

(ს. კოდა, თბ. მაზრა)

სოფ. კოდაში შესდგა მცხოვრებთა საერთო კრება, რომელზედაც საგლეხო სესხის შესახებ მოხსენება გააკეთა საჯურეთის თემკომის მდივანმა ამხ. იმნაიშვილმა. კრებამ ერთხმად დაადგინა ყველამ შეიძინოს სესხის ობლიგაციები და შეიძინოს ობლიგაციები იმათაც, რომლებიც არ დასწრებიან ამ კრებას.

გლეხი ბაგრატაშვილი.

სესხის გასაღება წარმატებით მიმდინარეობს

(ბორჩალოს მაზრა)

ბორჩალოს მაზრაში საგლეხო სესხის რეალიზაცია წარმატებით მიმდინარეობს. გლეხობა დიდ ინტერესს იჩენს სესხისადმი.

მაზრ. ალმასკომთან დაარსებულია სესხის კამპანიის ჩამტარებელი კომისია, რომელიც უკვე შეუდგა მასიურ კრებების მოწყობას და შესაფერ აგიტაცია-პროპაგანდას სესხის სასარგებლოდ.

ამ მაზრაში სესხის კუთვნილი ობლიგაციები გასაღებული აქნება მთელი 100 პროცენტით.

მუშა-მოსამსახურენი და საგლეხო სესხი

(სენაკი)

ამას წინად დამთავრდა სენაკის პროფკავშირების სამაზრო მე-8 კონფერენცია, რომელზედაც მორიგ საკითხების გარდა, განხილული იქნა საკითხი საგლეხო სესხის შესახებ. შესაფერი მოხსენებით გამოვიდა ამხ. ჩაკვეტაძე.

მოხსენების შემდეგ კონფერენციამ დაადგინა აქტიური მონაწილეობა მიიღოს საგლეხო სესხის გავრცელების კამპანიაში და ყოველმხრივ ხელი შეუწყოს ობლიგაციების ფართოთ გავრცელების საქმეს კავშირის წევრებს შორის. კონფერენციამ მოწოდებით მიმართა კავშირის წევრებს შეიძინონ ობლიგაციები და ამით ხელი შეუწყონ სოფლის მეურნეობის განმტკიცებას.

ბ. უ—ლი.

კამპანია გაცხოველებით მიმდინარეობს

(წერილი შორაპნის მაზრიდან)

გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის მთელი 100 პროც. გასანაღდებლად შორაპნის მაზრაში გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს: ჩამოყალიბებულია სამაზრო კომისია, რომელიც უშუალოთ ხელმძღვანელობს საგლეხო სესხის ობლიგაციების გავრცელებას, მაზრა გაყოფილია 5 რაიონათ და თითო რაიონზე მიმაგრებულია პ.-მ. ამხანაგები, რომლებსაც დაევალათ რაიონში კამპანიის მსვლელობისათვის ხელმძღვანელობის გაწევა, სესხის რეალიზაციის კამპანია თემებში წარმატებით მიმდინარეობს, ეწყობა გლეხთა კრებები გამოყოფილ სათემო კომისიების ხელმძღვანელობით, ამ კრებებზე შუქდება სესხის მნიშვნელობა და სწარმოებს სესხზე ხელის მოწერა.

იმ თემებში, სადაც გლეხობა კარგათ გაეცნო სესხის მნიშვნელობას, მოსახლეობა დიდი ხალისით იძენს ობლიგაციებს.

სულ მაზრაში უნდა გავრცელდეს 72000 მანეთის ობლიგაცია. ადგილებიდან მიღებულ ცნობების თანახმად, სესხი მთელი ასი პროცენტით იქნება გასაღებული უახლოეს დროისათვის, მიუხედავათ იმისა, რომ მუშაობას ადგილებზე ძალზე ხელს უშლის ცუდი ამინდები.

სესხის კამპანიაში ადგილებზე აქტიურ მონაწილეობას იღებენ ქალთა ორგანიზაციები, კომკავშირელები და ადგილობრივი მომუშავე ინტელიგენტები.

მ. ბრეგვაძე.

სესხის ქრონიკა

მუშაობის გამოკვლევა

ამ დღეებში საქართველოს ფინსახკომის სავალუტო სამმართველოს ინსტრუქტორები მიემგზავრებიან მაზრებში გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის რეალიზაციის საქმის გამოსაკვლევად.

330.000 მან. ობლიგაციები

სახელმწიფო ბანკის თბილისის კანტორამ ა.-კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატისთვის მიიღო გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის ობლიგაციები 330.000 მან. რაოდენობით.

100.000 მანეთის ობლიგაციები

საქართველოს ფინსახკომმა დამატებით მიიღო 100.000 მანეთის ობლიგაციები, რომლებიც უკვე დაეგზავნათ ადგილებს. ამგვარად, საქართველოში მიღებული და განაწილებულია ადგილებზე სულ 680.000 მანეთის ობლიგაციები.

აქამდე, გარდა ცუდი ამინდებისა და ობლიგაციების ნაკლებობისა გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის რეალიზაციას ხელს უშლიდა ის, რომ მიღებული ობლიგაციები შესდგებოდენ მსხვილი კუპიურებისაგან.

ობლიგაციების უკანასკნელი პარტია—100.000 მანეთის რაოდენობით შესდგება წვრილი კუპიურებისაგან.

ბაღდათი

გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის რეალიზაცია ბაღდათის რაიონში წარმატებით მიმდინარეობს. ბაღდათის საკრედიტო ამხანაგობის მიერ 15 მარტისთვის სესხის ობლიგაციები გასაღებული იყო 5.125 მანეთის რაოდენობით. გლეხობა ხალისით იძენს ობლიგაციებს.

გახურებული შანთით

დაუსრულებელი ბიოგრაფია

ამ პატარა შენიშვნის საგანს წარმოადგენს ანდრო ბახტაძის პიროვნება. ჩვენ აქ ბახტაძის დაწვრილებითი ბიოგრაფიით მკითხველს თავს არ მოვაწყენთ. მოვიყვანთ რამოდენიმე ფაქტებს (მხოლოდ რამოდენიმეს). მის თანამდებობრივ მოღვაწეობიდან უკანასკნელი წლების განმავლობაში.

1925 წელი. ივნისი. ანდრო ბახტაძე ხონის მე-2 შრომის სკოლის გამგე. ბახტაძე ითვისებს სკოლის თანხებს, სცემს მასწავლებლებს, პირად საქმეებზე იმბარს სკოლის დარაჯებს, ცემა-ტყეპით ზრდის მოწაფეებს. ინიშნება გამოძიება. გამგე მოხსნილია თანამდებობიდან.

1927 წელი. ანდრო ბახტაძე ხონის სას.-სამ. საკრ. ამხანაგობის ხელმძღვანელი. (მოხვდა თაგვი ბეღელში). ხონის საკრ. ამხანაგობის პირველი რევიზია. რევიზორ გრიგოლიას დასკვნა: 1) კონტროლიორის მიერ 4 საათზე დალუქული სალარო ამავე დღის 5 ნახ. საათზე ლუქჩამოვარდნილი აღმოჩნდა..., 2) ერთი კვირის განმავლობაში უსაბუთოდ და წიგნში გაუტარებლად დახარჯულია 1147 მ. 33 კაპ., 3) ამხანაგობას მოსვლია სათოხარი მანქანა სათადარიგო თოხებით. მანქანა გაიყიდა გლეხებზე, ხოლო სათადარიგო თოხები 32 ცალი ა. ბახტაძეს აღმოაჩნდა, 4) საქონლის წიგნში ამოგლეჯილია ზოგიერთი ფურცლები.

რევიზია მეორე. რევიზორ მენთეშაშვილის დასკვნა: სალაროს დანაკლისი აქვს 1408 მ. 29 კ., რომლის გამამართლებელი საბუთები არ არსებობს; 2) ღარიბეს გლეხობის ფონდიდან 80 კაცზე 158 თამასუქით გაცემულია 3.699 მ. 74 კაპ., თამასუქი კი ჩამორთმეულია 5.246 მან. და 35 კაპ., 3) ამხანაგობის არაწევრებზე გაცემულია სესხი, როცა წევრები არ არიან დაკმაყოფილებულნი, 4) გაცემულია საქონელი გამგეობის დადგენილების გარეშე ნისიათ და უსაბუთოდ არაწევრებზე, რაიც წიგნებში არ არის გატარებული; საქონლის ღირებულება უდრის 1.673 მან. და 53 კაპ., 5) ყოფილა საქონლის ფასის აწევ-დაწევის შემთხვევა, რაიც არსად არ არის გატარებული.

რევიზიების შემდეგ საკრედიტო ამხანაგობის საზოგადო კრება. ანდრო ბახტაძის ახალ ბოროტმოქმედებათა მხილება. ლანძღვა-გინება ბახტაძე მოხსნილია საკრედიტო ამხანაგობიდან.

რიონჰესი. 1928 წელი. ანდრო ბახტაძე რიონჰესის ადმინისტრატიულ განყოფილების თავმჯდომარე......

აქ ჯერ-ჯერობით წერტილს ვუსვამთ. დარწმუნებული ვართ, რომ მკითხველი განცვიფრებით გაშლის ხელს და იკითხავს: როგორ, ბოროტმოქმედების ასეთი დაუსჯელობა, განა საბჭოთა ხელისუფლების დროს გაგონილა? ჩვენც ამავე საკითხს ვუსვამთ სათანადო დამსჯელ ორგანოებს, იმ იმედით, რომ ანდრო ბახტაძის უდროოთ შეწყვეტილი ბიოგრაფია შესაფერი ლოღიკური დასკვნით წარუდგინონ მკითხველებს.

ან.

ნანატრი ჯილდო

რკინის-გზის მთავარ სახელოსნოს ადმინისტრატიულ-ტეხნიკურ პერსონალს წარმოების გაუმჯობესებისა და პროდუქციის თვითღირებულების გაიაფებისათვის წარსულ წლის პირველ აპრილიდან მიეცა ჯილდო. ასეთივე ჯილდო უნდა მისცემოდა ამავე წლის 1 აგვისტოდან სახელოსნოების კანტორის პერსონალს.

ადმინისტრაციამ, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, ჯილდო კიდეც მიიღო და ის უკვე თავის გზას გაუყენა, ხოლო კანტორის მუშაკები დღესაც ნერწყვის ყლაპვით ტუჩებს ილოკავენ, ხან ერთ დაწესებულებას შესჩივლებენ, ხან მეორეს. საკითხი, ასე ვსთქვათ გადაწყვეტის სტადიაშია. ეს „სტადია“ კი იმდენად გრძელი გამოდგა, რომ მალე მას ერთი წელი შეუსრულდება და, თუ საქმეში ენერგიულათ არ ჩაერია ვინმე, შეიძლება მთავარ სახელოსნოს კანტორის მოხელეთა ჯილდომ „ჩაილურის წყალიც დალიოს“. ამის ნიშნები კი უკვე არის. ტელეფონის წკარუნი ბევრია, შემფასებელ კომისიას. მომრიგებელ კამერას, სამედიატორო სასამართლოს და სხვა ორგანოებსაც გამოუტანიათ დადგენილება ამ საკითხის შესახებ. საკითხი ყველასათვის უდაოა. საქმე გადაეცა კავშირს ადმინისტრაციასთან შესათანხმებლად. სწარმოებს შეთანხმება. მაგრამ აქ ხდება ის, რის მოწმეც საზოგადოთ ხშირადა ვართ ჩვენ ასეთი ხასიათის შეთანხმების დროს. ხან ერთი ადმინისტრატორი არის ავათ, ხან მეორე; ხან ერთი არ არის საქმეების გამო, ხან მეორე: ხან კიდევ კავშირის წარმომადგენელი არ არის. ან თუ არის ერთი, არ არის მეორე, მოიყვანებენ მეორეს. არ არის პირველი და ასე გრძელდება დაუსრულებლივ ეს შეთანხმება.

ამასობაში ალბათ ახალი ტარიფი გამოქვეყნდება რკინის-გზაზე. შემდეგ კი ჯილდოს საკითხმა თქვენი ჭირი წაიღო. თუ ეხლა არ აძლევენ მას კანტორის მოხელეებს, მაშინ თავისაც არავინ იტკენს.

ასეთია მთავარ სახელოსნოს კანტორის პერსონალის ჯილდოს ბედი. აქ საკითხავია ერთი რამ, როგორ მოხდა, რომ ადმინისტრაციამ ასე უყოყმანოდ და ერთი ხელის მოწერით მიიღო ჯილდო, ხოლო კანტორის დაბალ პერსონალის ჯილდოს საკითხს კი მთელი თვეებით შეთანხმება უნდება და საშველი აღარ ადგება. ამ შეთანხმებას. ვიმედოვნებთ, რომ ამ საკითხზე ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექცია გაგვცემს დამაკმაყოფილებელ პასუხს. მას კი, ვისი მიზეზითაც ასე ჭიანურდება ჯილდოს საკითხი—შესაფერი ჯილდო უნდა მიეზღოს.

ბრული.

რაგამოირკვა

სენაკი

ადამია მოხსნილია თანამდებობიდან

სენაკის მაზრაღმასკომი ამით გაცნობებთ, რომ თქვენი გაზეთის ამა წლის იანვრის 29-ის № 24 „გახურებულ შანთში“ მოთავსებული წერილის „საეჭვო ექიმი“-ს შინაარსი, ჩვენ მიერ დანიშნული კომისიის გამოკვლევით აღმოჩნდა სწორი, რისთვისაც პრეზიდიუმის 6 მარტის სხდომის დადგენილებით ექიმი ადამია მოხსნილ იქნა სამსახურიდან.

მაზრაღმასკომის თავმჯდომარე— **დ. ქუჩულორია.**

საამშენებლო სეზონისათვის

დადგენილება

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომისართა საბჭოსი

იმ ღონისძიებათა შესახებ, რაც საჭიროა, რომ 1928 წლის საამშენებლო სეზონში თავის დროზე იქნეს დაწყებული საამშენებლო მუშაობა და იგი უზრუნველყოფილ იქნეს სათანადო მუშა-ხელით

ა.-კ. ს.ფ.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭოს ა.-წ. თებერვლის 28-ს თარიღისა და მე-12 №-ის დადგენილების მე-3 მუხ. აღსასრულებლად—საქართველოს ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს ყველა სახალხო კომისარიატსა, დაწესებულებასა, საწარმოსა, ორგანიზაციასა და კოოპერატიულ შენაერთს, რომელიც კი 1928 წლის სეზონში საამშენებლო მუშაობას აპირებს, სასწრაფოდ შეიმუშაოს მშენებლობის საკალენდრო გეგმა, გამოარკვიოს რა საშენი მასალა და მუშა-ხელია მისთვის საჭირო და არა უგვიანეს ამა წლის აპრილის 1-სა აცნობოს ამიერ-კავკ. ს.ფ.ს.რ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის (საქართველოს ს.ს.რ-ში) სამმართველოს რა საშენი მასალაა მისთვის საჭირო, ხოლო შრომის სახალხო კომისარიატს—რა მუშა-ხელია საჭირო. ეს ცნობები უნდა გაიგზავნოს იმ ფორმით, რასაც დაადგენენ ვაჭრობისა და შრომის სახალხო კომისარიატები.

2. დაევალოს ამიერ-კავკ. ს.ფ.ს.რ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს საქართველოს ს.ს.რ.-ში და შრომის სახალხო კომისარიატს თავის დროზე შეაჯამონ ცალკე უწყებათა ცნობები და საქართველოს ს.ს.რ. საჭიროებათა გამორკვევის შემდეგ განსაზღვრონ:

ა) **ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ხაზით:** რა ადგილობრივი საშენი მასალა მოიპოვება, რამდენი და რა ასორტიმენტის მასალა შემოიზიდება საიმპორტო გეგმით, სადეფიციტო მასალების ნუსხა და რაოდენობა და საშენი მასალის ბაზრის მოწესრიგებისათვის საჭირო კონკრეტული ღონისძიებანი;

ბ) **შრომის სახალხო კომისარიატის ხაზით:** რა კვალიფიცირებული მუშა-ხელი მოიპოვება საქართველოში, რა მუშა-ხელი დასჭირდება მშენებლობას გეგმით გათვალისწინებულ მოთხოვნილებასთან შედარებით და რა კონკრეტული ღონისძიებანი უნდა იქნეს მიღებული მშენებელ მუშათა შრომის ბაზრის მოსაწესრიგებლად.

3. ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს და შრომის სახალხო კომისარიატის მიერ შეკრებილი და შემუშავებული ცნობები და აგრეთვე მათივე მოსაზრებანი მასალებისა და მუშა-ხელის ბაზრების მოწესრიგების შესახებ უნდა გადაეცეს არა უგვიანეს ამა წლის აპრილის 1-სა საქართველოს ს.ს.რ. ეკონომიურ თათბირის საამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტთან არსებულ კომისიას ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულისა (საქართველოს ს.ს.რ.-ში) და შრომისა და ფინანსთა სახალხო კომისარიატების წარმომადგენელთა შედგენილობით. აღნიშნული ცნობები, გეგმების შეთანხმების და კონკრეტულ ღონისძიებების გამორკვევის შემდეგ, წარდგენილ უნდა იქნეს საქართველოს ს.ს.რ. ეკონომიურ თათბირში არა უგვიანეს ამა წლის აპრილის 10-სა.

4. დაევალოს ყველა სახალხო კომისარიატსა, დაწესებულებასა, საწარმოსა, ორგანიზაციასა და კოოპერატიულ შენაერთს, რომელიც კი საქართველოს ს.ს.რ.-ში მშენებლობას აწარმოებს, წარუდგინოს, არა უგვიანეს ამა წლის აპრილის 15-სა, საქართველოს ს.ს.რ. ეკონომიური თათბირის საამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტის მეშვეობით, საქართველოს ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭოს მოხსენება ამა დადგენილების აღსრულების შესახებ.

საქართველოს ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომ. მოადგილე **ს. ჟულელი.**

საქართველოს ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე— **ს. სტეფანოვი.**

1928 წ. მარტის 17.
თბილისი—სასახლე.

ხე-ტყის მასალის რაციონალურად მოხმარებისათვის

სახელმწიფო ორგანიზაციათა გეგმიანი მუშაობა ურთიერთ შეთანხმებული უნდა იყოს. ამავე დროს კი თითქმის ყოველდღიურ მოვლენად იქცა ის, რომ ეს ორგანიზაციები ხშირად არავითარ ანგარიშს არ უწევენ და კიდევაც გაურბიან ერთი მეორეს. ამ შეუთანხმებელ და შეუფარდებელ საქმიანობას შედეგათ მოსდევს საერთო ზარალი. ამავე მიზეზის გამო თვითეული მათგანი ვერც დროზე ასრულებს დაკისრებულ დავალებებს. ამისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ამ ორგანიზაციათა ურთიერთ შორის შეუთანხმებელ მუშაობაში ჩაერიოს სახელმწიფოს უმაღლესი საკონტროლო ორგანოები, წინააღმდეგ შემთხვევაში იმ ზარალს, რომელსაც ჩვენ აღმშენებლობაში ვხედავთ, თავს ვერ დავაღწევთ.

მაგალითისთვის მოვიყვანოთ ერთის მხრივ —ტყის მრეწველობის ტრესტი, როგორც საამშენებლო ხე-ტყის მასალათა დამამზადებელი და მეორეს მხრივ —რესპუბლიკის უამრავი დაწესებულება-ორგანიზაციები, როგორც ამ მასალის მომხმარებელნი. უკანასკნელნი დაკავშირებულნი არიან ტყის მრეწველობის ტრესტის მუშაობის შესაძლებლობასთან (თუ, რა თქმა უნდა, თუ მას საზოგადოთ არ აუხვევთ გვერდს), ვინაიდან რესპუბლიკაში არ მოიპოვებიან ხე-ტყის დამზადებელი სხვა ორგანიზაციები, რომელთაც შეეძლოთ რესპუბლიკის მასშტაბით სათანადო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. ტრესტის და მომხმარებელ ორგანიზაციების მუშაობა კი სრულიადაც არ არის ერთი მეორესთან შეფარდებული და ეს ხდება იმ დროს, როდესაც საამშენებლო მასალათა შორის ხე-ტყის მასალის მოხმარება უდიდეს პროცენტს შეადგენს.

ამის გამო, ჩემის აზრით საჭიროა თავდაპირველად შესწავლილ იქნას ტყის მრეწველობის ტრესტის მუშაობის რეალური პირობები იმის გამოსარკვევათ, თუ რა და რა ზომის და ხარისხის და როგორი პროცენტული შეფარდებით არის შესაძლებელი საამშენებლო ხე-ტყის მასალის დამზადება, რომ ამის და მიხედვით მომხმარებელმა ორგანიზაციებმა შეიმუშაონ საამშენებლო გეგმები და წარუდგინონ თავიანთი მოთხოვნილება ხე-ტყის მასალაზე.

მართლაც და ანგარიშ გასაწევია ის შემთხვევები, როდესაც ესა თუ ის მომხმარებელი ორგანიზაციები დამზადების შესაძლებლობის ანგარიშ მიუცემლად იძლევიან ხე-ტყის მასალის ისეთ დაკვეთებს, რომელთა შესრულება ჩვენს სინამდვილეში ან სრულიად შეუძლებელია ან და, თუ შესაძლებელია, დაკავშირებულია მეტ ხარჯებთან რაც აძვირებს ჯერ პროდუქციის ღირებულებას და შემდეგ კი თვითაღმშენებლობასაც. აქ ჩვენ მხედველობაში ვიღებთ საქართველოს ტყეების ბუნებრივ მდებარეობას და მათ მიუვალობას, აგრეთვე ზრდის და ნიადაგის პირობებს და თვით ხე-ტყის მოჭრა-დამზადების, მისი ჩამოშვების და შემდეგ წყალვარდნილებზე და ვიწრო ხეობებში მთიან მდინარეებით მორების გამოტანის პროცესებს, რაც შეუძლებლად ჰქმნის გრძელ ზომის და მსხვილ მორების ტყიდან ადგილამდე დაუზიანებლად და დაუხეთქავათ ჩამოტანას. სულ სხვა პირობებია რუსეთის გაშლილ ველებზე აღმოცენებულ ტყეების საექსპლოატაციოთ.

ტრესტზედ დაკვეთილ მასალის 60 პროცენტზე მეტი უდრის 10—12 და 13 არშინიან ზომის მასალებს. ტრესტი, მართალია მათ ამზადებს, მაგრამ, ვინაიდან ამ ზომის მასალებს განსაკუთრებული დამზადება და გამოტანა სჭირია და დაკავშირებულია ზედმეტ ხარჯებთან, ამიტომ მათი დამზადება ძალიან მაღლა სწევს საკალკულაციო ფასებს და ამგვარათ მიღებული ძვირი საამშენებლო მასალა უძვირებს აღმშენებლო ორგანიზაციებს თვით აღმშენებლობასაც. ეს ხდება მაშინ, როდესაც მომხმარებლები ამ ზომის დაკვეთებს შემდეგში ხმარობენ 6 არშინიან და ნაკლებ ზომის მაგიერად.

საკითხის უმტკივნეულოდ მოგვარება სულ ადვილია, თუ ამხანაგები შეხედავენ მომჭირნეობის საკითხს და ანგარიშს გაუწევენ ტყის მრეწველობის ტრესტის მუშაობის პირობებს.

ვ. ჯიჯელავა.

ეკონომიური კონტრ-რევოლუციის წინ აღმდეგ

საქართველოს ინჟენერ-ტეხნიკოსთა პროტესტი

რკინის გზის თბილისის კვანძის ინჟენერ-ტეხნიკოსთა კრება

გუშინ, ინჟენერ ხოჯაშვილის თავმჯდომარეობით შესდგა ამიერ-კავკასიის რკინის-გზების თბილისის კვანძის ინჟენერ-ტეხნიკოსთა საერთო-სასწრაფო კრება, რომელმაც მოისმინა ამიერ-კავკასიის ვაჭრობის სახალხო კომისარის ამხ. ბეკზადიანის საინფორმაციო მოხსენება დონეცის შავი ქვის მაღაროების შახტის რაიონის სპეციალისტების ერთი ჯგუფის ეკონომიური კონტრრევოლიუციონური შეთქმულების შესახებ და ერთხმად გამოიტანა შემდეგი დადგენილება:

ა.-კ. რკინის-გზების თბილისის კვანძის ინჟენერ-ტეხნიკოსთა საერთო კრება, გაეცნო რა დონბასის სპეციალისტთა ერთი ჯგუფის კონტრრევოლიუციონურ მოქმედებას, რომელიც მიზნად ისახავდა საბჭოთა სოციალისტური მშენებლობის შეფერხებას, გამოსთქვამს თავის ერთსულოვან აღშფოთებას და მოითხოვს მათ სასტიკ დასჯას.

ზემოხსენებული ჯგუფის მოქმედება წარმოადგენს, სამარცხვინო ღალატს, როგორც მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს, ისე მთელ საკავშირო ინჟენერთა საერთო ოჯახის მიმართ.

საერთო კრება მოუწოდებს საინჟენერო ტეხნიკურ ძალთა სექციის პატიოსან წევრებს, რომელნიც ყოველთვის მუშაობდენ არა შიშით, არამედ სინდისისა და პასუხისმგებლობის შეგნებით, კიდევ უფრო მეტად გააძლიერონ მუშაობა და მშრომელ მასასთან ხელი-ხელ ჩაკიდებული განაგრძონ საბჭოთა კავშირის ეკონომიური ძლიერების განმტკიცება.

ჩვენ მოვუწოდებთ ყველა პატიოსან მუშაკებს გააერთიანონ თავიანთი ძალები ყოველგვარ საბოტაჟთან და კონტრრევოლიუციონური მოქმედების სხვაგვარ გამოვლინებასთან აქტიური ბრძოლისათვის და კიდევ უფრო შეამჭიდრონ თავისი რიგები პროლეტარიატის გარშემო.

სტუდენტების საზაფხულო პრაქტიკა

17 მარტს საკ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების კოლეგიის გაფართოებულმა სხდომამ მოისმინა ამხ. გრიგორიანის მოხსენება: სტუდენტების საზაფხულო პრაქტიკის შესახებ პრაქტიკის შესახებ.

გასულ სამოსწავლო წელში ძლიერ მწვავეთ იდგა პრაქტიკანტების და სტაჟიორების შენახვის საკითხი, განსაკუთრებით სახ. ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებებში, ამიერ-კავკასიის შრომის სახკომისარიატთან არსებულ პრაქტიკანტების განმანაწილებელმა სპეციალურმა კომისიამ, შარშან, უფრო მეტი ადგილი მიიღო საკავშირო დაწესებულება წარმოებებში, ვინემ ამიერ-კავკასიის დაწესებულებებში.

მიმდინარე სამოსწავლო და საბიუჯეტო წელში აუცილებელია ადგილებს მიეცეს დირექტივა, რათა მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული პრაქტიკანტები ამიერ-კავკასიის უმაღლესი სასწავლებლებიდან. რესპუბლიკების განათლების სახ. კომისარიატებმა აუცილებლად უნდა გამოიყენონ რ. ს. ფ. ს. რ. განსახკომის გამოცდილება პრაქტიკანტების მიერ შესრულებულ მუშაობის აღრიცხვისა და კონტროლის საქმეში. ერთხელ და საბოლოოდ უნდა მოეღოს ბოლო პრაქტიკანტების არა თავის სპეციალობის დარგში მუშაობის შემთხვევებს და, აგრეთვე პრაქტიკისათვის გაგზავნის საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეებში, როცა შესაძლებელია მათი წარმატებით გამოყენება თვით ამიერ-კავკასიაში.

კოლეგიამ საჭიროდ სცნო პარტიული ხელმძღვანელობა გაუწიოს პრაქტიკანტების განმანაწილებელ კომისიებს.

ამიერ-კავკასიის პროფსაბჭოში

ახალი დასასვენებელი სახლი

ა. კ. პროფსაბჭომ დაამტკიცა რკინის გზელთა საგზაო პროფესიონალური კომიტეტის დადგენილება იმის შესახებ, რომ რკინის გზელებისათვის საქართველოში აგებული იქნეს სპეციალური დასასვენებელი სახლი, რომელიც დაჯდება 250.000 მანეთი. სახლი აგებული იქნება ბორჯომ-ბაკურიანის რაიონში და თავისი მოცულობით და მოწყობილობით ერთ-ერთი საუკეთესო დასასვენებელი სახლი იქნება ამიერ-კავკასიაში.

ახალი საბინაო ტარიფი

ამას წინად ა. კ. სახკომსაბჭოში განხილული იქნა პროექტი ახალი საბინაო ტარიფის შემოღების შესახებ მუშა-მოსამსახურეებისათვის. ამასთან დაკავშირებით ა. კ. პროფსაბჭომ წინადადება მისცა რესპუბლიკანურ პროფსაბჭოებს დაამუშაონ ეს საკითხი და თავისი დასკვნა წარუდგინონ ა. კ. პროფსაბჭოს.

აზერბეიჯანის პროფკავშირთა ყრილობა

ა. კ. პროფსაბჭოს წარმომადგენლად აზერბეიჯანის პროფკავშირთა ყრილობაზე გამოყოფილია ა. კ. პროფსაბჭოს მდივანი ამხ. შეფტელი. ყრილობა გაიხსნება 21 მარტს ბაქოში.

ამხ. იაკუბოვის გამგზავრება

მოსკოვში გაემგზავრა პროფინტერნის კონგრესზე დასასწრებლად ა. კ. პროფსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. იაკუბოვი.

დასასვენებელი სახლების შესახებ

ა. კ. პროფსაბჭომ წინადადება მისცა რკინის გზელთა საგზაო კომიტეტს მიმდინარე 1927—28 წლის განმავლობაში გამოიყენოს მარდაკიანის დასასვენებელი სახლები, რისთვისაც გააუქმოს დამოუკიდებელი დასასვენებელი სახლი აჯიკენდში.

თათბირი წყალთა მეურნეობის საკითხებზე

მესამე სხდომა.

თათბირის მესამე სხდომაზე გაიხსნა კამათი წყალთა ოლქების წარმომადგენელთა მოხსენებებისა და რესპუბლიკების წყალთა მეურნეობის სამმართველოთა მუშაობის გარშემო.

გამოსული ორატორები აღნიშნავენ, რომ წყალთა ოლქებში არ ხდება წყალის მომჭირნით გამოყენება; ხშირათ ადგილი აქვს უყაირათობას. ორატორებს მოყავთ მაგალითები, როდესაც ზოგიერთ რაიონებში გადაჭარბებით რწყავენ სხვადასხვა კულტურებით დათესილ ადგილებს, ხოლო ამავე დროს თითქმის მოურწყავი რჩება მეორე რაიონი და ამით ფუჭდება მოსავალი. გარდა ამისა, აღნიშნული იყო, რომ წყლით სარგებლობის დროს თითქმის ყველგან მოისუსტებს კონტროლი და თვალყურის დევნება, რომ დაცული იქნეს სამართლიანობა, წყლით სარგებლობის საქმეში.

შემდეგ სხდომაზე მოხსენებით გამოვიდა ა.-კ. წყალთა სამმართველოს ინჟენერი ივანიცკი სამელიორაციო ამხანაგობების ჩამოყალიბების შესახებ.

მოხსენების გარშემო გამართულ აზრთა გაცვლა-გამოცვლის დროს გამოირკვა, რომ ბევრგან ადგილი აქვს ადგილობრივ ხელისუფლებასა და წყალთა ოლქების ადმინისტრაციას შორის ფუნქციების აღრევას, ამიტომ თათბირზე გამოითქვა აზრი, რომ დაჩქარებით იქნეს შედგენილი წყალთა სარგებლობის კოდექსი, რაც ხელს შეუწყობს და გაადვილებს წყლით სარგებლობის საქმეს ადგილებზე. კამათში გამოსული ორატორები მოითხოვენ, რომ მიღებული იქნეს ზომები სამელიორაციო ამხანაგობების კოოპერატიულათ დასარაზმავათ. მოყვანილი მაგალითებიდან ირკვევა, რომ იმ რაიონებში, სადაც მოწყობილია კოოპერატიული სამელიორაციო ამხანაგობები, წყლით სარგებლობა უფრო რაციონალურად ხდება.

მეოთხე სხდომა

მეოთხე სხდომაზე მორიგი მოხსენებით გამოვიდა ინჟ. ზუნტურიძე ამიერ-კავკასიაში წყალთა სარგებლობის გამოკვლევების შესახებ.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ სარწყავი სისტემების გაფართოებასთან ერთად შესაძლებელი გახდება მრავალნაირი ახალი ტეხნიკური კულტურების გავრცელება. მაგრამ ამისათვის საჭიროა წყლის სარგებლობის მოწესრიგება.

მომხსენებელი აღნიშნავს ყველა იმ ღონისძიებებს, რომელთა გატარება აუცილებელია წყლით სარგებლობის გასაუმჯობესებლათ და წინადადებას იძლევა, რომ ეს ღონისძიებები დაჩქარებით გაატარონ ცხოვრებაში რესპუბლიკანურმა წყალთა მეურნეობების სამმართველოებმა.

ბრძოლა საბინაო კრიზისთან

თბილისის აღმასრულებელ კომიტეტის საბინაო სექციის ცნობით, ამჟამად თბილისში ითვლება 1.655.000 კვადრატული მეტრი საცხოვრებლად გამოსადეგი სივრცე. თბილისის მცხოვრებთა რიცხვი აღწევს 296.000 სულამდე. ამგვარად ყოველ სულზე საშუალოდ მოდის 5 ნახევარი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ბინის ფართობი, რაც ნორმაზე (18 კვადრატული მეტრი) ნაკლებია 2 ნახევ. კვ. მეტრით.

თუ მხედველობაში მივიღებთ, იმ გარემოებას, რომ არსებული საბინაო ფონდი მცხოვრებთა შორის თანაბრად არ არის განაწილებული. მაშინ ცხადი იქნება შემდეგი: მცხოვრებთა ერთი ნაწილი თითქმის სავსებით დაკმაყოფილებულია საბინაო სივრცის ნორმით, ხოლო მეორე, ნაწილს უჭირავს 5 კვ. მეტრზე ნაკლები სივრცე. ასეთი გარემოება ხელს უწყობს სხვადასხვა გადამდებ სენების გავრცელებას და ჰქმნის ანტი-სანიტარულ პირობებს მცხოვრებთა შორის.

გარდა ამისა ბევრი მცხოვრები დარჩენილია სრულიად უბინაოთ. მარტო მუშა-მოსამსახურეების დასაკმაყოფილებლად საშუალოდ ნორმის—5 ნახ. მეტრის—ფარგლებში საჭიროა 16.000 ახალი ოთახი, რომლის აგება დაჯდება დაახლოებით 48 მილიონი მანეთი.

საბინაო მშენებლობა თბილისში საფუძვლიანად დაიწყო 1924 წლიდან. ამ ხნიდან დღემდე აგებული იქნა 115 სახლი (515 ოთახით), რაზედაც დაიხარჯა 1.443.000 მანეთი.

ამჟამად თბილისში შენდება 95 ახალი სახლი 617 ბინით და 1382 ოთახით, რომელთა საერთო სივრცე უდრის 25.260 კვადრატულ მეტრს. ამ სახლების ასაგებად გადადებულია 4.500.000 მანეთი, უკვე დახარჯულია — 2.024.000 მანეთი.

საბინაო მშენებლობაში უდიდესი ადგილი უჭირავს თბილისის საბჭოს, რომელსაც ახალი სახლების ასაგებათ წელს დახარჯავს — 2.500.000 მანეთს.

თბილისის აღმასკომს გარდა საბინაო მშენებლობას აწარმოებს საბინაო-სამშენებლო კოოპერაცია, სახელმწიფო ორგანოები ტრანსპორტი და აგრეთვე კერძო პირები.

ნ—ი.

ამიერ-კავკასიის საბეითლო ინსტიტუტი

გუშინ. საკ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების კოლეგიის გაფართოებულ სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. ალავერდიანის ინფორმაციული მოხსენება ქ. ბაქოში ამიერ-კავკასიის საბეითლო ინსტიტუტის გახსნის შესახებ.

ინსტიტუტის სასწავლო გეგმა შედგენილი იქნება რ. ს. ფ. ს. რ. საბეითლო ინსტიტუტების 1926 წ. სასწავლო გეგმის მიხედვით. სასწავლო ვადათ დაწესებულია 5 წელი. ადგილები განაწილებული იქნება რესპუბლიკების, წითელი არმიის ნაწილების და მუშათა ფაკულტეტების შორის. სტიპენდიანტების რაოდენობა და საერთო-საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფილთა რიცხვი განზრახულია უდრიდეს მსმენელთა 80 პროცენტს. ამ მხრივ პირველ რიგში დაკმაყოფილებულ იქნებიან მუშები და ღარიბი გლეხები.

ვინაიდან. ინსტიტუტში მეცადინეობა იწარმოებს რუსულ ენაზე და ეროვნულ რესპუბლიკებიდან ჩამოსულნი კი არ არიან ამისათვის სათანადოთ მომზადებულნი, კოლეგიამ საჭიროდ მიაჩნია უცხო ენათა შესწავლის მაგიერ სასწავლო გეგმაში შეტანილი იქნეს რუსული ენა. აგრეთვე საჭიროდ იქნა ცნობილი ღარიბ სტუდენტთა უზრუნველყოფა სასწავლო ინვენტარით.

გეოფიზიკური ობსერვატორიის კორესპონდენტები

საქართველოს გეოფიზიკურმა ობსერვატორიამ გადასწყვიტა საქართველოს ყოველ კუთხეში იყოლიოს თავისი კორესპონდენტები მათი საშუალებით სისტემატიურად აწარმოოს მეტეოროლოგიური გამოკვლევანი მთელ საქართველოში.

ამ მიზნით ობსერვატორიამ აღძრა შუამდგომლობა განათლების კომისარიატის წინაშე, რათა კორესპონდენტებათ გამოყენებული იქნენ სოფლის ახალგაზრდობის სკოლების ფიზიკის მასწავლებლები. განათლების კომისარიატმა დააკმაყოფილა ობსერვატორიის შუამდგომლობა და მიწერილობები დაუგზავნა სოფლის ახალგაზრდობის სკოლების გამგეებს, რომლებსაც ევალებათ თავიანთი მხრივ მიიღონ ზომები საკორესპონდენტო პუნქტების მოსაწყობათ.

კორესპონდენტებმა საქართველოს გეოფიზიკურ ობსერვატორიის სეისმიურ განყოფილებას სისტემატიურად უნდა მოაწოდონ ცნობები თავიანთ რაიონში მომხდარ სტიქიურ მოვლენათა და მეტეოროლოგიურ დაკვირვებების შესახებ.

კორესპონდენტებს ცნობების გადმოგზავნა შეუძლიათ ფოსტის საშუალებით (უფასოთ) განათლების კომისარიატი სოფლის ახ. სკოლების გამგეებს ავალებს, საკორესპონდენტო მუშაობაში ჩააბან მოწაფეებიც და მეტეოროლოგიურ დაკვირვებათა წარმოება შეიტანონ თავიანთ სამოსწავლო გეგმაში.

ჩაის პლანტაციების გაფართოება

სააქციო საზ-ბა „საქართველოს ჩაი“-ს 5-წლიანი პერსპექტიული გეგმის მიხედვით გათვალისწინებულია ჩაის ახალი პლანტაციების გაშენება რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებში, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში.

ამ მიზნით მიმდინარე წლიდან გაშენებული იქნება ჩაის ახალი სანერგეები და ადგილობრივ იწარმოებს თესლის დამზადება. თესლი შემოტანილი იქნება აგრეთვე ინდოეთიდან და ჩინეთიდან.

საბჭოთა კავშირის შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილებით, 1932 წლამდი საქართველოში ჩაის პლანტაციები გაშენებული იქნება 16.500 დესეტინამდე. აქედან აჭარისტანში გაშენებული იქნება 2245 დესეტინა, ოზურგეთის მაზრაში 6.565 დეს. სენაკ-ზუგდიდის მაზრებში—6010 დესეტინა, აფხაზეთში—1680 დესეტინა.

ამჟამად არსებულ ჩაის პლანტაციების სივრცის მომატებით 1932 წელს საქართველოში იქნება სულ 18.242 დესეტინა ჩაის პლანტაციები. ამ პლანტაციებზე ყოველწლიურად აიკრიფება 7.748.500 კილოგრამი ნედლი ჩაი, ანუ 1.822.800 კილოგრამი ხმელი ჩაი, რომელიც ეღირება 3.500.000 მანეთი.

გაზაფხულის თესვის კამპანიასთან დაკავშირებით „საქართველოს ჩაი“ აწარმოებს გაცხოველებულ მუშაობას. ჩაის მეურნე გლეხებს ახლად გაშენებულ ყოველ დესეტინა ჩაის პლანტაციაზე გრძელვადიანი სესხის სახით ეძლევა 400 მანეთი.

ამასთან ერთად საზ-ბა „საქართველოს ჩაი“ გლეხებს ნისიათ აძლევს ჩაის ნერგებს და უწევს ყოველგვარ აგრონომიულ დახმარებას მიწათმოქმედების კომისარიატის საშუალებით.

ზამთრის შედეგები

საქონლის გაწყვეტა

ცივმა და ხანგრძლივმა ზამთარმა ძლიერ დააზარალა მესაქონლეობა დასავლეთ საქართველოში. საქონლის საკვები—თივა და ჩალა, რომელიც გლეხობას შარშანდელი მოუსავლობის გამო ნორმაზე ნაკლები ჰქონდა მომარაგებული, ქვემო იმერეთის გლეხობას უკვე თებერვლის შუა რიცხვებში შემოელია. გლეხობას იმედი ჰქონდა, რომ მალე დადგებოდა გაზაფხული, რაც მას საშუალებას მისცემდა საძოვრებზე გაერეკა საქონელი, მაგრამ თებერვლის მეორე ნახევარში დაიწყო მკაცრი ზამთარი—დიდი თოვლით და სასტიკი ყინვებით. გზების შეკვრის გამო გლეხობას საშუალება მოესპო ახლო-მახლო ბაზრებზე შეეძინა საქონლის საკვები პროდუქტები. ყველა ამ გარემოებამ შექმნა საშინელი კრიზისი, რასაც შედეგათ ალაგ-ალაგ შინაური პირუტყვის მასსიური ამოხოცვა მოჰყვა. უგზოობის გამო ადგილობრივი ორგანიზაციებიც უძლური შეიქნენ რაიმე დახმარება აღმოეჩინათ მესაქონლეობისათვის.

ამჟამად ქუთაისის სამაზრო აღმასკომი აწარმოებს იმის გამორკვევას, თუ რომელ რაიონში რამდენი საქონელი დაიღუპა. ჯერ-ჯერობით ცნობები მიღებულია ხონის, ბაღდათის, სვირის და ობჩის რაიონებიდან. ხონის რაიონის ერთ-ერთ თემში საკვების უქონლობის და სიცივის გამო ამოწყდა 300-ზე მეტი ცხვარი, ხონის რაიონში ცხვრები დაიხოცა აგრეთვე სამეგრელოდან ჩამოსულ მეჯოგეებს. ბაღდათის რაიონში ამავე მიზეზებით დაიღუპა 150 რქოსანი საქონელი და ამდენივე ცხვარი, ხოლო სვირის რაიონში 400 სული ცხვარი.

რკინისგზებზე

გადაყვანა ზაჰესის ენერგიაზე

საქართველოს სახკომსაბჭოსთან არსებულმა კომისიამ, რომელსაც დაკისრებული აქვს თბილისის წარმოებების გადაყვანა ზაჰესის ენერგიაზე, განიხილა თბილისის სადგურთან არსებულ წყალსაქაჩავის ზაჰესზე გადაყვანის საკითხი. გამოირკვა, რომ ამჟამად წყალსაქაჩავა ყოველწლიურად მხოლოდ მაზუთზე ხარჯავს 25.000 მ. ზაჰესის ენერგ. გადაყვანით კი რკინ. გზა მიიღებს ხარჯების დიდ ეკონომიას. ხოლო თვით ზაჰესი კი—დამატებით დატვირთვას, რაც გამოიხატება წლიურად—350.000 კილოუატ საათში.

ზაჰესის ენერგიაზე გადაყვანისათვის საჭირო მოწყობილობები უკვე მიღებულია გერმანიიდან, მაგრამ მათ დადგმას ხელს უშლის თანხების უქონლობა.

კომისიამ მიმართა თხოვნით გზათა კომისარიატის რწმუნებულს ამიერ-კავკასიაში დააჩქაროს თბილისის სადგურთან არსებულ წყალსაქაჩავის გადაყვანა ზაჰესის ენერგიაზე.

ნავთის ექსპორტი ძლიერდება

ქარ-ბუქისა და ნამქრების შემდეგ, რომელთაც შეაფერხეს მატარებლების მიმოსვლა ამიერ-კავკ. რკინის გზებზე, საექსპორტო ნავთის პროდუქტების გადაზიდვა ბაქოდან—ბათომში თანდათან ძლიერდება და სწარმოებს შეუფერხებლად.

ყოველდღიურად გზა ატარებს 360 ცისტერნა ნავთის პროდუქტს.

მშრალი ტვირთები

თოვლის ნამქრებმა გავლენა მოახდინეს ა.-კავკ. რკინის გზებით მშრალი ტვირთების გადაზიდვაზეც. მარტის პირველი ცამეტი დღის განმავლობაში ამ საქონლის ტვირთვა მინიმუმამდე შემცირდა.

14 მარტიდან ამ ტვირთების გადაზიდვა გაძლიერდა. ეხლა ყოველდღიურად იტვირთება 730—740 ვაგონი.

ქუთაისი

ფოსტა-ტელეგრაფის მუშაობა 1927 წ.

ქუთაისის საბჭოს უკანასკნელ სხდომაზე დღის წესრიგში შეტანილ საკითხთაგან განხილულ იქნა: „ფოსტა-ტელეგრაფისა და, საერთოდ, სახალხო კავშირის მდგომარეობა და ფოსტა-ტელეგრაფის ქუთაისის განყოფილების მიერ 1927 წელში ნაწარმოები მუშაობა“.

ვრცელმა მოხსენებამ საკმაოდ ხანგრძლივი კამათი და აზრთა გაცვლა-გამოცვლა გამოიწვია.

საბჭომ განყოფილების მიერ 1927 წელში ნაწარმოები მუშაობა საერთოდ დამაკმაყოფილებლად სცნო. ამავე დროს სხდომაზე აღნიშნული დეფექტების მოსპობისა და, საზოგადოთ, ფოსტა-ტელეგრამ-ტელეფონის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით გამოტანილ იქნა შემდეგი დადგენილებანი:

ა) აღძრას სათანადო შუამდგომლობა ქუთაისში ავტომატიური ტელეფონების შემოსაღებად, ხოლო, თუ ეს შეუძლებელი იქნება. იმ შემთხვევაში დაუყოვნებლივ მიღებულ იქნას ზომები ორიბაზიან სისტემაზე გადასასვლელად; უვარგისი ტელეფონები უნდა გამოიცვალოს;

ბ) გაყვანილ იქნას სატელეფონო ხაზი მაზრის ჩამორჩენილ თემებში, პირველ რიგში იქ, სადაც ტელეფონისათვის საჭირო ბოძებს თვით მცხოვრებლები შეიძენენ თავის ხარჯით.

გ) მიღებულ იქნას ზომები, რომ ჟურნალ-გაზეთებისა და, საერთოდ, ყველა ბეჭდვითი გამოცემათა საქმე ფოსტის ხელში გადავიდეს. კერძო კონტრ-აგენტები ამ საქმიდან განიდევნონ.

დ) რადგანაც რაჭა-ლეჩხუმის მიმართულებით ფოსტის ეტლით გადატანა ძლიერ აგვიანებს, მოეწყოს მათი გადატანა ავტომობილებით;

ე) დაევალოს ადგილობრივ გზათა დისტანციას—მიიღოს სასწრაფო ზომები მდ. ყვირილაზე ბორანის შესაკეთებლად, რომ წყალდიდობის დროს არ შეფერხდეს ბაღდადისაკენ ფოსტის გაგზავნა; დაევალოს მასვე—მიიღოს ზომები, რომ რაჭა-ლეჩხუმის მიმართულებით გზატკეცილზე ჩამოწოლილი ზვავები არ აფერხებდეს ფოსტის გზავნას.

დანარჩენი საკითხების განხილვა სხვა დროისათვის გადაიდო.

აქ საჭიროდ ვსცნობთ აღვნიშნოთ, რომ ადგილობრივ ქუთაისის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებაში ირიცხება 139 მუშა-მოსამსახურე, რომელთა თვიური ჯამაგირი უდრის 8.709მ. 56 კაპ., მის ქვემდებარე დაწესებულებებში კი—311 მუშა-მოსამსახურეა, რომელთა თვიური ხელფასი 18.557—54 კ. შეადგენს.

დონ-ვალიანი

ქრონიკა

ამხ. შ. ელიავას გამგზავრება

17 მარტს, თბილისიდან მოსკოვში გაემგზავრა ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. შალვა ელიავა.

ამხ. თ. ღლონტის დანიშვნა

ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭომ ამხ. თედო ღლონტი დანიშნა ამიერ-კავკასიის მთავრობის მუდმივ წარმომადგენლად საბჭოთა კავშირის მთავრობასთან. ამხ. ტერ-გაბრიელიანი განთავისუფლებულია ამიერ-კავკასიის მთავრობის მუდმივ წარმომადგენლის თანამდებობიდან.

ექსკურსიები საქართველოში

საქართველოს პოლიტგანათლების მთავარ სამმართველოსთან მუშაობა განაახლა ცენტრალურმა საექსკურსიო ბიურომ, რომელიც ზაფხულის დამდეგისათვის აწყობს საექსკურსიო ბაზებს თბილისსა, ბორჯომსა, ბათომსა და ყაზბეგში. ბაზებთან მიმაგრებული იქნებიან სპეციალური ლექტორები, გამყოლები და ექსკურსიის ხელმძღვანელები.

მოწმობები სამსახურიდან გასულ მუშა-მოსამსახურეებისათვის

საქართველოს შრომის სახკომისარიატმა გააუქმა ამას წინად გამოცემული დადგენილება სამსახურიდან გასულ, ან დათხოვილ მუშა-მოსამსახურეებისათვის მოწმობების გაცემის შესახებ.

ამიერ-კავკასიის პროფსაბჭომ გაასაჩივრა ეს დადგენილება და მიუთითა შრომის სახალხო კომისარიატს, რომ სამსახურიდან დათხოვილ ან გასულ მუშა-მოსამსახურეებს მოწმობები წინანდებურად უნდა ეძლეოდეს.

თოვლი თბილისში

გუშინ, ღამის 12 საათზე, თბილისში დაიწყო თოვა. თოვდა განუწყვეტლივ დილამდი.

თბილისის აღმასკომში

◆ თესვის კამპანიის ჩასატარებლად თბილისის მაზრაში თბ. აღმასკომმა გადასდო— 12.000 მანეთი.

◆ ადგილობრივ მრეწველობის გასაძლიერებლად თბ. აღმასკომმა დაადგინა სამრეწველო ბანკიდან სესხად გამოითხოვოს 253.000 მანეთი.

◆ აბანო. ნაძალადევში აბანოს აგების საქმე გადაეცა საზოგადოება „სამშენს“. აბანო მზად იქნება დეკემბრამდე.

◆ უპატრონო სახლი. ჩირქეზიშვილის ქ. № 13 მდებარე მოქ. ჯილავდაროვის სახლი, რომელიც მოუვლელობის გამო დაზიანებულია, ცნობილი იქნა უპატრონოთ. აღმასკომმა დაადგინა სასწრაფოდ შეაკეთოს ეს სახლი.

◆ დახმარება. მანავის თემაღმასკომს თბ. აღმასკომმა თემის საჭიროებებისათვის გადაუგზავნა 1670 მანეთი.

◆ საბინაო გადასახადი. 1 მარტამდე არამშრომელ ელემენტებისაგან საბინაო გადასახადის სახით აღმასკომს შემოუვიდა 187.034 მანეთი.

ახალი წიგნები

◆ „გრდემლი“. რედაქციამ მიიღო ჟურ. „გრდემლი“-ს (ქუთაისში გამოცემული) საიუბილეო ნომერი. ჟურნალი შეიცავს 230 გვ. და ღირს 1 მან. 20 კ.

◆ რედაქციამ მიიღო ი. იმედაშვილის „უცხო სიტყვათა ლექსიკონი“ პროფ. გ. ახვლედიანის და დ. ონიაშვილის რედაქციით. გამოცემული ს. თავართქილაძის მიერ.

◆ პიესები. რედაქციამ მიიღო ტ. იაკობაშვილის პიესების წიგნი.

◆ „უმუშევარი“. [illegible] საქართველოს პროლეტმწერალთა ასოციაციისა. წიგნი შეიცავს 140 გვ., ღირს—1 მან.

◆ სახელგამის გამოცემანი—გამოვიდა და იყიდება სახელგამის შემდეგი ახალი გამოცემანი: ვ. ი. ლენინი—„სახელმწიფო და რევოლუცია“ გვ. 200. ფასი—70 კ.; ს. ამაღლობელი—„თეატრისა და კინოს პრობლემები“, გვ. 425, ფასი—3 მან.

◆ „ცაცა“. გამოვიდა და იყიდება გ. სირაძის მოთხრობა „ცაცა“, ფასი—40 კაპ.

კრებები და მოხსენებები

◆ ინჟენერ-ტეხნიკოსთა კრება. დღეს, დღის 12 საათზე პროფსაბჭოს დარბაზში შესდგება ინჟენერ-ტეხნიკოსთა კრება, რომელზედაც წაკითხული იქნება მოხსენება: „ჩვენი აღმშენებლობა და საინჟენერო-ტეხნიკურ ძალების როლი ამ აღმშენებლობაში“.

◆ საქ. სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებაში გერმანიიდან ახლად დაბრუნებული [illegible] ვლ. კალანდაძე დღეს წაიკითხავს მოხსენებას: „ჰაეროპლანების გამოყენება მავნე მწერებთან ბრძოლაში“.

◆ სვანების კრება. დღეს საღამოს 6 ს. თბ. აღმასკომის შენობაში შესდგება თბილისში მყოფ სვანების საერთო კრება.

◆ სანიტ.ჰიგიენის ინსტიტუტში დღეს საღამოს 6 ს. შესდგება სამკურნალო ფაკულტეტის სტუდენტთა სამეცნიერო წრის სხდომა, რომელზედაც გ. კვიტაშვილი წაიკითხავს მოხსენებას: „კეთრის საკითხისათვის“.

სხვადასხვა

◆ სკოლის გარეშე განათლების მუშაკთა სახლში დაიწყო საბავშვო ბიბლიოთეკებში მუშაობის სემინარები.

◆ ჩაუბარებელი დეპეშები. ბოგოროდიცკოდან — სალუქვაძეს, სიმფეროპოლიდან — არუთინიანს, ესენტუკიდან — პილეცკის, ნატანებიდან — მამუკაიშვილს, ბულკანიდან—მირზაევს, ლენინ-ჰოვანიდან — მონიავას, ბაქოდან — აგაბაბოვს, აბასთუმანიდან — კანდელაკს, მოსკოვიდან — ცინცაძეს, იქიდანვე— ყუფაძეს.

შემთხვევები

სულემის ხსნარი წამლის მაგიერ

გუშინ, დღისით, ვარდანუშა მისაკის ასულ კამარიანცმა (მცხ. ხართოველის ქ., № 36), წამლის მაგიერ შეცდომით დალია ერთი ჩაის კოვზი სულემის ხსნარი.

კამარიანცის ქალი სიკვდილს გადაარჩენეს.

უცაბედათ დაჭრა

გუშინ, დღისით, შურა არტემევამ (მცხ. ორჯონიკიძის ქ., 7), „ბრაუნინგის“ რევოლვერით უცაბედათ დაჭრა თავში შურიკა შახმაზოვი (სამი წლისა).

შახმაზოვის ბავშვი გადაგზავნეს საავადმყოფოში. შემთხვევის ადგილზე გამოცხადდა გამომძიებელი დ. აბაშიძე.

კვლევა-ძიება გრძელდება.

სახლის ჩამონგრევა

გუშინ. დღისით, ჩამოინგრა ვიფლეემის ჩიხი, 6-ში მდებარე სახლის კედლები. ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა.

ქურდობა

მოქ. ზაქარია ურთუკაშვილის ბინის (ლენინის ქ., 18), გაქურდვის ცდისათვის მილიციამ დააპატიმრა ივანე ტროფიმესძე სემდელოვი.

— გუშინწინ, ღამით, წყალსადენის შენობიდან (ორჯონიკიძის ქ., 7), 19 ცალი მინის მოპარვისათვის დააპატიმრეს ვასილ ულიაზაშვილი.

ფანჯრიდან მინის ამოღების საშუალებით გაქურდეს ნინო ოდელაშვილის ბინა (წითელი ქ., 13), წაიღეს 123 მანეთის ნივთები.

სასამართლო

„ქრისტიანი“ ლეზინი

დღეს ს. ორჯონიკიძის სახელობის კლუბში დაიწყება საჩვენებელი პროცესი.

პროლეტარულ სამსჯავროს წინაშე წარსდგება თბილისის „ევანგელისტ-ქრისტიანების საზოგადოების“ დამაარსებელი ვ. ლეზინი.

ლეზინი იყო „ქრისტიანების“ საზოგადოების სული და გული. ის ეწეოდა ქრისტეს მოციქულის მაგიერობას საზოგადოების წევრებს შორის, ქადაგებდა ეკლესიაში, ხელმძღვანელობდა მგალობელთა გუნდს და „ამზადებდა“ ახალგაზრდობას სამოთხის „საპატიო წევრებად“.

განსაკუთრებულ „მზრუნველობას“ იჩენდა ლეზინი ახალგაზრდების მიმართ. როცა მისი ლაყბობა ახალგაზრდებზე გავლენას არ ახდენდა, ლეზინი სხვა ხერხს მიმართავდა ახალგაზრდების „თავის გარშემო შემოსაკრებად“: მიჰყავდა ისინი კინოში, ასმევდა მაგარ სასმელებს, უყიდდა ტკბილეულს და ამრიგად ინარჩუნებდა „მიმდევართა“ ერთგვარ კადრს.

საზოგადოების წევრები „წმინდანად“ უპირებდენ ლეზინს ჩარიცხვას, მაგრამ ერთმა გარემოებამ შეაფერხა ეს საქმე: ლეზინს შეესწრეს, როცა თავის მიმდევარ ახალგაზრდა „[illegible]“ [illegible].

— „ღმერთი“ სულგრძელია, მაპატიებს, სან[illegible] დაუნთებ და [illegible] ვინანიებ ცოდვას,— [illegible] ლეზინი.

[illegible] საქმის გამოძიება და გამოირკვა, რომ ლეზინს არა ერთი და ორი ახალგაზრდა [illegible].

ლეზინი დღესაც იმეორებს, რომ ღმერთი [illegible] და [illegible] „სასუფეველსა მისცემს“.

[illegible] ლეზინი „[illegible] განწყობილება“ [illegible].

[illegible] ჩვენი სასამართლოს წინაშე აგოს პასუხი [illegible] და შემდეგ [illegible] საქმე [illegible] უნდა, გინდ ღმერთი და გინდ [illegible].

პროცესი დაიწყება დილის ათ საათზე. სასამართლოს შემადგენლობა: თავმჯდომარე—ხარაბაძე, სახალხო მსაჯულები: ნასყიდაშვილი და ესებუა, პროკურორი—ჯანჯღავა, მდივანი —დ. ხუბუა.

არ შორდება გამსახლს

დაეით ნესტორის ძე მახარაშვილი გამსახლის მუდმივი „სტუმარია“. მას ხანგრძლივად [illegible] იქ დარჩენა.

ჯერ იყო და 1926 წლამდე სამ წელზე მეტი დაჰყო გამსახლში სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენისათვის.

1926 წლიდან მოყოლებული ყოველ „გამორტებაზე“ ისე მოაწყობს მახარაშვილი საქმეს, რომ სამი ოთხი თვით უსათუოდ ინახულებს თავის ამხანაგებს გამსახლში.

1926 წლის მარტში მახარაშვილი გამასწორებელ სახლში იჯდა ხულიგნობისათვის.

ოჯახური საქმების მომიზეზებით მახარაშვილმა ითხოვა 24 საათის თავისუფლება ოჯახის სანახავად.

მისცეს მახარაშვილს ოცდაოთხი საათის თავისუფლება და თან გამოაყოლეს მცველი.

წარმოიდგინეთ, ამ ოცდაოთხი საათის განმავლობაშიაც მოასწრო მახარაშვილმა ისეთი საქმის ჩადენა, რომ 6 თვით კიდევ გაუგრძელეს „შვებულება“ გამასწორებელ სახლში.

ეხლა ორი კვირის გამოსული იყო მახარაშვილი გამსახლიდან.

ორი დღის წინად დაითვრა თავის ტოლამხანაგებში და მთვრალი გამოვიდა პლეხანოვის პროსპექტზე.

მას თან ახლდა მისივე ამხანაგი ვინმე კოკნაძე.

მახარაშვილს შემოხვდა შეზარხოშებული კამპანია: მარტიროსოვი, მათიოსოვი და მატინოვი.

მათიოსოვმა და კოკნაძემ იცნეს ერთმანეთი და გადახვიენ ერთმანეთს.

ეს ხუმრობა საწყენად მიიღო არამკითხე მახარაშვილმა და საცემად გაიწია მათიოსოვისაკენ.

ჩამოდგნენ მოზავეები. მარტიროსოვმა დააკავა დაკაპიწებული მახარაშვილი.

მახარაშვილმა იძრო დანა და მაზავებელს ჩაარტყა ზურგს ქვევით. მსუბუქად დაჭრილმა მარტიროსოვმა ხელი გაუშვა მახარაშვილს.

მახარაშვილს ხელის შემშლელი არავინ ჰყავს.

ისკუპა და გადახტა მათიოსოვისაკენ,

ის იყო უნდა გაერტყა, რომ მათიოსოვმა ფეხი ჰკრა მუცელში. ორივე მოჩხუბარი გაიშხლართა მიწაზე.

მილიციელმა ორივე წაქცეული ნახა ქუჩაზე.

მახარაშვილი ისევ საბრალდებლო სკამზე მოხვდა, საიდანაც 4 თვით კვლავ „მიევლინა“ გამასწორებელ სახლში.

ვერ.

ორშაბათს 19 მარტს, საღამოს 6 საათზე

მოწვეულია

საბჭოს შემდეგი სექციების სხდომა

სექციებზე მიმაგრებულ აქტივთან ერთად

1. **კომუნალური** მუშათა თეატრში (ქორესის ქ.)
   - დღის წესრიგი:
   - 1. „ტელას“-ის მოხსენება მუშათა რაიონების განათების შესახებ.
   - 2. საბჭოს სექციების მუშაობის შემოწმების შედეგები (აღმასკომის ორგგანყოფილების ცნობა).
   - 3. მიმდინარე საკითხები.
2. **სახალხო-განათლების**—განათლების მუშაკთა სახლში, ფურცელაძის ქ. № 3 (ყოფ. კალოუბნის).
   - დღის წესრიგი:
   - 1. ბიუროს ანგარიში და შემდეგი მუშაობის გეგმის განხილვა.
   - 2. საბჭოს სექციების მუშაობის შემოწმების შედეგები (აღმასკომის ორგანყოფილების ცნობა).
   - 3. მიმდინარე საკითხები.
3. **სახალხო ჯანმრთელობის**—საბჭოს წითელ დარბაზში.
   - დღის წესრიგი:
   - 1. სამალარიო დისპანსერისა და პროფილაქტიური სკოლის მუშაობის შესახებ.
   - 2 სექციის ბიუროს გადარჩევა.
   - 3. მიმდინარე საკითხები.
4. **საფინანსო-სამრეწველო**—საბჭოს წითელ კუთხეში—შესავალი (ყოფ. ველიამინოვის ქ.
   - დღის წესრიგი:
   - 1. ქარხანა „თემქა“-ს შესახებ (კომისიის მოხსენება).
   - 2. მიმდინარე საკითხები.
5. **სავაჭრო-კოოპერატიული**—პროფსაბჭოს მცირე დარბაზში.
   - დღის წესრიგი:
   - 1. კოოპერატიულ სასადილოების გამომკვლევი კომისიის მოხსენება.
   - 2. „ტიფტორგზე“ მიმაგრებულ კომისიის მოხსენება.
   - 3. მიმდინარე საკითხები.

ნ. 800. **თბილისის საბჭოს პრეზიდიუმი.**

ხელოვნება

სახელმწიფო აკადემიური ოპერა

„ლატავრა"

მუს. ზ. ფალიაშვილის,—ლიბრეტო ა. შანშიაშვილის, დადგმა—ა. ახმეტელის.

„ლატავრას" მოველოდით, როგორც მონუმენტალურ ფორმებში ჩამოყალიბებულ მიღწევას ქართულ მუსიკის სფეროში, მაგრამ იმან, რაც ჩვენ ვნახეთ 16 მარტს, ვერ გაამართლა ვერც ჩვენი იმედი, ვერც თვით კომპოზიტორის, დამდგმელის და ოპერის შემადგენლობის მიერ ამ ოპერაზე გაწეული დიდი შრომა. მიუხედავად იმისა, რომ კომპოზიტორის მიერ გამოყენებულია ყველა ის თავისებურობა, რაც მას მიაჩნია უფრო საყურადღებოდ თანამედროვე ქართულ მუსიკაში,—მაგ., თავისივე ოპერებიდან „აბესალომიდან" და „დაისიდან" დამახასიათებელი მუსიკალური ფრაზები, დ. არაყიშვილის ზოგიერთი მანერა სასიმღერო ფრაზის აშენებისა, მ. ბალანჩივაძის მიერ მიღებული დანაწილება სიტყვისა რეჩიტატივებში, ვ. დოლიძის მიერ ფანფარების (საყვირების) გამოყენება,—მიუხედავად ამისა, „ლატავრა" ვერ სტოვებს მთლიან მხატვრულ შთაბეჭდილებას.

ამის მიზეზად ჩაითვლება უთანასწორო განაწილება სასიმღერო ადგილებისა, გუნდისა და მსახიობთა შორის, გუნდის უპირატესობა ყველა მოქმედებებში. ვინაიდან ამ მოვლენასთან არ არის დაპირდაპირებული მსახიობთა სასიმღერო ადგილების სიმძლავრე. შინაარსის გაღრმავება და მუსიკალურ მოხაზულობის გამომეტყველება. მსახიობები იჩრდილებიან და მათ შემოქმედებაში უმთავრეს როლს თამაშობს არა მუსიკა, არამედ სიტყვა. დინამიური გაქანება თვით მუსიკაში მოკლებულია ლოღიკურ საფუძველს და აშენებულია არა ბგერათა მოხაზულობის განვითარებაზე, არამედ ხმოვანების და გამახმაურებელ ინსტრუმენტების მოხმარების გაძლიერებაზე. ხმოვანების გაძლიერება კი, როგორც ვიცით, დინამიურ ზრდას არ ბადავს და ჩაითვლება მხოლოდ ამ დინამიურობის სუროგატად. ამის და გამო, წარმოდგენის დროს—დრამატიული განვითარება არსებობს მხოლოდ სცენაზე. მუსიკა კი მიმდინარეობს ამ განვითარებისაგან დამოუკიდებლად. სწორედ ამით არის გამოწვეული ის გაუგებრობა, რომელსაც ბადავს, მაგალითად, რატის არია მე-3 მოქმედებაში: რატი შეპყრობილია სინანულის გრძნობით და ყოველი მისი სიტყვიერი ფრაზა აღნიშნავს ამ სინანულის გაღრმავებას; ყოველი მუსიკალური ფრაზა კი ამ ადგილებში იწყება მწუხარე მინორის წყობაში და მთავრდება ღია მაჟორის წყობით, რაც მუსიკალურ ენაზე აღნიშნავს დარდის გაქარწყლებას და არა გაღრმავებას. მეორე მაგალითს წარმოადგენს შეთქმულობის სცენა მეოთხე მოქმედებაში, სადაც იარაღით ფიცის მკაცრ მნიშვნელობას უკავშირდება ორკესტრში მცირე ფლეიტას (პიკკოლის) მიერ ხაზგასმული პოლონეთის საცეკვაოს (მაზურკას) მაგვარი მოხაზულობა და რითმი. ამისთანა შეუთანხმებლობა ოპერაში მრავალია. ეს სრულებით არ ნიშნავს, რომ ეს ადგილები ყურთასმენისათვის მოკლებულია სილამაზეს, მაინც თანამედროვე მუსიკალურ დრამისათვის ულამაზო, მაგრამ დამახასიათებელი ადგილები უფრო მნიშვნელოვანია, ვინემ ლამაზი და დრამატიულ განვითარებისაგან დაშორებული, რაც შეეხება ლამაზ ადგილებს, ასეთები უხვად მოიპოვება ოპერა „ლატავრაში" და ახდენენ კარგ შთაბეჭდილებას, რომ არ ყოფილიყვენ რითმიულად და მოხაზულობით ერთფეროვანნი. საუკეთესოდ ოპერაში უნდა ჩაითვალოს გუნდის სასიმღერო ადგილები, დამყარებული ხალხურ შემოქმედების საფუძველზე.

ოპერის დადგმა არის თვალისათვის ფრიად მიმზიდველი, მაგრამ სავსეა ყოველნაირ ლიაპსუსებით. მასში, კონსტრუქტივიზმს და მის მეტოქეს, რეალიზმს, ორივეს უპოვნია ადგილი. ქართული და არაბული სტილი გადატანილია ინდოეთში, ინდოეთის მოცეკვავენი ასრულებენ ოსმალურ „მუცლის" ცეკვას და „ფრაკში", თეთრ ხელთათმანებში და „ცილინდრში" გამოჭიმული ინგლისელი ჩიმბერლენის გრიმით მღერის ქართულ სიმღერებს (ინკუბუსი), სიმბოლიზმისაკენ გადახრა (მზესთან ვოდება. ინკუბუსი. სცენა ლახვრებით და სხვ.) და კონსტრუქტივიზმი საერთოთ ვერ განხორციელდებიან. ჩვენის აზრით, რეალიზმის თანდართვით. ზემოხსენებულის გარეშე, დადგმის მონუმენტალური ხასიათი მატარებელია ა. ახმეტელის და მხატვარ ი. გამრეკელის მიერ გაწეულ აუარებელ შრომისა. ამასთანავე შრომა მოსჩანს ყველა მონაწილე მსახიობთა შემოქმედებაში, მაგალითად, დანილიანისა (ლატავრა), ვოლჩანეცკისა (ნანო), მესნიაევისა (ენგიჩარი), ქუმსიაშვილისა (რატი), ქურხულის (გურამ) და სხვ.

ოპერას დიდის ოსტატობით ლოტბარობდა ი. ფალიაშვილი.

კოტე მეღვინეთ-უხუცესი.

ქუთაისის თეატრში

„რღვევა"

ქუთაისის საზოგადოება დიდი ხანი მოუთმენლად ელოდა ამ პიესის დადგმას.

ეს გარემოება რეპერტუარის გადახალისების აუცილებლობითაც იყო გამოწვეული.

წარმოდგენის (ორის ზედმიყოლებით) ბილეთები რამდენიმე დღით ადრე იყო გაყიდული.

შაბათს, 10 მარტს, პირველად დაიდგა ხსენებული პიესა ჩვენს თეატრში.

დარბაზი გაჭედილი იყო ხალხით.

თუ მივიღებთ მხედველობაში ქუთაისის თეატრის ტეხნიკურ ჩამორჩენილობას, სცენის სივიწროვესა და არ ვიანგარიშებთ ერთგვარ მხატვრულ ლიაპსიტებს (არ იყო ზღვისა და მიმავალი გემის ილიუზია. მართალია ჩატარდა მეზღვაურთა მასიური სცენა-კრება უკანასკნელ მოქმედებაში)—წარმოდგენა დამაკმაყოფილებლად ჩაითვლება.

საერთოდ სჩანდა კეთილსინდისიერი მუშაობა, ნიჭი, და შემსრულების უნარიანობა, თუ კი ვაპატიებთ ზოგ მსახიობს როლის ზეპირად არ ცოდნას.

კერძოთ მსახიობთაგან აღსანიშნავია **ნ. ჩხეიძე**. მან დაფიქრებითა და სათანადო სიდინჯით ჩაატარა ტატიანა ბერსენევის როლი, უნაკლოდ განასახიერა შინაგანი ბრძოლით შეპყრობილი ქალი, რომლის არსებაში იბრძვის ორი საწყისი.

კარგი იყო ქსენია ბერსენევის როლში **ნ. მაჭავარიანი**.

ა. ლითანიშვილმა სავსებით შეიგნო თავისი როლი (ბერსენევი—გემის უფროსი) და სწორათ ჩაატარა იგი—განსაკუთრებით უკანასკნელ მოქმედებაში. კარგათ გადმოგვცა მოხუცი მიტროს როლი **არაბიძემაც**. საზოგადოთ ასეთი როლები (მოხუცის, მოხელის) ეხერხება ამ მსახიობს.

მეტი სიმტკიცე და ავტორიტეტი უნდა განეხორციელებინა ი. ზარდალიშვილს (გემის კომიტეტის თავმჯდომარე—გოდუნი).

უფრო კარგი უნდა ყოფილიყო (და ამას საბუთიანადაც მოველოდით მისი ნიჭის მიხედვით) მ. გელოვანი (ლეიტენანტი).

როლებს დაფიქრებით ასრულებდენ **გ. კოშკაძე** (პოლკ. იარცევი) და **შ. ინასარი** (პოროშ. პოლევოი), თუმცა მათ სასაყვედუროთ უნდა ითქვას, რომ გრიმისათვის არ მიექციათ სათანადო ყურადღება.

დანარჩენები მთელს მონდომებით ხელს უწყობდენ სცენაზე პიესის განვითარებასა და კარგად ჩატარებას.

ფ. ხტოელი.

ხელოვნების ქრონიკა

„თანამედროვე ლიტერატურა"

სამშაბათს, 20 მარტს საღამოს 6 ს. სახელმწიფო უნივერსიტეტის კლუბში შესდგება სიტყვიერების დარგთან არსებულ ლიტერატურულ წრის საჯარო სხდომა, რომელზედაც დავით რონდელი წაიკითხავს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „საბჭოთა საქართველოს თანამედროვე ლიტერატურა".

კამათში გარდა ადგილობრივ ძალებისა, მონაწილენი არიან: ამხ. სერგო ამაღლობელი, ბ ბუაჩიძე; შ. დუდუჩავა; ტიციან ტაბიძე; ვ. ლუარსაბიძე; ვ. მაჭავარიანი; შ. რადიანი, ბ. ჟღენტი; ს. ჩიქოვანი და სხ.

◆ **მომღერალ გლეხთა კონცერტი** რუსთაველის საკონცერტო დარბაზში დღეს ვ. ეპიტაშვილის ხელმძღვანელობით გაიმართება გარე-კახელ მომღერალ გლეხთა დიდი საღამო-კონცერტი.

◆ **კომკავშირელ მწერალთა წრეში.** დღეს საღამოს 6 საათზე გაზ. „ახალგ. კომუნისტი"-ს ბინაზე შესდგება კომკავ. მწერალთა წრის მორიგი კრება, რომელზედაც ამხ. ფრ. ნაროუშვილი წაიკითხავს მოხსენებას: „კომკავშირული მწერლობა".

◆ **„ლატავრა".** ოპერის თეატრში დღეს მეორეთ წარმოდგენილი იქნება ზ. ფალიაშვილის ახალი ოპერა: „ლატავრა".

◆ **ამხ. კახიანის** სახელობის მუშფაკში დღეს დღის 10 ს. პ. ქიქოძე წაიკითხავს თავის მოხსენების გაგრძელებას: „ლენინიზმის და ტროცკიზმის ბრძოლა კულტურა-ხელოვნების პრობლემებში".

◆ **კონსერვატორიის დარბაზში** 19 მარტს გაიმართება კონსერვატორიის სტუდენტთა მეექვსე ღია საღამო.

რადიოფიკაცია

რაჭის მაზრაში

პოლიტგანათლების მთავარ სამმართველოს მიერ მიღებული ცნობებით, რადიოფიკაციის მხრივ საქართველოს სხვა კუთხეებს შორის ერთი პირველი ადგილი უჭირავს რაჭის მაზრას. დღემდე მაზრაში დადგმულია 25 რადიო სადგური ხმამაღლა მოლაპარაკე აპარატებით. სადგურები დადგმულია შემდეგ თემებში: ზნაკვასა, ხოტევსა, ნიკორწმინდასა, ნამანევსა, სადმელსა, ხვანჭკარასა, წესსა, სხვავსა, ღებსა, უწერასა, ონსა (ორი), ზვარეთსა, ცხმორისა, ჭიორსა, ამბროლაურსა, პატარა-ონსა, ჭელია-ღელესა, საკაოსა და სხვა თემებში. მოკლე ხანში რადიო-მიმღები სადგურები დაიდგმება—ბუგეულსა, თლუხსა, ახალ სოფელსა და ჯვარისაში. ორი-სამი სოფლის გამონაკლისით, რადიოები ყველგან მოთავსებულია საკლუბო, ან სამკითხველოს შენობაში, რომელიც ყოველ საღამოობით სავსეა ადგილობრივი და ახლო-მახლო სოფლებიდან მოსული გლეხებით, მათ შორის, ბევრია ქალები და ბავშვები. გადმოცემის შეჩერების შემდეგ სათანადო ახსნა-განმარტებებს აძლევს დამსწრე გლეხობას კლუბის ან სამკითხველოს გამგე.

აღსანიშნავია, რომ რადიო-სადგურები მოწყობილია თვით ადგილობრივ მოსახლეობის თაოსნობით. უმრავლეს შემთხვევაში ფული რადიო-სადგურების მოსაწყობად შეგროვილ იქნა ერთიმეორის გამოწვევით ადგილობრივ კედლის გაზეთის საშუალებით. განსაკუთრებით დიდი ხალისით მოეკიდენ ამ საქმეს ქალები. ჯერ-ჯერობით სადგურები უზრუნველყოფილია რადიო-ბატარეებით, მაზრის პოლიტგანი ზრუნავს, რომ დაცლილი ბატარეები თავის დროზე შეავსოს ახალით.

ახალი ინჟინერები

ამ დღეებში ლენინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის სატრანსპორტო-საექსპლოატაციო ფაკულტეტის პროფესორის და სტუდენტების დელეგაციამ, ფაკულტეტის დეკანის პროფ. ზავრიევის მეთაურობით ინახულა ა.-კ. რკინის გზების გამგეობის თავმჯდომარე ვ. პ. პოზდეევი.

დელეგაციამ პოზდეევს გააცნო ფაკულტეტის მუშაობა. როგორც გამოირკვა, მიმდინარე წლის აპრილში მოხდება ექსპლოატაციის ინჟინერების პირველი გამოშვება.

ამხ. პოზდეევმა დელეგაცია დაარწმუნა, რომ ყველა ინჟინრები, რომლებიც გაათავებენ ინსტიტუტს აპრილში, თავისი სპეციალობის მიხედვით გამოყენებული იქნებიან ა.-კ. რკინის გზებზე.

ამასთანავე ამხ. პოზდეევი დაპირდა დელეგაციას, რომ იგი მომავალშიაც აღმოუჩენს ფაკულტეტს ყოველგვარ დახმარებას, რაც ხელს შეუწყობს ტრანსპორტისათვის საჭირო სპეციალისტთა ახალ კადრების მომზადებას.

რადიო-გადაცემა

კვირა, 18 მარტი

დღეს, 18 მარტს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 870 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

პიონერთა გაზეთი; საუბარი აგრონომიაზე; რემდასის ხუთი წლისთავი და პარიზის კომუნის 57 წლისთავი; სუნ-იატ-სენის როლი ჩინეთის რევოლიუციაში; მოხსენება საგლეხო სესხზე; კონცერტის ტრანსლიაცია რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზიდან; ობსერვატორიის ცნობები; ტეხნიკური კონსულტაცია; პასუხი რადიოს მოყვარულთა წერილებზე; ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია.

ორშაბათი, 19 მარტი

კავშირი სკოლებსა და მოსახლეობის შორის; დედოფლის დაცვის საკითხები; საქართველოს სამთო სიმდიდრენი; საუბარი რადიო-ტეხნიკაზე; მოხსენება „ორუზის დღესასწაული"—თურქულ ენაზე; კომკავშირის გაზეთი; კონცერტის ტრანსლიაცია სახელმწიფო კონსერვატორიის დარბაზიდან; ობსერვატორიის ცნობები; ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია.

ჭადრაკი

საჭადრაკო წრეების საერთო კრება

გუშინ, საღამოს 7 საათზე, პროფსაბჭოს დიდ დარბაზში შესდგა საჭადრაკო წრეების საერთო კრება. კრებას თავმჯდომარეობდა ამხ. ქრონზერი.

საჭადრაკო წრეების მუშაობის შესახებ საინფორმაციო მოხსენება გააკეთა ამხ. ერისთავმა. პროფკავშირების საჭადრაკო წრეთა 1928 წლის მასიური ტურნირის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. გოგლიძემ. კრების მიერ განსაზღვრულ იქნა ტურნირის მონაწილეთა რიცხვი და განხილულ იქნა სხვა ტეხნიკური საკითხები.

მასიური ტურნირის პირველი ტური შესდგება მუშათა ახალ კლუბში ორშაბათს, 19 მარტს.

რკინისგზელების მასიური საჭადრაკო ტურნირი

კვირას, 18 მარტს, ორჯონიკიძის სახელობის კლუბში გაიხსნება რკინისგზელების მასიური საჭადრაკო ტურნირი, რომელშიაც მონაწილეობის მიღება შეუძლია რკინის გზის კავშირის ყველა წევრებს. ტურნირში მონაწილეობის მისაღებათ ჯერ-ჯერობით ჩაწერილია 150 კაცი.

მადლობა

სახელმწ. უნივერსიტეტისაგან

გთხოვთ მოათავსოთ თქვენი გაზეთის უახლოეს №-ში შემდეგი: „თბილისის სახ. უნივერსიტეტი ღრმეს მადლობას უცხადებს მ. ბალანჩივაძეს, კ. ფოცხვერაშვილს, კ. მარჯანიშვილს, სიდამონ-ერისთავს, ფალიაშვილს დოლონაძეს, ინაშვილს, ნ. ქუმსიაშვილს, დანელიანს და სხვებს, რომელთაც თავისი მონაწილეობით ხელი შეუწყვეს უნ-ტს 10 წლის იუბილეს ზეიმობის წარჩინებით ჩატარებას.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

ხვალ ორშაბათს, 19 მარტს, თბილისის შრომის ბირჟაში გამოძახებულია შემდეგი უმუშევრები: მედიკურ მუშაკთა სექციიდან: [illegible]; თამარ მოსეშვილი-შიუკაშვილისა, [illegible]შვილი-ყორჩიბაში; სოფიო მილიევსკაია; კრასლავსკაია; ბარბარე ხიდირბეგოვა და [illegible] გაბისოვა.

შრომის ბირჟის მუშაობა თებერვალში

თბილისის შრომის ბირჟის მედსექციამ მიმდინარე წლის თებერვლის განმავლობაში სამუშაოზე გაგზავნა 52 მომვლელი ქალი, 5 ექიმის თანაშემწე, 17 სანიტარი, 10 მოწყალების და, 4 აფთიაქის მუშა, ერთი კბილის ტეხნიკი, 9 [illegible], ერთი ბებია და ერთი ბებია-ექიმის თანაშემწე.

მოთხოვნილება მედპერსონალზე

შრომის ბირჟის მედსექცია უმუშევართა საყურადღებოდ აცხადებს, რომ მიღებულია დასტურით მოთხოვნილება მედპერსონალზე. საქართველოს რესპუბლიკის სხვადასხვა მაზრადან:

თბილისის ჯანმრთელობის განყოფილებას ესაჭიროება: ს. [illegible]ერამლოსათვის—ექიმი-ტერაპევტი; სოფელ წალკისათვის—ექიმი-ტერაპევტი, [illegible]რუტისათვის—ექიმი-ტერაპევტი, ირაგოსათვის—ექიმი-ტერაპევტი, ნორიოსათვის—ექიმი-ტერაპევტი.

გურიაკალის საავადმყოფოსათვის საჭიროა ექიმი-ვენეროლოგი, გინეკოლოგი-ქირურგი და თვალის ექიმი; თიანეთის საავადმყოფოსათვის ვენეროლოგი.

ახბულაღის საავადმყოფოსათვის—გინეკოლოგი-ქირურგი.

თბილისის მაზრისათვის საჭიროა აგრეთვე 2 სანიტ. [illegible] ექიმი.

კონკურსი

თბილისის [illegible] ჯანმრთელობის განყოფილება აცხადებს კონკურსს შემდეგ საშტატო თანამდებობებზე:

1) ექიმი, რომელიც გაცნობილი უნდა იყოს სანიტ. და კომუნალურ სანიტარიას, ჯამაგირი—120 მან.

2) საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ამბულატორიის გამგე, რომელმაც უნდა იცოდეს ქართული ენა, ჯამაგირი—88 მანეთი.

იმ პირებს, რომლებსაც სურს კონკურსში მონაწილეობის მიღება განცხადება უნდა შეიტანონ ჯანმრთელობის განყოფილებაში ([illegible] ქ. № [illegible]).

საკონკურსო კომისიის სხდომა შესდგება 29 მარტს, შუადღის 12 საათზე, ჯანმრთელობის განყოფილების შენობაში. დაწვრილებით ცნობების მისაღებად მსურველმა უნდა მიმართოს თბილისის შრომის ბირჟის მედსექციაში ამხ. [illegible].

უმუშევართა საყურადღებოთ

ქალ. ჭიათურაში სამუშაოს შოვნის იმედით სხვადასხვა ადგილებიდან მოდიან მრავალი უმუშევრები.

[illegible] პროფკავშირის ცენტრალური გამგეობა აცხადებს, როგორც კავშირის წევრთა, აგრეთვე არა წევრ უმუშევართა საყურადღებოთ, რომ ჭიათურის შავი ქვის მრეწველობაზე სამუშაოზე მიღება შეჩერებულია, ამიტომ უმუშევრებმა თავი უნდა შეიკავონ ქ. ჭიათურაში ჩამოსვლისაგან.

იურიდიული რჩევა-დახმარება

მანია მირზაშვილს

კითხვა

ჩემი ქმარი მსახურობს პროვინციაში, როგორც ავათმყოფი მე ზოგჯერ მივდივარ ქმართან, და ზოგჯერ ვიმყოფები თბილისში, ჩემს ბინაზე. სახლის გამგეობა ძალას მატანს, რომ ოთახი დავცალო. ქირას ვიხდი წინდაწინვე.

მე თვითონ ვარ გემო-კვების მუშათა კავშირის წევრი. როგორ მოვიქცე?

პასუხი

თუ თქვენ ცხოვრობთ ქმართან მის სამსახურის ადგილზე, თბილისში კი ხანდახან ჩამოდიხართ, შესაძლებელია ბინიდან იქნეთ გამოსახლებული.

ისაკა ათაბეგაშვილს

კითხვა

ვარ რკინის გზის მუშა და სოფ. ყანდაურში მაქვს სამოსახლო ადგილი 160 ოთხ. საჟ., ერთ ოთახიანი სახლი, და მასთან ნახევარი დესეტინა სახნავი. სოფელთან არა მაქვს შეწყვეტილი კავშირი. ასეთ პირობებში სოფელს განზრახული აქვს ეს მიწა ჩამომართვას. გეკითხებით, აქვს თუ არა უფლება ამ მიწის ჩამორთმევისა?

პასუხი

თუ თქვენი მიწის ნაკვეთი ნახევარ ნორმას არ აღემატება, მიწას ვერ ჩამოგართმევენ. მაგრამ ნახევარი ნორმის ზევით მიწის ჩამორთმევა კანონიერია თანახმად მიწის კოდექსის 57 უხ.

X-ს.

კითხვა:

მაზრაღმასკომიდან ვიღებთ ათი თვის განმავლობაში სტიპენდიას, როგორც სტუდენტი სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტზე. სტიპენდიის დანიშვნის დროს აღმასკომმა ჩამომართვა ხელწერილი, რომლის თანახმად ათი თვის სტიპენდიისათვის უნდა ვიმსახურო ორი წელიწადი, რამდენი ხანი ვარ ვალდებული ვიმსახურო?

პასუხი:

ყოფილი სახელმწიფო სტიპენდიანტის სავალდებულო სამსახურის ვადა კანონით უნდა უდრიდეს იმ ვადას, რომლის განმავლობაშიც იგი იღებდა სტიპენდიას (კან. კრ. 1927 წ. № 2 მუხ. 37 დადგენილების მე-4 მუხ.) შეთანხმება ამ ვადის გადიდების შესახებ ბათილად უნდა ჩაითვალოს.

მ. ხუხუნაიშვილს

კითხვა

ვარ კავშირის წევრი; სახლის პატრონს გამოყვანილი ჰყავს ზაგესის ელექტრონის ენერგია, რომლითაც ვსარგებლობ მეც; რამდენი უნდა გადავიხადოთ თვეში ელექტრონის ენერგიის სარგებლობისათვის 50 სანთლიან სანათურზე.

პასუხი

უნდა იხადოთ 1 მანეთი თვეში.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) ცეკას სააღრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება წინადადებას აძლევს ამხ. დავით როსტომაშვილს ორი დღის ვადაში გამოცხადდეს განყოფილებაში (ოთახი № 43) ამხ. ლიცინოვთან.

ორშაბათს, 19 მარტს, საღამოს 6 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში (ოთახი 10). შესდგება საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მიმღებ კომისიის მორიგი სხდომა.

სავალდებულოა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: რობერტ იაკობისძე როიზერი, პავლე სოლომონისძე თაქთაქიშვილი, მიხეილ იოსებისძე ფათარკაშვილი, ისაკ გიორგისძე მიქელაძე, სერგო გიორგისძე დავითაშვილი, ერიკა ალექსანდრესძე საყვარელიძე, კონსტანტინე მაქსიმესძე ცინცაძე, სუმბათ არუთინისძე დანიელიანი, დიმიტრი ნიკოლოზისძე კოტეტიშვილი, გრიგოლ სერგოსძე ალავიძე, ქეთევან ზარასის ასული ძიგრაშვილი, ალექსანდრე ვარტანისძე სარქისოვი და ასლან აირაპეტისძე გრიგორიანი.

ორშაბათს, 19 მარტს, დღის 2 საათზე, შესდგება **სახ. უნივერსიტეტის** პოლიტეხნიკურ ფაკულტეტის ახ. ლ. კ. კ. უჯრედის ბიუროს სხდომა,

წევრებისა და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა, აგრეთვე უნდა გამოცხადდენ ამხ. დავით კაკაბაძე, შალვა გვიჩია, გაიოზ ედილაშვილი, ნიკიფორე სამსონია, შალვა ჭიჭინაძე, მიხეილ შინგელია და ის ამხანაგები, რომელთაც შემოტანილი აქვთ განცხადებები

სახ. უნ. სამკ. ფაკულ. არსებულ ახ. ლ. კ. კ უჯრედის ბიუროს სხდომა შესდგება ორშაბათს, 19 მარტს, საღამოს 5 საათზე, უნდა გამოცხადდენ: სიმონ - გულოვი, გელაშვილი ბარბალე, ჯაფარიძე აკაკი, მუჯირი ნიკოლოზ, ყუსელი იოსებ, მთვარელაძე შ., სირბილაძე. ამასთანავე უნდა გამოცხადდენ ის ამხანაგები, რომელსაც განცხადებები აქვთ შემოტანილი. ამავე დღეს, საღამოს 7 საათზე შესდგება პოლიტწრის მეცადინეობა. დასწრება ყველა წევრთა და კანდიდატთა სავალდებულოა.

დამწუხრებულნი რძალი მარიამი შვილებით; ნადია, ლუბა, ეთერი, ეკატერინე, თამარი და ელენე, ს ძეები გიორგი მაჭარაშვილი და ვალერიან ლოლაძე აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს პირველის საყვარელი მაზლის და მეორეთა ბიძის

იოსებ იოსების-ძე
გველესიანის

გარდაცვალებას. დაკრძალვა სამშაბათს, 20 მარტს, ნაშუადღევის 4 საათზე. გამოსვენება ალექსანდრეს ქ. № 28. 1—1 (შ)

თბილისის სახელმწ ფო უნივერსიტეტის სტუდენტები ვ. კიკნაველიძე, ვ. ჰანტურია, მ. სილაგაძე, შ. ჯობავა, ბ. ცომაია, დ. დუდუჩავა, მ. ჩაჩავა, ა. კუჭავა, ი. ქვარცხავა, ი. კანკავა, ნ. ცომაია, გ. კუპრეიშვილი და ხ. შ ლამბერიძე მწუხარებით აუწყებენ მეგობრებს, რომ 16 მარტს ქ. სენაკში ტრაღიკულათ გარდაიცვალა მათი სკოლის ამხანაგი და ძვირფასი მეგობარი

ალექსანდრე (ხუტა) წერეთელი

დაკრძალვა მოხდება ქ. ახალ-სენაკში 1—1 (შ)

საქ. სამხატვრო აკადემიის სტუდენტთა ალმასბიურო გულითადი მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას აკადემიის სამულიორო სახელოსნოს დაუღალავ ხელმძღვანელის

ავგუსტ ბონიფაცის ძე ოლ[illegible]ნევ[illegible]ის

უეცრად გარდაცვალებას. გამოსვენება კვირას დღის 1 საათზე

1852

უდროოდ დაკარგულ სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტ ნიკოლოზ იოსელიანის ქვრივ-ობლები უცხადებენ ღრმეს მადლობას: მიწადმოქმედების და განათლების სახალხო კომისარიატებს, სახელმწიფო უნივერსიტეტს, განსაკუთრებით აგრონომიულ ფაკულტეტს, საქართველოს მუზეუმს, ყველა საზოგადოებრივ დაწესებულებებს და ორგანიზაციებს, განსვენებულის მკურნავ პროფესორებს და ექიმებს, პატივცემულ საზოგადოებას, ჯვებს უახლოეს მეგობრებს, აგრეთვე უნივერსიტეტის ახალგაზრდობას, ყველა ნაცნობ-მეგობრებს, რომელთაც გაიზიარეს დიდი მწუხარება გამოწვეული ძვირფასი

ჯვების

დაკარგვით.

1854

თბილისის მთავარ ფოსტის კანტორის მუშა-მოსამსახურეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ა/წ. 14 მარტს ტრაღიკულად გარდაიცვალა ამავე კანტორის მუშა, მათთვის დაუვიწყარი ამხანაგი

გიორგი ბექანის ძე ციტაიშვილი

რომლის დაკრძალვა მოხდება კვირას, 18 მარტს, ნაშუადღევის 3 საათზე კუკიის სასაფლაოზე. ცხედრის გამოსვენება კლარა ცეტკინის ქუჩიდან № 1 1848

თბილისის საოლქო კავშირგამბულობის კანტორის ადმინისტრაცია გულითადი მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას ხსენებულ კანტორის ყოვლად პატიოსან და ერთგულ მუშაკის

გიორგი ბექანის ძე ციტაიშვილის

სამსახურის მოვალეობის შესრულების დროს ტრაღიკულად დაღუპვას. დაკრძალვა მოხდება 18 მარტს, კვირას, ნაშუადღევის 3 საათზე გამოსვენება ბინიდან კლარა ცეტკინის ქ. № 1. 1855

სამუდამოთ გულდათუთქულნი და ღრმეს მწუხარებაში მყოფნი დედა კატო, მეუღლე ელისაბედი ლუარსაბის ასული, შვილები: შალვა, მიხეილ, დიმიტრი და მაისო ციტაშვილები, ძმა იოსები, რძლები კატო და ტასო აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობთ, რომ ა/წ. ოთხშაბათს 14 მარტს ღამის 11 საათზე, ტრაღიკულად გარდაიცვალა მათთვის ძვირთასი და დაუვიწყარი

გიორგი ბექანის ძე ციტაშვილი

გამოსვენება კვირას, 18 მარტს, ნაშუადღევის 2 საათზე, ელისაბედის ქ. № 1. დაკრძალვა მოხდება კუკიის სასაფლაოზე. 1857

ღრმად დამწუხრებული მეუღლე პელაგია იოსეს ასული შენგელიასი, ვერა ნიკოლოზის ასული მონიავა, სუსანა კუჭაიძისა, აბესალომ კუპაიძე, ესტატე, აპოლონი და აკაკი მონიავები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ

მელიტონ გიორგის ძე შენგელიას

გარდაცვალებას, გასვენება სოფელ ჭაგანში სამშაბათს, 20 მარტს.

1853

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე ეფემია; შვილები: საშა, კასიკო, კოტიკა, ნინა, მარო და თამარა ამით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი და დაუვიწყარი

იოსებ იოსების-ძე
გველესიანი

პანაშვიდი ყოველ დღე 6 საათზე. დაკრძალვა მოხდება კუკიის სასაფლაოზე სამშაბათს, 20 მარტს, 4 საათზე ალექსანდროვის ქუჩიდან სახლი № 28 1—1 (შ)

სახელმწიფო ოპერა

კვირას, 18 მარტს სახ. მსახ. ზ. პ. ფალიაშვილის ახალი ქართული ოპერა **ლატავრა**

5 მოქმედებათ პროლოგით ტექსტი ა. შანშიაშვილის (მე-2 წარმოდგენა)

მონაწ. დემიანენკო, ვოლჩანეცკაია, ქუმსიაშვილი, ვენაძე, მესნიაევი, ქურხული, ფროლოვი, გაეცკი, სვანიძე, მოლჩანოვი, ქუთათელაძე, შაპოშნიკოვი, პივოვაროვი.

დადგმა ა. ახმეტელის დირიჟ. სახ. მსახ. ი. პ. ფალიაშვლი

ნ. 794

აპოლო, არფასტო, სოლეი, დარბაზი, ოდეონი, პროლეტარი ავლაბარი — სახკინმრეწვის თეატრები

„განკიცხულნი" ვ. ჰიუგოს რომანის მიხედვით 3 და 4 სერია ერთად — ორშაბათიდან 5 და 6 ერია

უკანასკნელად თბილისში „ნიბელუნგები" 1 და 2 სერია ერთად

რომანოვების დინასტიის დამხობა — ორშაბათიდან „მეზღვაურის მეგობარი ქალი"

საიდუმლოებით მოცული იორო[illegible] ქმედება ამერიკაში

ძლიერი ახალგაზრდობა — ორშაბათიდან „ბელვიდერის ჩრდილები"

„დრამა პომერის ცირკში" მაცისტის მონაწილეობით

ახოხსი: მალე მსოფლიო შედევრი „Жизнь за жизнь" 0—15

МЕЖРАБПОМ-РУСЬ

მალე!! საუკეთესო კინო-თეატრებში

მსოფლიო შედევრი

სიცოცხლე სიცოცხლისათვის

რეჟისორი: **ჯოემაი**

მთავარ როლებში: მარჩელა ალბანი

პაულ ვეგენერი და

პაულ რიხტერი

ნ. 797

ბეჭდვა თავდება და მაისის პირველ რიცხვებში გამოვა პროფესორი ივანე ჯავახიშვილის

ქართველი ერის ისტორიის

1 ტომი. სულ გამოვა 5 ტომი. ფასი პირველი წიგნისა 3 მ. ხელისმომწერთათვის 2 მ. 30 კ. ხელისმოწერა გაგრძელდება პირველ მაისამდე. ვინც 15 ხელისმომწერს იშოვნის მეთექვსე წიგნი **უფასოდ** გაეგზავნება. ხელისმოსაწერი ბლანკი გაეგზავნება მსურველებს. ხელისმომწერლებმა წიგნი უნდა მიიღონ აგენტებისაგან.

„უცხო სიტყვათა ლექსიკონზე"

ხელისმომწერთ ვსთხოვ დააჩქარონ წიგნის წაღება. ფასი ლექსიკონისა ვარაყიანი ყდით 7 მან.

ტფილისი ლენინის ქ. № 6.

ნ. 793 სილ. თავართქილაძე.

სასწრაფოდ იყიდება

საწერი მანქანები, ხალიჩები, ფარდაგები, სარკეები, სურათები და სხვადასხვა ავეჯეულობა. ერთად მყიდველს დაეთმობა ბინა. ელისაბედის ქ. № 146, ეზოში საპარადო შესავლიდან მე-3-მე სართული, ბინა 7 ნახვა 4—7 ს. 1858

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

სამკურნალო

ხაწოლებით

ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—4

გაზ. „**კომუნისტი**"-ს

ხელისმომწერთა საყურადღებოთ

გაზ. „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა დაბეჯითებით სთხოვს ხელისმომწერლებს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა მისამართებში ცვლილებების შეტანა ან სრულიად გამოცვლა, პროვინციის ხელისმომწერლებმა გამოგზავნონ ის მისამართი, რომლითაც გაზეთს იღებენ. ხოლო თბილისელებმა აუცილებლად წარმოადგინონ ის ქვითარი (ან ქვითარის №-რი), რომელიც მიღებული აქვთ „კომუნისტი"-ს კანტორიდან ხელის მოწერის დროს.

წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველგვარი კორესპონდენცია, მისამართებთან დაკავშირებული, უყურადღებოთ იქნება დატოვებული.

ხარჯების დასაფარავად, მისამართების შეცვლის მსურველები მოვალენი არიან წარმოადგინონ კანტორაში 25 კაპ.

0—1 მთავარი კანტორა.

თბილისის ქალაქის ბანკის გამგეობა

თანახმად ბანკის წესდების 51 მუხლისა

საჯარო ვაჭრობით

გაყიდის ა. წ. მარტის 22-ს ნაშუადღევის 2 საათზე ბანკის შენობაში, პუშკინის ქუჩაზე № 3 ვლადიმერ სოფრომის-ძე იაკობიძეს კუთვნილ, ჭიათურ ს შავი ქვის მრეწველთა სააქციო საზოგადოების 32 აქციის ნომინალური ღირებულებით 16 000 მან.

ვაჭრობა დაიწყება 1654 მანეთ-დან. თუ ვინცობა ვაჭრობა არ შესდგა, მეორე ვაჭრობა მოხდება ამავე თვის 29-ში იმავე ბინაზე და აქციები გაიყიდება შემოძლეულ ფასებში.

ნ. 798 თბილისის ქალაქის ბანკის გამგეობა.

საქარ. ს.ს.ს.რ. სახელმწ. გამომცემლობა

სახელგამი

ამით აცხადებს ყველა დაწესებულებათა და პირთა საყურადღებოდ, რომ

საქ. სახელგამის სავაჭრო განყოფილების გამგე

მოქ. ალექსანდრე სიმონის-ძე

ლორთქიფანიძე

განთავისუფლებულია თანამდებობიდან და სახელგამის მიერ მისთვის მიცემული რწმუნება გაბათილებულია.

ყველა ის პირები და დაწესებულებანი, რომელთაც ხელთ აქვთ მოქ. ა. ს. ლორთქიფანიძის მიერ ხელმოწერილი რაიმე ვალდებულებანი, მოვალენი არიან ამ განცხადების დროიდან ორი კვირის განმავლობაში წარმოადგინონ ასეთები კანონიერი სახის მისაცემად.

სახელგამის გამგე ბ. ბიბინეიშვილი

საქმეთა მმართველი ქ. რაჭველიშვილი.

იყიდება სახლი

ქ. ოზურგეთში, აღმასკომის ქუჩაზე სადგურის ახლო, ხუთი თვალი წაბლის, დადგმული მაღალ ცემენტის სვეტებზე, კრამიტით დახურული, პირობების გაგება შეიძლება ქ. ოზურგეთში ილიკო გოგელიასთან და პოლიკარპე ინწკირველთან.

1—1 ნ. 745.

თბილ. მუშათა მთლიან კოოპერატივის რწმუნებულთა მორიგი წლიური

საანგარიშო კრება

დანიშნულა 24 მარტს, საღამოს 6 საათზე მუშკოოპის კლუბის შენობაში (პლეხანოვის პროსპ. № 87).

ნ. 796

გადასახადების გადამხდელთა საყურადღებოდ

საქ. ფინანსთა კომისარიატს მოეპოვება ცნობები იმის შესახებ, რომ ქ. თბილისში ზოგიერთი ბოროტგანმზრახველი პირები დადიან სავაჭრო საწარმოებებში ან სახლებში და ფულის გამოტყუების მიზნით მთავრობის ორგანოთა სახელით ჰპირდებიან გადასახადების გადამხდელ მოქალაქეებს გადასახადების შემცირებას ან სრულიად მათგან განთავისუფლებას.

გადამხდელებმა მტკიცედ უნდა იცოდენ, რომ არც ერთი შუამდგომლობა გადასახადების შემცირების ან მოხსნის შესახებ არ განიხილება ფინორგანოების მიერ გარეშე იმ წესისა, რომელიც შემოღებულია საკავშირო მთავრობის მომქმედ კანონებით.

საქ. ფინანსთა კომისარიატი ყოველგვარ კანონიერ საშუალებით სდევნის თავის ანგარებით საგადასახადო კამპანიების ჩამშლელ პირთ და რათა ერთხელ და სამუდამოდ აღმოფხვრილ იქნას ზემოაღნიშნული დანაშაულობრივი მოვლენა, სთხოვს ქ. თბილისის მოქალაქეთ გაუწიონ ბეჯითი დახმარება გარეგან საგადასახადო ზედამხედველობას ბოროტ განმზრახველთა აღმოჩენაში მათი სისხლის სამართლის ორგანოებისადმი გადასაცემად.

საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარი—

მამია გ[illegible]ილი

საგადასახადო სამმართველოს უფროსი—

ნ. 799 ბეჟიაშვილი.

ექიმი

კ. ს. ფონ ირტელი

პლეხანოვის პროსპ. № 10

სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე), ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს, და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობის (სიმსივნე, ბუასილი) ელექტრომკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და 4 ნახ. საათ.—საღ. 7 საათამდე. ქალების მიღება ცალკე. დილ. 11—12 საათამდე და საღამოს 7—8 საათამდე. 13—7

ექიმი

მ. ო. ზანდუკელი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგანი და ნერვიული სნეულებანი. ელექტრონის და სინათლის კაბინეთი. ავადმყოფების მიღება ორშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით, საღამოს 7—8 საათ. მისამართი ლენინის (ოლღას) ქუჩა № 11, ტელ. 4—82 25—1

კბილის ექიმი

დ. ს. რიჟინაშვილი

კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების უტკივნეულოდ ამოღება. ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა. ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34, რუსთაველის გამზირის კუთხე. 25—1

ა. ვ. მიქაბერიძე

პარიზში 1923 წელს დაამთავრა

„სილამაზის ინსტიტუტი"

მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ. ელექტრ. ორთქლის კანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.

ძმელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 2-დე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი შესახვევიდან. 25—9.

ექიმი **ჯალალოვი**

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა

ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9 საათ. საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ. მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. ტელეფ. № 1—90 25—10

ექიმი **ს. ი. ანდრეევისა**

ძვლის და ჯირკვლების ტუბერკულოზი. (კვარც—ლამპარით მკურნალობა) ღებულობს ავადმყოფებს 5—7 ს. ულბაქიძეს დაღმართი (ყოფ ვერის დაღმართი), 29, ვერის ხიდთან ელსმენი 11—78 25—1

ექიმი

ი. ა. ტერ-ოვაკიმოვი

ავადმყოფების მიღება **ფსიქოტერაპიის** დარგში; სქესობრივი აშლილობა, მავნებელი ჩვეულებანი, უძილობის ყველა სახეები. 5—8 საათამდე. სიფილისით დაავადებულთა მიღება დღის 11—1 საათამდე და საღამოთი დანიშვნით. საბჭოთა ქ. № 48 (ყოფ. ჩერქეზიშვილის) კოროლის ქ. კუთხე. 25—2

მედიც. დოქტორი

გ. ა. ახვერდოვი

ვენერიული ავადმყოფობანი და სიფილისი.

დილით 9—12 ს., საღამ. 6—8 საათზე, პლეხანოვის პროსპექტი № 7, შესავალი კუთხიდან ნარიყალის ქ № 1. 25—11

ექიმი **ი. ი. ბერიშვილი**

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოეს") პირდაპირ ჩოდრიშვილის შესახვევი (პლეხანოვის შესახვევი) № 8.

ექიმი **ი. ი. ჭეიშვილი**

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმ.

იღებს ავადმ. დილ 8—9 საათ. და საღ. 6—8 საათ. კამოს ქუჩა № 72 (ყოფილი დიდმთავრის ქ.)

ექიმი

ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება

პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ მიღება დილის 9 12 საღ. 7 ნახ.—8 ნახ. საათ. 25—1 ტელ. 12—67

ექიმი

ი. პ. მჭედლიშვილი

შინაგანი სნეულებანი

სპეციალურად კუჭის და ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 საათ. სანაპირო ქუჩა № 7 (ყ. ნაბეღლავაია) ვერის ხიდთან. ტელ. № 15—02 25—16

თვალის საავადმყოფო

მუდმივ საწოლებით და ამბულატორიით. ღებულობენ ექიმები

ა. ნ. შატილოვი

საოპერაციო დღეებში

ა. გ. მალაევი

დილით 8—9 საათ. საღამოთი 6—7 ს. სტაციონალური ავადმყოფების მიღება ყოველ დროზე. კლარა ცეტკინის ქუჩა (ყოფ. ელისაბედის) № 47 ტელეფონი № 5—90 5—12

ქ. ქუთაისი

ექ. თ. ვ. აკოფაშვილი

შინაგანი სნეულება—სპეციალ. ფილტვების ავადმყოფობა. ბროსეს ქ. № 7 (მესამე საბჭოსა აფთიაქის გვერდით) ავადმ. მიღება დილ. 11—1, საღ 4—6 საათ. 25—1

ექიმი

ნ. ტურიაშვილი

იღებს ავადმყოფებს სამშობიარო და ქალურ სნეულებით ყოველდღე გარდა კვირისა 3—5 საათ. ბელგიის ქუჩა № 3, მთავარ საავადმყოფოს ახლოს (ყოფილ მიხეილის)

ქუთაისში

ექ. დ. ჩეჩელაშვილი

გადავიდა ახალ ბინაზე ჭავჭავაძის ქ. № 4 ცეცხლის ქრობელ რაზმის გვერდით, სადაც იღებს შინა, ან ავადმყოფ ბს. სპეციალ. ექიმობა ფილტვებში მიღება დილის 8—12 საათ. 13—1

დაიკარგა კავშირის წიგნაკი ბებეჯაიანის სახელზე ჩ. გ. 1856

დაიკარგა: სასოფლო-სამეურნეო გადასახადის მოწმობა აღებული ყოფ. წინანდლის თემკომიდან სერგო იოსების-ძე მატუაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1849

დაიკარგა: სამხედრო წიგნაკი ფ. № 7, წიგნ. № 106, თომა ბასას-ძე ტიტალუას სახელზე, ჩ. გ. ნ. 795

დაიკარგა: სამხედრო ნუსხა № 66 და პირადობის მოწმობა № 46 არჩილ ანტონის-ძე კოკაიას სახელზე, ჩ. გ. ნ. 795

დაიკარგა სამხედრო აღრიცხვის ბარათი ფ. № 4 აქირან სოლომონის ძე კვიტრაძეს სახელზე, ჩ. გ. 1851

დაიკარგა სამხედრო აღრიცხვის ბარათი № 53—გრიგოლ სიმონის-ძე პლიაძეს სახელზე, ჩ. გ. 1850